# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 25 მაისი 2000 №97 (1119) | ფასი 50 თეთრი




REUTERS პარიზიდან



# მეფე ცოცხალია, გაუმარჯოს მეფეს!

ჭუხელ პარიზმა სამეფო კლუბის მეფური თამაში იხილა. მორიენტესის თავური — ერთი, მაკმანამანის შეკუნტრუშებული — ორი, რაულის უეჭველიც — სამი. ვისენტე დელ ბოსკემ კუპერის „ვალენსია“ გაარღვია. მადრიდის „რეალი“ ჩემპიონთა თასის რეკორდის მფლობელია.

UEFA CHAMPIONS LEAGUE

იხილეთ მეორე გვერდი

პარიზი
24 მაისი
23.45 საათი
სტად დე ფრანსი
80 000 (ტევადობა 80 000)

**რეალი 3:0 ვალენსია**

1:0 მორიენტესი (39), 2:0 მაკმანამანი (67), 3:0 რაული (75)
რეალი: კასილიასი, ელგერა, რობერტო კარლოსი, კარანკა, კამპო, სალგადო (იერო 85), რედონდო, მაკმანამანი, მორიენტესი (სავიო 73), რაული, ანელკა (მანუელ სანჩისი 81)
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
ვალენსია: კანისარესი, ხერარდო (ილიე 68), პელეგრინო, ჯუკიჩი, ანგლომა, კილი გონსალესი, ფარინოსი, მენდიეტა, ხერარდი, კლაუდიო ლოპესი, ანგულო
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
გაფრთხილება: ფარინოსი, კანისარესი, სალგადო, ხერარდო, რობერტო კარლოსი, პელეგრინო
მსაჯი: სტეფანო ბრასკი (იტალია)

# ერთი, ორი, სამი... რვა! ვალენსია გაირღვა

UEFA CHAMPIONS LEAGUE

## ჩემპიონთა ლიგა. ფინალი


REUTERS პარიზიდან
ყველაფერი აქ დამთავრდა: რაულმა ყოფილი თანაკლუბელი კანისარესი მოატყუა და გაიტანა

**გუშინ** მადრიდის „სამეფო გუნდმა“ ჩემპიონთა თასი მერვედ მოიგო და გახდა პირველი, ვინც შეჯიბრების ლიგად გადაკეთების შემდეგ ჯილდო მეორედ დაისაკუთრა.

გუშინ, პარიზის „სტად დე ფრანსზე“, თასის ისტორიაში პირველად ფინალისტები ერთი ქვეყნიდან გახლდნენ.

გუშინვე მესამედ დადასტურდა, რომ თუ შეჯიბრების რომელიმე ეტაპზე ერთმანეთს „რეალი“ და „მანჩესტერ იუნაიტედი“ ხვდებიან, გამარჯვებული საბოლოო ტრიუმფატორად გვევლინება.

გუშინვე შეიქმნა მორიგი თქმულება იმის შესახებ, თუ როგორ ეძებდა ბედს (მწვრთნელს) ვილაც ცხრა მთას იქით და ბოლოს საკუთარ ეზოში მიაგნო.

გუშინვე შეითხზა მორიგი ზღაპარი ყმაწვილკაცზე (მეკარეზე), რომელსაც თავიდან ამრეზით უყურებდნენ, ბოლოს კი მზეჭაბუკად იქცა.

გუშინვე, პირველად ჩემპიონთა თასის ისტორიაში, ფინალში ერთმა მეორეს 3:0 მოუგო.

გუშინ მადრიდის „რეალმა“ „ვალენსიას“ აჯობა, თუმცა ეს ერთი წუთით არ ნიშნავს იმას, რომ „ვალენსია“ სუსტი იყო. ემოციის აყოლა არ ივარგებს: ჯერ ერთი, 0:3-ის შემდეგ ნებისმიერი გუნდი შეცბება და მეორეც — მავანი მავანს მხოლოდ იმიტომ როდი უგებს, რომ წაგებული არ ვარგოდა.

არც შარშან მოუგია „მანჩესტერს“ იმიტომ, რომ „ბაიერნი“ არ ვარგოდა, არც შარშანწინ ყოფილა ასე, არც იმის წინ... თუმცა ის, რომ „ვალენსიამ“ „რეალთან“ შედარებით ვერ ივარგა, ეჭვგარეშეა, შედეგიც ადასტურებს. მოკლედ, ცუდად თამაშსა და ვიღაცასთან შედარებით ცუდად თამაშს შორის მკაფიო ხაზი გავავლოთ და „სტად დე ფრანსზე“ დავბრუნდეთ.

ვალენსიელებმა ძალიან მხნედ დაიწყეს, მადრიდელებს პერსონალური მეურვეობის უმჭიდროესი მარწუხები შემოაჭდეს და პირველი ემოციური ეპიზოდიც შექმნეს. ერთხანს ასეც გაგრძელდა, თუმცა „რეალის“ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მეტოქის სალტეს არ შეუშინდა (ბოლოს და ბოლოს ის ხომ „რეალია“) და თავის არჩეულ სტრატეგიას უერთგულა. ასეთ დროს ხშირად დგება წუთი, როდესაც სიმშვიდე და დაჟინება სასწორს თავის სასარგებლოდ ხრის. ასე მოხდა ამჯერადაც: ერთი ხნის შემდეგ მოედანზე მდგომარეობა გაწონასწორდა, ხოლო „ვალენსიას“ სასტარტო შემართებამ სახე იცვალა. დიახ, ექტორ კუპერის გუნდს თამაშის რიტმი და ინტენსივობა არ შეუნელებია (ალბათ, თამაშის ბოლომდეც კი), მაგრამ მინდორზე თანდათან გოლიათი წამოიმართა, გოლიათი სახელად „რეალი“.

ჭეშმარიტებას აბა ვინ ჩაწვდება, მაგრამ, ჩვენი აზრით, ის, რაც მადრიდელებმა ითამაშეს, მეტისმეტად ძნელი შესასრულებელია. რას ვგულისხმობთ? მათ დაცვის ცენტრში სამი ფეხბურთელი, ივან ელგერა, ივან კამპო და აიტორ კარანკა ჰყავდათ გამწესებული, რასაც ორი განაპირა, მიჩელ სალგადო და რობერტო კარლოსი ემატებოდა. თავდასხმაში სამი ფორვარდი მოქმედებდა — ნიკოლა ანელკა, ფერნანდო მორიენტესი და რაული. ჩამოთვლილ რვას მეკარე იკერ კასილიასიც დაამატეთ და ელემენტარული არითმეტიკა დაგვანახებს, რომ ის, რასაც კლასიკური ნახევარმცველი ჰქვია მხოლოდ ორი იყო, ფერნანდო რედონდო და სტივ მაკმანამანი. ახლა „ვალენსიას“ განლაგებაც გავიხსენოთ: 1-4-4-2 ანუ მოედნის შუაში, სადაც, როგორც წესი თამაშების ბედი წყდება, რიცხობრივი უპირატესობა თვალნათელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ, დაგვეთანხმებით, ფაქტობრივად პირიქით მოხდა.

რა მანქანებით? ამ მანქანებს რობერტო კარლოსი, სალგადო, რაული, ანელკა და მორიენტესი ჰქვიათ. რობერტო კარლოსისა და სალგადოს ენერგიამ ფრთებზე შეავსო ვაკუუმი (ასეთი ტიპის მცველებს მთელი 100 მეტრის დაუსრულებელი გადარბენ-გადმორბენა ევალებათ), ხოლო სამი თავდამსხმელის ნახევარდაცვაში ჩასვლამ და კვლავ შეტევაში დაბრუნებამ ეპიზოდებში რიცხობრივი უპირატესობა „რეალის“ სასარგებლოდაც კი შექმნა.

თუ, მაგალითად, ანელკას თამაშს საგანგებოდ დააკვირდით, შეამჩნევდით, რომ ფრანგმა ცენტრსა და თავის ნახევარზე ბურთის წართმევასა და თანაგუნდელისთვის გადაწოდებაში ლამის მცველებს აჯობა. ასევე მოქმედებდნენ მორიენტესიცა და რაულიც, თუმცა ამ უკანასკნელზე კიდევ ძალიან ბევრი შეიძლება ითქვას: ბურთის კონტროლი, შეტევათა მიმართულების განსაზღვრა, გოლი და ეფექტების მოყვარულთათვის ფინტები.

საუცხოონი იყვნენ რედონდო და მაკმანამანი, უზუსტესად თამაშობდნენ მცველები, თავდაჯერებული გახლდათ მეკარე. და შედეგად, კუპერის ჩქაროსნულ გუნდს გადაულახავი პრობლემები შეექმნა: ჩაშლიდნენ რობერტო კარლოსის შეტევას და მეტოქის საჯარიმოსთან ისევ რობერტო კარლოსი ხვდებოდათ. ყველა გზა მოიჭრა, შორეული დარტყმების მოსინჯვა სცადეს, მაგრამ უშედეგოდ.

ხოლო დელ ბოსკემ თამაშის მიწურულს სამი ფეხბურთელი შეცვალა ანუ:

გუშინ სავიო ჩემპიონთა თასის ორგზის მფლობელი გახდა. ის ორივე ფინალში შეცვლაზე შევიდა.

გუშინვე ვეტერან ფერნანდო იეროს მწვრთნელმა ალბათ, კარიერის ბოლო ტრიუმფი უძღვნა.

გუშინვე მანუელ სანჩისს ერგო იგივე პატივი — შეგახსენებთ, „რეალის“ შემადგენლობაში ჩემპიონთა თასი მამამისს, მანუელ სანჩის უფროსსაც სჭერია.

გუშინვე მადრიდში აუცილებლად ჩამოჯდებოდა ვინმე ამპარტავანი და თვლას დაიწყებდა: რვაგზის არა? ესე იგი „რეალი“ უდრის „ბარსელონას“ პლუს „მანჩესტერ იუნაიტედი“ და პლუს „მილანი“.

კაცმა რომ თქვას, ვარიანტები ბევრი აქვს, ისევე, როგორც სიამაყის უფლება.

**ბაბუნა ბედია**


REUTERS პარიზიდან
არგენტინელი კლაუდიო ლოპესის ოცნებას ახდენა არ ეწერა

**მატჩის სტენოგრამა**

6. მორიენტესის დარტყმული პელეგრინოს საკუთარ საჯარიმოში მხარზე მოხვდა. მადრიდელები პენალტს ითხოვდნენ, მაგრამ მსაჯმა სამართლიანად არ დანიშნა.

7. კილი გონსალესი „რეალის“ საჯარიმოში წაიქცა. ახლა ვალენსიელებმა მოითხოვეს თერთმეტმეტრიანი, მაგრამ არბიტრს წესის დარღვევა არც ამჯერად შეუნიშნავს.

17. რაულის მარცხნიდან ჩაწოდებულს ანელკას თავური მოჰყვა, „ვალენსიის“ მეკარე კანისარესმა ძლივს მოიგერია.

17. „ვალენსიის“ მრავალსვლიან კონტრშეტევასა და მენდიეტას სახიფათო დარტყმას კასილიასი გადაელობა.

19. კუთხურს კლაუდიო ლოპესის უძლიერესი გასროლა მოჰყვა, ბურთი ოდნავ ასცდა „რეალის“ კარს.

31. მაკმანამანის მძლავრი დარტყმული კანისარესმა გაჭირვებით გადააგდო კუთხურზე.

39. რობერტო კარლოსის ჯარიმა ხერარდომ მოიგერია. „რეალის“ შეტევა მარჯვნიდან გაგრძელდა, სალგადო, ანელკა, ისევ სალგადო, რომელმაც „ვალენსიის“ საჯარიმოში ფარინოსს დაასწრო და მორიენტესის თავური — 1:0.

49. ხერარდოს შეცდომამ ანელკა მეკარესთან პირისპირ დატოვა, კანისარესმა კუთხურზე მოიგერია.

67. მოწინააღმდეგის საჯარიმოსთან ახლოს მაკმანამანმა ერთობ ეფექტურად ითამაშა, მისკენ წამოსულ ბურთს თავისებური მაკრატელა შეაგება და მეკარისგან მარცხენა დაბალ კუთხეში შეაგდო — 2:0.

70. მენდიეტას პასმა კლაუდიო ლოპესი კასილიასთან პირისპირ დატოვა, მაგრამ არგენტინელმა ბურთს ფეხი კარგად ვერ მოარტყა და მეკარემ აუღო.

75. სავიომ გრძელი პასით რაულს მოძებნა, ამანაც დაახლოებით 60 მეტრი გაირბინა, მეკარეც მოატყუა და 3:0.

**მატჩის შემდეგ**

— ეს ზღაპრული იყო — თქვა რაულმა, რომლის სოლო გოლმა გამარ
ჯვება დააგვირგვინა — ჩვენ საიმ
სოდ ბევრი ვიშრომეთ, დღევანდელ
გამარჯვებისთვის რომ მიგვეღწია.

ფერნანდო მორიენტესი, რომელმა
ზუსტი თავურით პირველი გოლი გ
იტანა, რაულის მსგავსად ერთ-ერთ
მათგანია, ვინც ჩემპიონთა თასს ორ
წლის წინ „იუვენტუსთან“ გამარჯვე
ბითაც დაეუფლა:

— გაუთავებელი კრიტიკის მერ
ჩვენ ვაჩვენეთ, რომ მართლაც მაღალ
ხარისხოვანი გუნდი ვართ. ჩემპიონთა
ლიგა მსოფლიო ფეხბურთის უდიდეს
შეჯიბრია და მასში გამარჯვების შე
დეგ მსურს, „რეალში“ კიდევ დიდხან
დავრჩე.

„რეალს“ ინგლისური „ლივერპულ
დან“ შეძენილი სტივ მაკმანამანის გო
ლიც დაეხმარა. ინგლისელმა ნახევა
რმცველმა, ნამატჩევს „რეალის“ მა
ფორმა სხვებივით თეთრზე რომ გა
ვალა, თასის გადაცემამდე ყველა ვა
ლენსიელს პირადად თანაუგრძნო:

— ვფიქრობ, ეს უეჭველად უდიდე
სი მატჩი იყო, რომელშიც კი ოდეს
მითამაშია. ის, რომ ჩემპიონთა თას
ჩვენ მოვიგეთ, ფანტასტიური ფაქტ
როცა რობერტო კარლოსმა ბურთ
ჩამოაწოდა, მეტოქემ ჩემსკენ მოიგ
რია, თვალები დავხუჭე და ისე დავა
რტყი — დასძინა მაკმანამანმა.

დამარცხებული „ვალენსიას“ ექ
რეალელი მეკარე სანტიაგო კანისარ
სი მადრიდელთა ქებისას გულუხ
იყო:

— „რეალმა“ დაცვაში ძალიან ძლ
ერად და საიმედოდ ითამაშა, რამა
საშუალება მისცა შეტევაზე და გატ
ნაზე ჩვენზე უკეთ ეზრუნა. ვფიქრო
მადრიდული კლუბი იმაზე უკეთესი
ვიდრე ამ საღამოს გამოჩნდა.

# კვარაცხელიას მეოთხე ფინალი


სერგო კვარაცხელია

ხვალ, 26 მაისს, საქართველოს ...ასის ფინალია. „ეროვნულ“ სტადი...ნზე ქვეყნის ახალგამომცხვარი ჩემ...იონი ქუთაისის „ტორპედო“ თბილი...ის „ლოკომოტივს“ დაუპირისპირდე...ა და დუბლის შესრულებასაც შეეც...ება. რკინიგზელებიც მონდომებით ემ...ადებიან, პირველი ტიტულის მოგე...ას გეგმავენ. ვინ მიაღწევს საწადელს, ...მას ხვალ თავად მატჩი გვანახვებს, ...ანამდე კი...

გუშინ „ტორპედოს“ პრეზიდენტი მი...ეილ ქორქია და მთავარი მწვრთნე...ლი დავით ყიფიანი ფეხბურთის ფედე...აციას ეწვივნენ. „ლოკომოტივის“ ვი...ე-პრეზიდენტი ტარიელ ღვაბერიძე ...ა თავკაცი რევაზ ძოძუაშვილიც იქ ...ახვდნენ. დაახლოებით პირველი სა...ათისთვის ოთხივენი ფედერაციის გე...ერალური მდივნის ვალერი ჩოლარი...ს კაბინეტში შეიკრიბნენ. მალე ჩო...ლარიას სფფ-ის საშეჯიბრო კომიტე...ის უფროსი გია ფირცხალავა (ლო...ოტრონითურთ) და სამსაჯო-საინს...ექტორო კომიტეტის ხელმძღვანელი ...ანატოლი მილჩენკოც ეწვივნენ. ეწვი...ენ და კენჭისყრით ხვალინდელი მა...ტჩის არბიტრის ვინაობაც გაარკვიეს. თამაშს ზუგდიდელი სერგო კვარაცხელია განსჯის.

აღსანიშნავია, რომ ფედერაციაშიც ამ კანდიდატურას უჭერდნენ მხარს. თითქოს არც ფინალისტები იყვნენ წინააღმდეგნი, თუმც მაინც გადაწყდა — მსაჯი კენჭისყრით აერჩიათ. როგორც იქ დამსწრე ანატოლი მილჩენკომ გვითხრა, გუნდებმა სამი კანდიდატი შეარჩიეს: სერგო კვარაცხელია, მერაბ მალაღურაძე და ალექსანდრე შილაკაძე. გუნდების წარმომადგენლებმა ლოტოტრონიდან ბურთის ამოღება ვალერი ჩოლარიას სთხოვეს, თუმცა გენერალურმა მდივანმა იუარა, ჩემი პრეროგატივა არ არისო. ბოლობოლო ამის გაკეთება მილჩენკოს დააკისრეს, მის ხელსაც ის ფურცელი ამოჰყვა, რომელშიც სერგო კვარაცხელია ეწერა.

გუშინ კვარაცხელიამ თანამსაჯეებიც დაასახელა. ფიფას არბიტრს მატჩის გაძღოლაში სოხუმელი ავთანდილ სამხარაძე და გულრიფშელი გოჩა ცირდავა დაეხმარებიან. მეოთხე თბილისელი ალექსანდრე შილაკაძე იქნება. სფფ-ის ინსპექტორის ფუნქციებს თავად ანატოლი მილჩენკო შეასრულებს.

აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ სერგო კვარაცხელიას მსაჯობა ქუთაისელებს კარგად აქვთ დაცდილი. საქართველოს თასის შარშანდელ ფინალსაც „ტორპედოსა“ და წყალტუბოს „სამგურალს“ შორის იგი მოემსახურა. მაშინ თასი „ტორპედოს“ დარჩა. შეგახსენებთ, რომ ხვალინდელი ფინალი სერგო კვარაცხელიასთვის რიგით მეოთხეა.

დაბოლოს, ფინალური მატჩი „ეროვნულ“ სტადიონზე 19 საათზე დაიწყება.

**ვანო ოქროპირიძე**

# ვალენსია: გადავიხდით!
## აიაქსი: არველაძე არ იყიდება!

„აიაქსიდან“ შოთა არველაძის ამსტერდამის გადაბირება ესპანურ „ვალენსიას“ რომ სურს, ვფიქრობთ, ახალი არავისთვის უნდა იყოს.

ჩვენებურის მენეჯერი დანიელი ივან ბენეში ვალენსიაშიც უკვე ორჯერ გახლდათ და იქაურებს შოთას თაობაზე ესაუბრებოდა, ბოლოს ორშაბათს.

გუშინ კი ბენეშს კიდევ ერთხელ შევეხმიანეთ და ვთხოვეთ დაწვრილებით ეთქვა არველაძის „ვალენსიაში“ შესაძლო ტრანსფერის შესახებ.

— „ვალენსიას“ ხელმძღვანელობამ უკვე ორჯერ მთხოვა ესპანეთში ჩასვლა. ისინი ტელეფონითაც კარგა ხანს მელაპარაკნენ, იქნებ „აიაქსთან“ მოგვიგვარო საქმეო. ვალენსიიდან ამ დილით დავბრუნდი და ამსტერდამში სტუმრობა გადავწყვიტე, ვეცდები „აიაქსი“ დავიყაბულო, რომ შოთა ესპანელებს დაუთმონ. როდის წავალ ჰოლანდიაში, ჯერ არ ვიცი.

„ვალენსიას“ კი არველაძის შეძენის სურვილი აბა როგორ გაუნელდება? ისინი მზად არიან შოთას სანაცვლოდ დიდი ფული დღესვე გადაიხადონ. ეს პირდაპირ მითხრეს, თანხაც დამიკონკრეტეს, მაგრამ ბოდიში, თქვენ ვერ გეტყვით. პრობლემა კი „აიაქსია“ — შოთას გაყიდვას ნუ უხსენებ და... სათქმელს მოკლედ ამბობენ — ქართველი არ იყიდება, მას „აიაქსში“ ორი წელი კიდევ აქვს სათამაშოო. მათი მწვრთნელი კო ანდრიანსე ჯიუტობს, შოთაზე დიდი წარმოდგენისაა და ამბობს, გუნდის უპირველესი ფორვარდიაო. ვნახოთ, ამ საქმიდან საბოლოოდ რა გამოვა, ისე კი...

ივან ბენეშმა, მეტი აღარაფერი მაქვს სათქმელიო.

შოთასთან შეხმიანება გუშინვე ვეღარ მოვახერხეთ, მისი ტყუპისცალი არჩილი რომ თბილისშია, ის ჩინეთშია, „აიაქსს“ ახლავს იქაურ საერთაშორისო ტურნირში სათამაშოდ.

**ბონა ინასარიძე**

# ლოკომოტივი ძლიერდება

ჯერ კიდევ საბჭოეთის დროს თბილისის „დინამოში“ ...თამაშე, იმ დროისთვის საკმაოდ პერსპექტიული ჭაბუკი ...იხეილ ჯიშკარიანი კარგა ხნის შემდეგ ისევ საქართვე...ლოში დაბრუნდა და თბილისის „ლოკომოტივში“ ითამა...შებს. შესაძლოა რკინიგზელთა შემადგენლობაში ხვალვე, ...ასის ფინალურ მატჩში ვიხილოთ. ყოველ შემთხვევაში, „ლოკომოტივმა“ ჯიშკარიანი სათავისოდ უკვე განაცხადა ...ა უფლებაც აქვს, ათამაშოს. საკითხავი ისლაა, როგორ ...სპორტულ ფორმაშია ფეხბურთელი.

შეგახსენებთ, ბოლოს მიხეილ ჯიშკარიანი რუსეთის ...პირველი დივიზიონის ერთ-ერთი ლიდერის სარატოვის „...სოკოლის“ წევრი იყო, მაგრამ ამას წინათ დატოვა კლუ...ბი, ამბობენ, მწვრთნელ ალექსანდრ კორეშკოვთან ვერ ...აეწყო ურთიერთობაო. იქამდე კი მიხეილმა რამდენიმე ...სხვა რუსული გუნდიც გამოიცვალა.

„დინამოს“ გარდა საქართველოში მას სოხუმის „ცხუმში“ ...უთამაშია სადაც პირველ ეროვნულ ჩემპიონატსაც შეხვდა. ...ხვათა შორის, სწორედ მიხეილ ჯიშკარიანია პირველი ქართველი, ვისაც კიევის „დინამოს“ მაისურა მოურგია.

თასის ფინალური მატჩის შედეგის მიუხედავად, ზაფხულში „ლოკომოტივი“ უეფას თაზე ითამაშებს და საამისოდ კიდევ ერთი ფეხბურთელით გაძლიერდება. ვლადიკავკაზის „ალანიადან“ საქართველოში, რევაზ ძოძუაშვილის გუნდში ლევან სილაგაძე დაბრუნდება.

— სილაგაძეს ევროტურნირზე მონაწილეობის წინ დავიმატებთ. მან თავად გამოთქვა ჩვენთან მოსვლის სურვილი. საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, ეს ფეხბურთელი გამოგვადგება — გვითხრა „ლოკომოტივის“ მწვრთნელმა რევაზ ძოძუაშვილმა, რომელსაც გუნდი უკვე ერთი კვირაა, დიღმის თავიანთ საწვრთნელ ბაზაზე გამოუკეტია და „ტორპედოსთან“ ფინალისთვის ამზადებს. თასს აუცილებლად ჩვენ უნდა დავეპატრონოთო, აცხადებს ის.

სხვა სიახლე თბილისის „ლოკომოტივში“ ჯერჯერობით არ არის. ისე კი, რკინიგზელები უეფას თასისთვის უფრო მოღონიერებასაც აპირებენ.

**ბონა ინასარიძე**

# ჯამარაული დაშავდა

შვეიცარიის ჩემპიონატის მორიგ ტურში გოჩა ჯამარაულისა და მიხეილ ყაველაშვილის „ციურიხმა“ შინ „ტუნი“ დაამარცხა და სატურნირო მდგომარეობაც მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა. „ციურიხს“ სულ ცოტა ხნის წინ გავარდნა სერიოზულად ემუქრებოდა, თუმც ბოლო ორი მატჩი მოიგო და აუტსაიდერთა ზონასაც მოშორდა.

„ტუნის“ წინააღმდეგ მხოლოდ ერთმა ჩვენებურმა ითამაშა. მიხეილ ყაველაშვილმა მინდორზე 90 წუთი დაჰყო, ჯამარაულის არყოფნის მიზეზი კი, შვეიცარიული პრესის ცნობით, ტრავმაა. როგორც ციურიხელთა თავკაცმა ჟილბერტ გრესმა განაცხადა, ჯამარაულს, ანდრეოლის, ჯორჯევიჩს, კებესა და ოპანგოს მცირე ტრავმები აწუხებდათ. მწვრთნელმაც რისკზე წასვლას მათი დასვენება არჩია.

გრესის გადაწყვეტილება გასაგებია. იგი შვეიცარიის თასის ფინალის წინ გართულებებს მოერიდა. შეგახსენებთ, კვირას, 28 მაისს, ციურიხელები „ლოზანას“ უნდა დაუპირისპირდნენ.

„ციურიხს“ თასის მოპოვება მტკიცედ გადაუწყვეტია, სხვანაირად გუნდი უეფას თასზე ვერ ხვდება. „ტუნთან“ გამოჩენილი სიფრთხილე კი გრესს კინაღამ ძვირად დაუჯდა. შემადგენლობაშესუსტებული „ციურიხი“ მე-80 წუთამდე აგებდა, მერე კი სამხრეთაფრიკელი ლეგიონერის, შონ ბარტლეტის ბრწყინვალე თამაშმა იხსნა. აფრიკელმა ჯერ წონასწორობა აღადგინა, მსაჯის მიერ დამატებულ დროში კი მეორე ბურთიც გაიტანა და თავისიანებს მოაგებინა.

როგორც შვეიცარიული მასმედია აღნიშნავს, საქართველოს ნაკრების ნახევარმცველის ტრავმა არც ისე სერიოზულია. ჯამარაულიც კვირას, თასის გადამწყვეტ მატჩში, „ციურიხს“ თავისებურად დაეხმარება.

**ვანო ოქროპირიძე**

# ცეზარს ცეზარისა

სადისციპლინო ტექნიკური ...კომიტეტის სხდომებს ინტერესი და ...მოულოდნელობები რომ არ აკლია, კა...რგად მოგეხსენებათ. სტკ-ს გუშინდე...ლი სხდომა კი იმით იყო უჩვეულო, ...რომ დისციპლინარებმა მუშაობა სულ ...რაღაც 25 წუთში დაასრულეს. გასა...რჩევიც ბევრი არ ჰქონიათ. უფრო სწო...რად, მნიშვნელოვანი რაც იყო, სამო...მავლოდ გადადეს, თუმც ერთიცაა, ამ ...ოცდახუთწუთიან წამუშავებას „ლო...კომოტივის“ და საქართველოს ახალ...გაზრდული ნაკრების თავდამსხმელი ...ცეზარ ხუროძე გადაჰყვა. სტკ-მ მას ...მკაცრი სასჯელი შეუფარდა — ექვ...სმატჩიანი და ერთწლიანი პირობითი ...დისკვალიფიკაცია. ეს კი იმას ნიშნავს, ...რომ ცეზარ ხუროძე ხვალინდელ სა...თასო ფინალს გამოტოვებს.

ხუროძე სამართლიანად დაისაჯა. ...რადა, შესაძლებელი იყო, სასჯელი ...უფრო მკაცრი ყოფილიყო, მაგრამ ლო...კომოტიველი სტკ-ს თავჯდომარის, ...ომარ გოგიაშვილის გადამწყვეტმა ხმამ ...იხსნა... ჰგონია, ყველაფერს თანმიმ...დევრობით მივყვეთ. XII ტურის ბე...დის არაფრის მთქმელ მატჩში „ლო...კომოტივი“ „თბილისს“ ეთამაშებოდა. ...მატჩის 86-ე წუთზე ხუროძე მეტოქე ...გუნდით ტყებუჩავას წაეკიდა, არბიტრმა ...ბისურაძემ მოშულართა დაშოშმინება ...მოახერხა და თამაშიც გაგრძელდა. რა...მდენიმე წამში ტყებუჩავა გაზონზე ...გართხმული აღმოჩნდა. ეს ეპიზოდი ...ბისურაძისთვის შეუმჩნეველი დარჩა, ...მაგრამ თანამსაჯმა დარღვევა ოპერა...ტიულად დააფიქსირა. მისი თქმით, ხუ...როძემ ძლიერი ჰუკით ტყებუჩავა ძირს ...დასცა... ამის მოსმენის შემდეგ სტკ-...ს წევრმა გურამ ძაგანიამ დაუყოვნებლივ მოითხოვა ხუროძის ერთი წლით დასჯა. ძაგანიას არც გოგი დემეტრაძე ჩამორჩა — ასეთ უდისციპლინოს ფეხბურთს კი არ უნდა ვათამაშებდეთ, სამედიცინო ცნობას უნდა ვთხოვდეთო, მაგრამ ომარ გოგიაშვილმა ექვსი თამაში ვაკმაროთ ჭკუისსასწავლებლად, ეყოფაო და ასეც გადაწყდა. ხუროძე ამასთან ერთად 300 ლარსაც შეელევა.

არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია გუჩუას საკითხმაც. დინამოელი „ტორპედოსთან“ მატჩში გააძევა კახა მესხმა. გოგი დემეტრაძემ ჯოხი მესხზე გადატეხა — პროვოკაციაზე წამოაგო ფეხბურთელი, მაგის მსაჯობა ასეთ პრინციპულ მატჩში როგორ შეიძლებოდა, როცა დარჩელში იქაურ გულშემატკივართაგან უმოწყალოდ ცემის შემდეგ ჯერ კიდევ ღრმა შოკში იმყოფებაო. გოგიაშვილის თქმით, მასაც გაჰკვირვებია მესხის ამგვარი გადაწყვეტილება — ჩემთვისაც გაუგებარი დარჩა, რატომ გააძევეს გუჩუაო. თავად მესხი და იმ მატჩის ინსპექტორი ანატოლი მილჩენკო კი მოხსენებითი ბარათებით ირწმუნებიან, რომ გუჩუამ ხმამაღლა აგინა არბიტრს. სტკ-საც რა გზა ჰქონდა, მოხსენებით ბარათებს დაეყრდნო, ისიც გაითვალისწინა, რომ გუჩუა ამ მატჩამდე ორი ტურით ადრეც გააძევეს მოედნიდან და დინამოელ მცველს სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერა, გუჩუას აგრეთვე 150 ლარის გადახდაც მოუწევს.

ორ-ორ მატჩს გამოტოვებენ ერთმანეთში კინკლაობით მოედნიდან გაძევებული გორელი აკოფიანი და კოლხი ტრაპაიძე, ამ ფეხბურთელებმა 100-100 ლარიან ჯარიმასაც გამოჰკრეს ხელი. ანალოგიურად დაისაჯა „სამგურალი“ — „არსენალის“ მატჩში მოედნიდან გაძევებული თბილისელი ედიშერ ალადაშვილიც. ხობელი ჯამბურია ერთი მატჩით დაისვენებს, მისი თანაგუნდელი თოლორდავა კი მსაჯის გინებისთვის 150 ლარით დაჯარიმდა და სამი მატჩით მოიკვეთა ჩემპიონატიდან.

„დილა“ — „ვიტ ჯორჯიას“ მატჩში ორი გაფრთხილებით გაძევებულ გორელ საყვარელიძეს კი ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია ერგო.

დარღვევების გარეშე, ბუნებრივია, არც რეგიონალური ლიგის და „ჩოხელის თასის“ გათამაშების კალენდარულ მატჩებს ჩაუვლია. სტკ-მ სახელდახელოდ მათზეც იმსჯელა და შესაბამისი გადაწყვეტილებებიც მიიღო. „ცხინვალი“ — „მესხეთის“ მატჩისას სტუმარმა ბერძენიშვილმა მყვარებელი არ დაუტოვა მოუკითხავი მსაჯ კახიანს, რისთვისაც ოთხმატჩიან დისკვალიფიკაციას გამოჰკრა ხელი. ჯარიმის სახით ეს ფეხბურთელი 200 ლარსაც გადაიხდის. „ტკბილად“ მოიკითხეს მსაჯი „ინტერი“ — „გურიას“ მატჩშიც. ეს გურულმა კუკულაძემ შეძლო, შედეგად სამ მატჩს და 150 ლარს შეელევა. ჩოხელის თასის გათამაშებაში კი „შევარდენი“ — „ზალიბის“ მატჩში გაძევებულ თბილისელს მანუჩარ კვიციანს მსაჯის გინება ოთხმატჩიან ჯარიმად დაუჯდა.

დაბოლოს, სტკ-ს „გორდა“ — „სამგურალის“ მატჩში მომხდარ აურზაურზეც უნდა ემსჯელა, მაგრამ ფაქტებს უკეთ შევისწავლითო და ამ საქმის განხილვა სამომავლოდ გადადო.

**პაატა ქვანტალიანი**

# დე იონგი თბილისში ისვენებს


ფრანსუა დე იონგი

თბილისის „დინამოდან“ ახლახან წასულ გია გეგუჩაძეს ჩვენთვის კარგად ნაცნობი სტუმარი ჰყავს — მისივე ყოფილი კოლეგა საქართველოს ნაკრებსა და „დინამოში“, ჰოლანდიელი ფრანსუა დე იონგი.

გეხსომებათ, დე იონგი სწორედ გეგუჩაძესთან ერთად ეხმარებოდა იოჰან ბოსკამპს ჩვენი ეროვნული გუნდისა და საქართველოს ათგზის ჩემპიონების გაწვრთნაში. ბოსკამპი რომ თბილისში ჩამოვიდა, ცოტა ხანში ფრანსუაც წამოიყვანა, მთელი კარიერა ეს კაცი მეხმარება გუნდების გაწვრთნაში, ფიზიკური მომზადების ჩინებული სპეციალისტიაო, ამბობდა.

და როგორც ჩანს დე იონგი გეგუჩაძეს დამეგობრებია, საქართველოც მონატრებია და შვებულების გატარებაც აქ გადაუწყვეტია. ისე კი, ჰოლანდიელს თბილისში მუშაობის დროსაც არაერთხელ უთქვამს, აქაურობა ძალიან მომწონს, მომავალშიც სიამოვნებით ჩამოვალო.

რას ერჩით, კაცია და გუნება, თბილისში ურჩევნია დასვენება.

**ბონა ინასარიძე**

საქართველოს ჩემპიონატი მეორე ეტაპი **13 ტური**

# ოქროს პატრონი ჰყავს, ვერცხლის და ბრინჯაოს მაძიებლები



ორშაბათს გორში: ქუთაისის „ტორპედომ“ თბილისის „დინამოს“ ათწლიან პირველობას ბოლო მოუღო

**საქართველოს** ახალი ჩემპიონი ჰყავს. ქუთაისის „ტორპედომ“ ათი თვის წინ დაწყებული საქმე გორში 22 მაისს დააგვირგვინა. ჯერჯერობით ფეხბედნიერი თვეა მაისი რიონისპირელთათვის. საბოლოო სიამტკბილობამდე მხოლოდ ნაბიჯია. ვნახოთ, რას მოუტანს 26 მაისი ქუთაისს.

მანამდე კი „ტორპედო“ გორში ზეიმობდა პირველობას. მოკრძალებული სიხარულით აღნიშნეს რიონისპირელებმა საბოლოო გამარჯვება, ალბათ, გრანდიოზულ ზეიმს 30 მაისის საღამოს მოაწყობენ. მაშინ უკვე რამდენიმე ჭიქა ღვინის დალევაც შეიძლება, რა თქმა უნდა, განსხვავებული სასმისიც დაიცლება.

გორელებს ქუთაისელთა გაპირველება არ სწყენიათ. ანაც რა იყო საწყენი. მიხეილ ქორქიამ და კომპანიამ ქართლელებისგან არაერთი გულიანი მილოცვა მიიღო.

ყველაფერი ჯერ კიდევ პირველ ტაიმში გაირკვა. თავიდანვე ნათელი იყო, რომ „დილა“ „ტორპედოს“ ვერ შეაფერხებდა. ისე, მასპინძლებს ამის სურვილი არც გამოუმჟღავნებიათ.

მიხეილ ბობოხიძის დაწყებულ საქმეს გიორგი მეგრელაძემ ლამაზი გოლით დაასვა ბეჭედი და შამპანურის ბოთლებსაც მოსძვრა საცობები.

კლუბის პრეზიდენტი მიხეილ ქორქია გახარებული იყო, ან დავით ყიფიანს რა ჰქონდა გულგასატეხი... მაგრამ ჟურნალისტები მაინც არ გაიკარა. ფეხბურთელები კომენტარებზე უარს არ ამბობდნენ, თუმც ნებართვა ჯერ მთავარი მწვრთნელისგან აიღეს.

„კი, ბატონო, ესაუბრეთ, მაგრამ ცოტა ილაპარაკეთ“ — ბოლოს მაინც დაგვითმო დავით ყიფიანმა.

მერე არაფერი განსაკუთრებული. „ტორპედო“ საკუთარ ავტობუსში გაიწილდა და ქუთაისს მიაშურა.

გორში დარჩა ჩემპიონის მცირერიცხოვანი ქომაგობა და სხვისი სიხარულის შემყურე გორელი გულშემატკივარი. მერე ყველამ თავისი გზა მონახა.

ოქროს პატრონი კი ჰყავს, მაგრამ პრიზიორთა ვინაობა საბოლოოდ ჯერაც გაურკვეველია. ან რა გინდა გაარკვიო, როცა დარჩენილ ორ საპრიზო ადგილს ერთდროულად ოთხი გუნდი უმიზნებს. „ვიტ ჯორჯიას“, „დინამოს“, „კოლხეთს“ და „ბათუმს“ სხვადასხვა დონის, მაგრამ მაინც პრიზიორობის შანსები აქვთ.

ოთხიდან ორი აშკარად ზედმეტია, მაგრამ რომელი ორი, აი, ეს გახლავთ საკითხავი. ბოლოსწინა ტურში ვეტერინარებმა, აწ უკვე ყოფილმა ჩემპიონებმა და ფოთელებმა მოიგეს. მხოლოდ „ბათუმმა“ წააგო.

მეცამეტე ტურის მიმოხილვაც სწორედ „ვიტ ჯორჯია“ — „ბათუმის“ მატჩით დავიწყოთ. პირდაპირ ვიტყვი, თამაშით „ვიტ ჯორჯიამ“ დაჩაგრა „ბათუმი“ და ეს „არმაზზე“ მყოფმა თითქმის ყველა სპეციალისტმა აღიარა. სადაო სხვა რამ გახდა, კერძოდ, მასპინძელთა გატანილი გოლები. არა, უშუალოდ ყიფიანისა და ჭანკოტაძის საბოლოო დარტყმები წესების სრული დაცვით შესრულდა, მაგრამ საჭოჭმანო გოლების გატანამდე არსებული ვითარება გახდა.

სანამ ყიფიანი ანგარიშს გახსნიდა, მანამ იყო შეუთანხმებლობა მთავარ მსაჯ თამაზ ლაცაბიძესა და გვერდით ზურაბ ჯვარიძეს შორის. ჯვარიძემ სტუმართა სასარგებლოდ აუტი დააფიქსირა, ხოლო ლაცაბიძემ მასპინძელთა სასარგებლოდ ჯარიმა დანიშნა. იქნებ სულაც არ ტყუოდა მთავარი არბიტრი, მაგრამ სტუმრებს მსაჯთა უთანხმოებამ ხელჩასაჭიდი ფაქტი მისცა.

ზუსტად ვინ დაიჩემებს, რომ სახიფათო მომენტის განმუხტვის მიზნით ბათუმელმა ზურაბ არჩვაძემ თავის მეკარეს შეგნებულად მიაწოდა ბურთი.

მე კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ტრიბუნიდან არჩვაძის ქმედება პასს მიაგავდა, მაგრამ ფეხბურთის ფედერაციის კომპეტენტური კომისიის საბოლოო ვერდიქტიც აუცილებელია. ნაუცბათევი კომენტარი კი ასეთი გახლავთ: „ლაცაბიძე ორივე სადაო მომენტში მართალი იყო“. ასე განაცხადეს ფეხბურთის ფედერაციაში.

დაპირებისამებრ, ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით იმ მატჩის პერიპეტიებს, მაგრამ ჯერ ფედერაციისა და სადისციპლინო კომიტეტის ვერდიქტებს დაველოდებით. „სარბიელის“ საბოლოოო კომენტარსაც მაშინ მოგახსენებთ.

ბოლოს მცხეთური მატჩის კიდევ ერთ ინციდენტზეც ვთქვათ. როდის გააძევა ლაცაბიძემ ბათუმელთა კაპიტანი მალხაზ მახარაძე. არა, ეს აშკარად ტაიმებს შორის შესვენებისას მოხდა, მაგრამ როდის, ცვლილებამდე თუ მანამდე?!

ალბათ, სიმართლეს ბოლომდე ვერც ვერასდროს შევიტყობთ და ისე გამოვიდა, რომ იმ ფაქტს გუშინდელი მატჩისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არც ჰქონია, მაგრამ შედეგი ასეთია: ბოლო ტურში „კოლხეთს“ ვერც მალხაზ მახარაძე დაუხვდება და ვერც ზურაბ არჩვაძე. ამათი მოთამაშის ბარათები ფედერაციამ გუშინწინვე „დაატუსაღა“.

ყოფილი ჩემპიონი 23 მაისს ბოლნისს ეწვია. იქაურ „სიონს“ ორი უპასუხო გოლითაც მოუგო, მაგრამ ყველა დინამოელი გონებით მცხეთაში იმყოფებოდა. „ვიტ ჯორჯია“ რას შვრება? მხოლოდ ეს კითხვა აწუხებდათ თბილისელებს, მაგრამ პასუხი სამწუხარო („დინამოელებისთვის“) ესმოდათ ბოლნისის სტუმრებს.

„სიონი“ ებრძოლა „დინამოს“, მაგრამ კარგად მოთამაშე სტუმრებს ვერაფერი დააკლო. სახეირო მომენტებიც ჰქონდათ მასპინძლებს, მაგრამ დინამოელთა დაცვასა და მეკარეს ვერაფერი მოუხერხეს.

პირველი ტაიმის დასაწყისში სტუმრები მონასელიძემ დააწინაურა. მის მონაგარს მეორე ნახევრის საწყის წუთებში რევაზ არველაძემ ერთიც მიამატა და სამი ქულაც გაიჩარხა.

დინამოელებს მეტის გატანაც შეეძლოთ, მაგრამ ბოლნისში მეტად სუსტად გამოიყურებოდა მათი თავდასხმა, ამიტომ, წინახაზელთა საკეთებელი ნახევარმცველებმა იტვირთეს და გამოუვიდათ კიდეც.

ჩათვალეთ, „დინამომ“ ბრინჯაო გაინაღდა, მაგრამ საქართველოს ათგზის ჩემპიონებს მესამეობა არ აკმაყოფილებთ და ვერცხლს უმიზნებენ. ვნახოთ, რა და როგორ გამოუვათ.

სამტრედიულ „იბერიაზე“ დაბოლმილი „კოლხეთი“ მეტოქის განადგურებით იმუქრებოდა, მაგრამ ალექსანდრე ჩომახიძის საიმედო თამაშს ხუჭუას გოლის მეტი ვერაფერი დაუპირისპირა. სტუმართა ახალგაზრდა მეკარემ კოლხეთმცოდნის სახელი დაიგდო და არა გვგონია, ვინმემ წაართვას.

ისე, „იბერიას“ გათანაბრებაც კი შეეძლო და კიდევ კარგი, ვერ მოახერხა, თორემ თამაშის მერე კარგი დღე არ დაადგებოდათ სტუმრებს. ძალიან, ძალიან გაბრაზებული იყო „კოლხეთი“. ალბათ, არც არასდროს დაავიწყდებათ სამტრედიაში დაკარგული სამი ქულა.

ფოთელები ბოლო ტურში მაინც გამარჯვებისთვის იბრძოლებენ. გავეშებული „ბათუმის“ საკუთარ „დინამოზე“ დამარცხება იოლი საქმე არ გახლავთ, მაგრამ სხვაგვარად მოგჭამათ ჭირით ევროპაზე ოცნებამ. „კოლხეთი“ ეცდება, ცდა კი ბედის მონახევრეაო, ნათქვამია.

„ბ“ ზონაში მხოლოდ ბოლო ტური გაარკვევს ბოლო გავარდნილის ვინაობას და ჯერაც უცნობია, ვინ იქნება მეოთხე.

კანდიდატი სამია — თსუ, „ლოკომოტივი“ და „სამგურალი“. მეთერთმეტე ეროვნულის უკანასკნელ ტურში სამივე საშინაო მატჩებში დაუხვდება მეტოქეებს. თსუ და „სამგურალი“ აწ უკვე გავარდნილ „ხობს“ და „თბილისს“ მასპინძლობენ, ხოლო „ლოკომოტივი“ — ჯგუფში ადგილშენარჩუნებულ და გულდაარხეინებულ „გორდას“.

სამივე მასპინძლის გამარჯვება „სამგურალის“ გავარდნას ნიშნავს. არის სხვა ვარიანტებიც, რომელთა განალდების შემთხვევაში ჯგუფს გარეთ შეიძლება ან თსუ ანაც თასის ფინალისტი დარჩეს.

„ლოკომოტივს“ თასის ფინალისტისთვის გაჩაღებულმა სამზადისმა ჩემპიონატის ბოლო ტურიც თავში საცემად უქცია. მანამდე კიდევ დროა და ზედმეტ საჯარიმო ბარათებსა და ტრავმებს მოფრთხილებულმა რკინიგზელებმა ავჭალას ლამის სათადარიგო შემადგენლობა აწვიეს და დამარცხდნენ.

თავიდან სტუმრებს საქმე კარგად მისდიოდათ. 72-ე წუთამდე იგებდნე[...] კიდეც, მაგრამ მინდორზე შემოვარდნილი დავითაშვილი ვერ დააკავეს და მატარებელზე სწრაფი აღმოჩნდა წი[...] გაქცეული მერანი.

დავითაშვილმა ორი ხომ გაიტანა, ერთიც როსტიაშვილს გაატანინა და „მერანმაც“ ჯგუფში დარჩენა გაინა[...]ლდა.

სენაკში „სამგურალი“ „ხობს“ უგე[...]ბდა და „დინამოსი“ არ იყოს, ფიქრით წყალტუბოელებიც სხვაგან იყვნე[...] მათი გონება რუსთავულ „ფოლად[...]“ დასტრიალებდა. „სამგურალს“ კონ[...]კურენტთა ფრე, გნებავთ, სტუდენტთა გამარჯვება მეტად აძლევდა ხელს[...] მაგრამ აბა, ვარლამ კილასონიასა და კომპანიას ჰკითხეთ. მოიგო „გორდამ“ და წყალტუბოელთა იმედებსაც გვა[...]რიანად შეუკვეცა ფრთები. არა, იმედი[...] ნაპერწკალი ჯერ საბოლოოდ არ გა[...]მქრალა, მაგრამ სიტუაციას უმძიმე[...]სი ეთქმის „სამგურალისთვის“.

ცოტაც მოვითმინოთ და ბოლო ტუ[...]რი ყველაფერს თავის სახელს და[...]რქმევს. მაშინ ოქროს მეპატრონეს შე[...]წყვილებული ვერცხლისა და ბრინ[...]ჯაოს მფლობელთა ვინაობაც გვეცო[...]დინება და მეოთხე გავარდნილის გვარ[...] სახელიც.

მანამდე კი, აგერ, ბოლოსწინა ტუ[...]რმა ჩემპიონი შვა და საპრიზო ადგი[...]ლებისთვის ბრძოლა კიდევ უფრო და[...]ძაბა.

ტურში არც ერთი მატჩი დამთა[...]რებულა ფრედ. ხუთი გამარჯვება მა[...]სპინძლებისა იყო, სამი — სტუმრე[...]ბის. ხუთი თამაში ერთნაირი ანგარი[...]შით 2:0 დასრულდა. სულ 19 გოლ[...]ი გავიდა. მთლად ურიგო არ არის, მა[...]გრამ უკეთესიც გვიხილავს.

ცოტაც, სულ ცოტაც მოვითმინოთ და[...]

**მამუკა ქვანტალიან[...]**



ვიტელთა კაპიტანი გიორგი ყიფიანი და ბათუმელი შალვა ხუჯაძე

| ბომბარდირები | |
|---|---|
| 25 - იონანიძე | ტორპედო |
| 22 - ვ. კილასონია | გორდა |
| 13 - გ. ქორიძე | ვიტ ჯორჯია |
| 12 - აშვეთია | დინამო |
| ალექსიძე | დინამო |
| მეგრელაძე | ტორპედო |
| დ. ჯანაშია | ტორპედო |
| 10 - წუწუნავა | თსუ |
| ვ. ჩიტაია | ხობი |
| 9 - ქებაძე | ლოკომოტივი |
| ხორგუაშვილი | დილა |
| წიტაიშვილი | დინამო |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ჩემპიონატი მეორე ეტაპი — 13 ტური — მიმოხილვა

## „ა“ ზონის სტატისტიკა

| | |
|---|---|
| ტური | 13 |
| მატჩი | 52 |
| გოლი | 130 |
| გოლი საშუალოდ მატჩში | 2,5 |
| მასპინძელთა მოგება | 27 (52%) |
| ფრეები | 12 (23%) |
| სტუმართა მოგება | 13 (25%) |
| საერთო დასწრება | 147 500 |
| საშუალო დასწრება მატჩზე | 2 836 |
| საუკეთესო დასწრება ტურზე | IV,V: 15 000 |
| მწირი დასწრება ტურზე | II: 100 |

| დაჯარიმდა | | სემ |
|---|---|---|
| მასპინძელი | 63 | 15,75 |
| სტუმარი | 67 | 16,75 |
| სულ | 130 | 32,50 |
| **კუთხური** | | **სემ** |
| მასპინძელი | 24 | 6,00 |
| სტუმარი | 21 | 5,25 |
| სულ | 45 | 11,25 |
| **კარისკენ დარტყმა** | | **სემ** |
| მასპინძელი | 28 | 7,00 |
| სტუმარი | 26 | 6,50 |
| სულ | 54 | 13,50 |
| **კარში დარტყმა** | | **სემ** |
| მასპინძელი | 21 | 5,25 |
| სტუმარი | 21 | 5,25 |
| სულ | 42 | 10,50 |
| **თამაშგარე** | | **სემ** |
| მასპინძელი | 12 | 3,00 |
| სტუმარი | 14 | 3,50 |
| სულ | 26 | 6,50 |

*სემ - საშუალოდ ერთ მატჩში*

| დაჯარიმდა | | სემ |
|---|---|---|
| მასპინძელი | 42 | 10,50 |
| სტუმარი | 28 | 7,00 |
| სულ | 70 | 17,50 |
| **კუთხური** | | **სემ** |
| მასპინძელი | 21 | 5,25 |
| სტუმარი | 12 | 3,00 |
| სულ | 33 | 8,25 |
| **კარისკენ დარტყმა** | | **სემ** |
| მასპინძელი | 17 | 4,25 |
| სტუმარი | 16 | 4,00 |
| სულ | 33 | 8,25 |
| **კარში დარტყმა** | | **სემ** |
| მასპინძელი | 25 | 6,25 |
| სტუმარი | 19 | 4,75 |
| სულ | 44 | 11,00 |
| **თამაშგარე** | | **სემ** |
| მასპინძელი | 13 | 3,25 |
| სტუმარი | 7 | 1,75 |
| სულ | 20 | 5,00 |

*სემ - საშუალოდ ერთ მატჩში*

## „ბ“ ზონის სტატისტიკა

| | |
|---|---|
| ტური | 13 |
| მატჩი | 52 |
| გოლი | 127 |
| გოლი საშუალოდ მატჩში | 2,44 |
| მასპინძელთა მოგება | 29 (56%) |
| ფრეები | 7 (13%) |
| სტუმართა მოგება | 16 (31%) |
| საერთო დასწრება | 32 300 |
| საშუალო დასწრება მატჩზე | 621 |
| საუკეთესო დასწრება ტურზე | III,VII: 2 000 |
| მწირი დასწრება ტურზე | I,VII,IX,X: 100 |

### დილა 0:4 ტორპედო

| | | |
|---|---|---|
| 9 | დაჯარიმდა | 16 |
| 3 | კუთხური | 6 |
| 5 | კარისკენ დარტყმა | 7 |
| 2 | კარში დარტყმა | 9 |
| 0 | თამაშგარე | 3 |

### ვიტ ჯორჯია 2:0 ბათუმი

| | | |
|---|---|---|
| 21 | დაჯარიმდა | 27 |
| 4 | კუთხური | 4 |
| 9 | კარისკენ დარტყმა | 2 |
| 6 | კარში დარტყმა | 3 |
| 2 | თამაშგარე | 1 |

### სიონი 0:2 დინამო

| | | |
|---|---|---|
| 20 | დაჯარიმდა | 18 |
| 6 | კუთხური | 11 |
| 7 | კარისკენ დარტყმა | 13 |
| 5 | კარში დარტყმა | 9 |
| 5 | თამაშგარე | 8 |

### კოლხეთი 1:0 იბერია

| | | |
|---|---|---|
| 13 | დაჯარიმდა | 7 |
| 11 | კუთხური | 0 |
| 7 | კარისკენ დარტყმა | 4 |
| 8 | კარში დარტყმა | 0 |
| 5 | თამაშგარე | 2 |

### მერანი 3:1 ლოკომოტივი

| | | |
|---|---|---|
| 20 | დაჯარიმდა | 9 |
| 6 | კუთხური | 1 |
| 4 | კარისკენ დარტყმა | 5 |
| 11 | კარში დარტყმა | 4 |
| 2 | თამაშგარე | 0 |

### გორდა 2:0 თსუ

| | | |
|---|---|---|
| 4 | დაჯარიმდა | 10 |
| 4 | კუთხური | 0 |
| 7 | კარისკენ დარტყმა | 5 |
| 5 | კარში დარტყმა | 4 |
| 4 | თამაშგარე | 2 |

### თბილისი 2:0 არსენალი

| | | |
|---|---|---|
| 11 | დაჯარიმდა | 5 |
| 8 | კუთხური | 4 |
| 4 | კარისკენ დარტყმა | 4 |
| 7 | კარში დარტყმა | 2 |
| 5 | თამაშგარე | 5 |

### ხობი 0:2 სამგურალი

| | | |
|---|---|---|
| 7 | დაჯარიმდა | 8 |
| 3 | კუთხური | 7 |
| 2 | კარისკენ დარტყმა | 2 |
| 2 | კარში დარტყმა | 9 |
| 2 | თამაშგარე | 0 |

## სიმბოლური ნაკრები

გიორგი მეგრელაძე — *ტორპედო*
დავით ჯანაშია — *ტორპედო*
სულიკო დავითაშვილი — *მერანი*
გიორგი ყიფიანი — *ვიტ ჯორჯია*
თამაზ კიკლიაშვილი — *კოლხეთი*
რევაზ არველაძე — *დინამო*
რევაზ ქემოკლიძე — *დინამო*
თენგიზ კობიაშვილი — *ვიტ ჯორჯია*
გიორგი ჭანკოტაძე — *ვიტ ჯორჯია*
ედიკ საჯაია — *ვიტ ჯორჯია*
ალექსანდრე ჩომახიძე — *იბერია*

გუნდი: ტორპედო
მწვრთნელი: დავით ყიფიანი *ტორპედო*

### «ა» ზონა

| № | გუნდები | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ტორპედო | 13 | 8 | 3 | 2 | 37:11 | 26 | 45 | 6 | 5 | 1 | 0 | 22:3 | 19 | 16 | 7 | 3 | 2 | 2 | 15:8 | 7 | 11 |
| 2 | ვიტ ჯორჯია | 13 | 8 | 4 | 1 | 15:7 | 8 | 40 | 7 | 4 | 3 | 0 | 9:4 | 5 | 15 | 6 | 4 | 1 | 1 | 6:3 | 3 | 13 |
| 3 | დინამო | 13 | 4 | 9 | 0 | 13:3 | 10 | 38 | 6 | 2 | 4 | 0 | 7:2 | 5 | 10 | 7 | 2 | 5 | 0 | 6:1 | 5 | 11 |
| 4 | კოლხეთი | 13 | 7 | 3 | 3 | 18:8 | 10 | 37 | 7 | 6 | 1 | 0 | 14:2 | 12 | 19 | 6 | 1 | 2 | 3 | 4:6 | -2 | 5 |
| 5 | ბათუმი | 13 | 7 | 2 | 4 | 20:10 | 10 | 36 | 6 | 4 | 1 | 1 | 15:2 | 13 | 13 | 7 | 3 | 1 | 3 | 5:8 | -3 | 10 |
| 6 | სიონი | 13 | 2 | 1 | 10 | 12:32 | -20 | 18 | 7 | 2 | 1 | 4 | 11:13 | -2 | 7 | 6 | 0 | 0 | 6 | 1:19 | -18 | 0 |
| 7 | იბერია | 13 | 2 | 2 | 9 | 6:28 | -22 | 17 | 6 | 2 | 1 | 3 | 3:7 | -4 | 7 | 7 | 0 | 1 | 6 | 3:21 | -18 | 1 |
| 8 | დილა | 13 | 2 | 0 | 11 | 9:31 | -22 | 16 | 7 | 2 | 0 | 5 | 4:12 | -8 | 6 | 6 | 0 | 0 | 6 | 5:19 | -14 | 0 |

### «ბ» ზონა

| № | გუნდები | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | მერანი | 13 | 8 | 4 | 1 | 16:5 | 11 | 36 | 7 | 5 | 2 | 0 | 10:1 | 9 | 17 | 6 | 3 | 2 | 1 | 6:4 | 2 | 11 |
| 10 | გორდა | 13 | 8 | 2 | 3 | 24:8 | 16 | 34 | 7 | 5 | 1 | 1 | 12:3 | 9 | 16 | 6 | 3 | 1 | 2 | 12:5 | 7 | 10 |
| 11 | ლოკომოტივი | 13 | 7 | 3 | 3 | 20:7 | 13 | 33 | 6 | 3 | 3 | 0 | 9:2 | 7 | 12 | 7 | 4 | 0 | 3 | 11:5 | 6 | 12 |
| 12 | თსუ | 13 | 8 | 0 | 5 | 19:13 | 6 | 32 | 6 | 5 | 0 | 1 | 8:2 | 6 | 15 | 7 | 3 | 0 | 4 | 11:11 | 0 | 9 |
| 13 | სამგურალი | 13 | 7 | 3 | 3 | 15:7 | 8 | 30 | 6 | 5 | 0 | 1 | 10:3 | 7 | 15 | 7 | 2 | 3 | 2 | 5:4 | 1 | 9 |
| 14 | თბილისი | 13 | 3 | 2 | 8 | 11:24 | -13 | 18 | 7 | 2 | 1 | 4 | 6:10 | -4 | 7 | 6 | 1 | 1 | 4 | 5:14 | -9 | 4 |
| 15 | არსენალი | 13 | 3 | 0 | 10 | 11:25 | -14 | 14 | 6 | 3 | 0 | 3 | 10:12 | -2 | 9 | 7 | 0 | 0 | 7 | 1:13 | -12 | 0 |
| 16 | ხობი | 13 | 1 | 0 | 12 | 11:38 | -27 | 8 | 7 | 1 | 0 | 6 | 7:22 | -15 | 3 | 6 | 0 | 0 | 6 | 4:16 | -12 | 0 |

# «ა» ზონა

გორი
22 მაისი
18 საათი
ცენტრალური
1 500 (ტევადობა 8 230)

## დილა 0:4 ტორპედო

0:1 ბობოხიძე (22), 0:2 იონანიძე (26პ), 0:3 ჯანაშია (83), 0:4 მეგრელაძე (87)
**დილა:** მდივანი, კოჭლაშვილი (არუთინიანი 33), რ. ხაჭაპურიძე, გაგნიძე, ლ. გოჩაშვილი, ლომიძე, ოლგესაშვილი (კარელიძე 66), ციცქიშვილი (ებანოიძე 55), საყვარელიძე, ფეზუაშვილი, სულთანიშვილი
*სათადარიგონი:* თ. ილურიძე; ხორგუაშვილი
**ტორპედო:** ჭანტურია, იონანიძე (კ. კვეტენაძე 77), მახვილაძე, გოგიაშვილი, დ. ჯანაშია, ჩხეტიანი, თურმანიძე, მ. ბობოხიძე (მეგრელაძე 64), ახვლედიანი, ასათიანი (შეყრილაძე 43), ხვადაგიანი
*სათადარიგონი:* ზოიძე; ვაჩიბერაძე, ამისულაშვილი, იმედაძე
**გაფრთხილება:** საყვარელიძე (35)
**მსაჯები:** ო. გუნთაძე (ლანჩხუთი); ზ. დოლიძე, ს. შალამბერიძე; ა. შილაკაძე (ყველა თბილისი);
**სფფ-ის ინსპექტორი:** მ. ლაცაბიძე

მცხეთა
23 მაისი
18 საათი
არმაზი
3 000 (ტევადობა 3 000)

## ვიტ ჯორჯია 2:0 ბათუმი

1:0 ყიფიანი (11), 2:0 ჭანკოტაძე (80)
**ვიტ ჯორჯია:** ჭურაძე, ჯ. მუჯირი, ჭანკოტაძე, საჯაია, თოდუა, კობიაშვილი, ლ. ნოზაძე, ყიფიანი, დ. დოლიძე, ვ. გოჩაშვილი (რ. გოცირიძე 58), გიორგი ქორიძე (დილმელაშვილი 82)
*სათადარიგონი:* მამარდაშვილი; ზ. გვაზავა, ი. ხაჭაპურიძე, მორჩილაძე, კოტორაშვილი
**ბათუმი:** ტოგონიძე, მინდაძე, მ. მახარაძე (აფხაზავა 46), არჩვაძე ხუჯაძე, სიდამონიძე (ქაცარავა 83), ი. მახარაძე, თედორაძე (გელა ქორიძე 63), ხომერიკი, ა. მუჯირი, რომანაძე
*სათადარიგონი:* ჩლაიძე; სიხარულიძე, სიამაშვილი, დარჩიძე
**გაფრთხილება:** ა. მუჯირი (37), მ. მახარაძე (43), არჩვაძე (54)
**გაძევება:** მ. მახარაძე (შესვენებისას, შეცვლის შემდეგ), არჩვაძე (78)
**მსაჯები:** თ. ლაცაბიძე (სურამი); ვ. ჩოჩიშვილი, ზ. ჯვარიძე; ს. კახიანი (ყველა თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** გ. ფირცხალავა

ბოლნისი
23 მაისი
18 საათი
თემურ სტეფანია
1 000 (ტევადობა 3 000)

## სიონი 0:2 დინამო

0:1 მონასელიძე (11), 0:2 არველაძე (48)
**სიონი:** ვოლკოვი, დიმიტრიშვილი, ვ. მაისურაძე, სვანიძე (მ. სამხარაძე 46), ნ. მინდიაშვილი, მ. გოგოლაძე, მოსეშვილი (ა. ბოკერია 79), ისიანი, სოლოღაშვილი, კ. გოგოლაძე, დ. ჯაფარიძე (ბ. შენგელია 46)
*სათადარიგონი:* დალაქიშვილი; თ. სამხარაძე
**დინამო:** გრიშიკაშვილი, შაშიაშვილი, ქემოკლიძე, დიდავა, ა. სახვაძე, გაბიდაური (ო. გველესიანი 58), სიჭინავა, არველაძე, მონასელიძე (წიტაიშვილი 46), გ. შენგელია, დათუაძე
*სათადარიგონი:* ა. ჩიხრაძე; ჩხეიძე
**გაფრთხილება:** სახვაძე (36), სოლოღაშვილი (62)
**მსაჯები:** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); მ. მაისურაძე (თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** მ. მიმინოშვილი

ფოთი
23 მაისი
18 საათი
ფაზისი
2 500 (ტევადობა 6 000)

## კოლხეთი 1:0 იბერია

1:0 ხუჭუა (36)
**კოლხეთი:** ქვაჩახია, გოროზია, ტორჩინავა, დავითნიძე, ფანჩულიძე, კიკლიაშვილი, ხუჭუა, ე. გვასალია (ახალკაცი 72), კედელაშვილი, მ. ქობულაძე (შავგულიძე 62), ღალანიძე
*სათადარიგონი:* მ. გვასალია; პაპავა, დ. კვირკველია, გ. ჩიტაია
**იბერია:** ა. ჩომახიძე, ბიწაძე, ჟვანია, მიქელთაძე, დ. ნოზაძე, ხურციძე (გედენიძე 59), ივეჩიანი, მუმლაძე, კ. ჯანაშია (ნაროუშვილი 63), ს. გიგიაძე, ვ. გიგიაძე
*სათადარიგონი:* ვარდანიძე; დ. ონიანი
**გაფრთხილება:** ვ. გიგიაძე (29), ბიწაძე (36), ივეჩიანი (45), გედენიძე (61), შავგულიძე (79)
**მსაჯები:** მ. მალალურაძე; მ. ელიკაშვილი, ლ. სილაგავა (ყველა თბილისი); კ. მესხი (ზუგდიდი)
**სფფ-ს დელეგატი:** ნ. ამირეჯიბი

# «ბ» ზონა

თბილისი
22 მაისი
18 საათი
სინათლე
1 000 (ტევადობა 3 000)

## მერანი 3:1 ლოკომოტივი

0:1 გოდერძიშვილი (20), 1:1, 2:1 დავითაშვილი (72, 85), 3:1 როსტიაშვილი (89)
**მერანი:** ნაჭყეპია, ცქიფურიშვილი, დევიძე, ილურიძე, გ. კვეტენაძე (დავითაშვილი 46), კობესაშვილი, კაკაბაძე (ამბიძე 85), ბოლქვაძე (ჭინჭარაული 27), გუჯაბიძე, კარიაული, როსტიაშვილი
*სათადარიგონი:* კოროშინაძე; კოშკაძე, ჯიშკარიანი, თოლორდავა
**ლოკომოტივი:** ასლანაძე, ბალაშვილი, ონიანი, გილაური, გ. ჩხაიძე, გამცემლიძე, პარამონოვი (რუსია 37), ჭიჭვეიშვილი, ძოძუაშვილი (ლ. მიქაძე 46), დ. გოდერძიშვილი, კაციაშვილი
*სათადარიგონი:* ლომაია; ლ. ჩხაიძე, გულორდავა, გველესიანი
**გაფრთხილება:** გ. ჩხაიძე (58)
**მსაჯები:** ა. მეშკოვი (თბილისი); ზ. ხუციშვილი (დმანისი), ზ. მენთეშაშვილი (თბილისი); ა. ორდინიძე (ონი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო

რუსთავი
23 მაისი
18 საათი
ფოლადი
1 200 (ტევადობა 10 700)

## გორდა 2:0 თსუ

1:0 კიტეიშვილი (66), 2:3 ვ. კილასონია (81)
**გორდა:** ბედიაშვილი, მჭედლიძე, ბექაური, მ. სახვაძე, ბერიძე, ვ. კილასონია, მელაძე, გ. კილასონია, ა. ბუკია (კიტეიშვილი 46), კ. ალადაშვილი (ბაჩილავა 72), ზ. ლაბაძე (პატარიძე 62)
*სათადარიგონი:* გონგაძე; სილაგაძე, წიკლაური
**თსუ:** გუგუნავა, ლობჟანიძე (გ. გოცირიძე 76), ინწკირველი, ებრალიძე, სვანაძე (ქადაგიძე 46), ადამია, დეკანოსიძე (ახალაძე 70), ბ. ნოზაძე, კვიციანი, მაზიაშვილი, ერაძე
*სათადარიგონი:* მერლანი; ბარქაია
**გაფრთხილება:** ადამია (23), სვანაძე (24), გ. კილასონია (32), მჭედლიძე (33), სახვაძე (36)
**გაძევება:** ადამია (23)
**მსაჯები:** ა. შალამბერიძე; გ. კიკაჩეიშვილი, ნ. რუსიშვილი; პ. დოგრაშვილი (ყველა ქუთაისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. დურსუნიში

თბილისი
23 მაისი
17.55 საათი
ისანი
200 (ტევადობა 3 000)

## თბილისი 2:0 არსენალი

1:0, 2:0 გადელია (21, 27)
**თბილისი:** მამალაძე, ზვ. ლაბაძე (ყუფარაძე 50), კანდელაკი, დ. ტყებუჩავა, ჩივაძე, ი. შენგელია, ამაშუკელი, ბურდული (ძაგნიძე 46), ნორაკიძე (მუმლაძე 46), ლოლაძე, გადელია
*სათადარიგონი:* სულაქველიძე, მანჭარაული
**არსენალი:** კუპატაძე, ასპინძელაშვილი, ირემაშვილი (კვირკველია 46), ხარებავა, სულაძე, შუკაკიძე, კაკაშვილი, ა. ხმალაძე, ქოიავა, ჩალაძე, გ. ტულუში
*სათადარიგო:* წოწკოლაური
**გაფრთხილება:** ბურდული (31), ტყებუჩავა (56)
**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი (თბილისი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ბ. ბრეგვაძე, ჯ. ბუიშვილი (ორივე ჭიათურა)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ი. მჭედლიშვილი

სენაკი
23 მაისი
18 საათი
ეგრისი
500 (ტევადობა 3 000)

## ხობი 0:2 სამგურალი

0:1 სუხიაშვილი (23), 0:2 ქუთათელაძე (27)
**ხობი:** ნიქაბერიძე, ბერაია, კ. ოდიშარია, მ. ბუკია, ზურაბ აიანადი, დ. ჩიტაია, ლ. ვართაგავა, ვ. ჩიტაია, ლ. ბუკია (ლატარია 67), ჭიჭინაძე, ა. ჯიქია
*სათადარიგონი:* აბაკელია, დ. დანელია, ქაშიბაძე, ხურცილავა
**სამგურალი:** სტურუა, ჭელიძე (ჭყონია 85), ფრანგიშვილი, ბერაძე, სუხიაშვილი, დარსაძე, გიორგობიანი, ბაბუნაშვილი, ჩხაბერიძე (ვოსკანოვი 46), კვერნაძე (ფუტკარაძე 75), ქუთათელაძე
*სათადარიგონი:* ბოდოკია, ნებიერიძე, გ. გოგოლაძე
**მსაჯები:** გ. ასკაროლლი; გ. მარლიშვილი (ორივე ქარელი), ლ. რაზმაძე; ზ. ანიაშვილი (ორივე გორი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ნ. კაკულია

# ვალი აიღეთ, ოღონდ ზომიერად

ევროთასებზე თამაშის უფლების მოსაპოვებლად კონტინენტის კლუბებს მალე უეფას საგანგებო ლიცენზია დასჭირდებათ, ლიცენზიას კი მხოლოდ მათ მისცემენ, ვინც ოთხ პირობას დააკმაყოფილებს: ინფრასტრუქტურასთან, ადმინისტრაციულ, ფინანსურ-იურიდიულ და სპორტულ საკითხებთან დაკავშირებით.

უეფას აღმასრულებელი შეფის მოადგილემ, მარკუს შტუდერმა ხაზგასმით განაცხადა: „ვალში მყოფი კლუბები შეჯიბრებაში მაინც დაიშვებიან, ვინაიდან ვალი ძალიან ბევრს აქვს, მაგრამ ჩვენ მათი ბანკებიდან გარანტიას ვფლობთ“.

და მაინც, თუ უეფა შეიტყობს, რომ ესა თუ ის კლუბი ვალშია და სეზონის განმავლობაში გაკოტრების საშიროების წინაშე დგას, იგი მას ლიცენზიას არ მისცემს.

ლიცენზიის არგაცემის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი უეფას მიერ დადგენილი საყმაწვილო ფეხბურთის განვითარების სისტემის არქონა იქნება.

პროექტს ივნისში ორგანიზაციის აღმასკომი განიხილავს და თუ სერიოზული ხინჯი არ იქნა, იგი 2002-03 წლის სეზონიდან ამოქმედდება.

და კიდევ ერთი სიახლე: 2000-2001 წლების სეზონში უეფას თასზე სან მარინოს ჩემპიონიც გამოვა, რაც იმას ნიშნავს, რომ ისტორიაში პირველად ევროთასებში ევროპის საფეხბურთო სისტემაში გაერთიანებული 51-ვე ქვეყანა მიიღებს მონაწილეობას.

# ალარც მალდინი, ალარც ვიერი?

იტალიის ნაკრების კაპიტანმა პაოლო მალდინიმ და საუკეთესო თავდამსხმელმა კრისტიან ვიერიმ, შესაძლოა ევრო 2000-ზე ვერ ითამაშონ. მალდინის მარჯვენა ფეხის ცერა თითის, ხოლო ვიერის ორთავა კუნთის ტრავმები აწუხებთ.

ეს ინფორმაცია გუშინ კოვერჩანის საწვრთნელი ბაზიდან გუნდის ექიმმა ანდრეა ფერეტიმ გაავრცელა. მალდინის 22 აპრილის შემდეგ აღარ უთამაშია, ამის გამო გამოტოვა პორტუგალიასთან ამხანაგური მატჩი და სერია A-ს ბოლო სამი შეხვედრა. ვიერის კი გუშინწინ, „პარმას“ წინააღმდეგ სერია A-ს საჩემპიონთაღიგო პლეი ოფში ძველი ტრავმა გაუმიზეზდა. ექიმები განსაკუთრებით თავდამსხმელის ჯანმრთელობას ჩაუფიქრებია, მარჯვენა ფეხის ორთავა კუნთის ტრავმა თებერვლის შემდეგ ვიერის მესამედ გაუმიზეზდა.

# დაფასებული



„გალათასარაის“ პრეზიდენტი ფარუკ სურენი (მარცხნივ), თურქეთის პრემიერ-მინისტრი ბულენთ ეჩევითი და ფათიჰ თერიმი

თურქული „გალათასარაის“ მთავარ მწვრთნელ ფათიჰ თერიმს, რომელმაც წლეულს გუნდს ქვეყნის ჩემპიონობა, ეროვნული და უეფას თასები მოაპოვებინა, 1 ივლისს კონტრაქტი უსრულდება. სპეციალისტს რამდენიმე იტალიური და ესპანური გუნდი იწვევს, თავად თერიმი კი აცხადებს, რომ მას მშობლიურ „გალათასარაიში“ სურს დარჩენა: „ყველაფერს ვილონებ, რომ სტამბოლიდან არ წავიდე. გუნდი მიყვარს, ჩემი სახელი „გალათასარაის“ უკავშირდება“ — განაცხადა თერიმმა თავის ერთ-ერთ ოფიციალურ გამოსვლაში.

იგი ახლა თვის ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე დაფასებული კაცია. უეფას თასის მოგება თურქთათვის ჯერ არნახული წარმატებაა. ამ ყველაფრის შემოქმედი კი სწორედ ფათიჰ თერიმია. „გალათასარაის“ პრეზიდენტი ფარუკ სურენი და მწვრთნელი სამშაბათს თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ბულენთ ეჩევითმა თავისთან მიიწვია.

ანკარის სამთავრობო რეზიდენციაში მათ პატივით შეხვდნენ, ტრიუმფატორებმა ქვეყნის პრემიერს უეფას თასიც აახლეს.

# ლემერს კონტრაქტი გაუგრძელდეს

საფრანგეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი როჟე ლემერი გუნდს 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატამდე უხელმძღვანელებს. ეს ინფორმაცია ოთხშაბათს თავად ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა კლოდ სიმონემ დაადასტურა. „ფედერაციის საბჭოს ვთხოვე, ლემერისთვის მხარი დაეჭირათ, მსოფლიოს მომავალი პირველობისთვის გუნდს სწორედ იგი მოამზადებს და თავად ტურნირზეც უხელმძღვანელებს“ — განაცხადა სიმონემ.

პრეზიდენტს ისიც ჰკითხეს, საფრანგეთის ნაკრებს რაიმე პრობლემები თუ აქვსო. მან უპასუხა: „სირთულეებსა და წინააღმდეგობებს მხოლოდ მაშინ შევებრძოლებით, როცა ისინი წარმოიშვება, მანამდე საგანგაშო არაფერია. კონტრაქტის ორი წლით გახანგრძლივებამ ლემერზე დადებითად იმოქმედა. მას გამარჯვება სწყურია, მე ეს ვიგრძენი“.

სიმონეს განცხადებით, თანამდებობას 2002 წლამდე ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი რეიმონ დომენეშიც შეინარჩუნებს.

## ფეხბურთის რუკასთან



ინგლისური „ნიუკასლის“ მთავარი მწვრთნელი ბობი რობსონი მადრიდის „ატლეტიკოს“ ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებებს აწარმოებს და არ არის გამორიცხული, გუნდის თავდამსხმელი კიკო ნარვაესი თავისთან გადაიბიროს. უხეიროდ ჩატარებული სეზონისა და პრიმერადივიზიონიდან გავარდნის შემდეგ კიკო „ატლეტიკოს“, ალბათ, დატოვებს. 28 წლის ფეხბურთელს თავად არ უთქვამს, თუ სად სურს კარიერის გაგრძელება.

ესპანური „ვალიადოლიდის“ მთავარი მწვრთნელი გრეგორიო მანსანო თანამდებობიდან გაათავისუფლეს. 45 წლის სპეციალისტის ხელმძღვანელობით გუნდმა პრიმერადივიზიონის გათამაშების საბოლოო ცხრილში მერვე ადგილი დაიკავა და მომავალ სეზონში ინტერტოტოს თასზე ასპარეზობის უფლება მოიპოვა. კლუბის პრეზიდენტმა მანსანო მაინც გაუშვა, თუმცა მიზეზი არ გაუცხადებია. მეორე პრიმერადივიზიონელმა, „ნუმანსიამ“ კი ახალი მწვრთნელი აირჩია. კვირას დათხოვნილი ანდონი გოიკოეჩეას ნაცვლად გუნდს ამიერიდან პაკო პერეირა უთავკაცებს. იგი „ნუმანსიას“ 1997-98 წლების სეზონის ბოლოს წვრთნიდა. მაშინ გუნდი მეორე დივიზიონში თამაშობდა. პაკო შემდეგ „მერიდაში“ გადავიდა, მაგრამ დიდხანს იქაც არ გააჩერეს.

ესპანური „ბარსელონას“ ფორვარდი პატრიკ კლუივერტი მომავალი სეზონიდან, შესაძლოა „გლაზგო რეინჯერსში“ აღმოჩნდეს. ერთ-ერთი სააგენტოს ცნობით, შოტლანდიის ჩემპიონმა „ბარსელონას“ თავდამსხმელის სანაცვლოდ 22,5 მილიონი დოლარი შესთავაზა. არ არის გამორიცხული, სულ მალე კატალონიური გრანდი ლუიშ ფიგუმაც დატოვოს. გუშინ გაცნობეთ, რომ პორტუგალიელ ნახევარმცველს „მილანი“ იწვევს. სულ ახლახან კი გავრცელდა ცნობა, რომ ფიგუს გადაბირებას „ლაციოც“ ცდილობს. ფეხბურთელის მენეჯერი ხოსე ვეგა აცხადებს: „რამდენიმე ხელსაყრელი შემოთავაზება მართლაც მივიღეთ. ფიგუ „ბარსელონაში“ ბედნიერია, მაგრამ ზოგიერთი კლუბი იმდენად სოლიდურ თანხას იხდის, რომ ღირს ამ წინადადების გულდასმით განხილვა. თუმც ამჟამად ფიგუ ევრო 2000-ზე ფიქრობს და კონკრეტულად ვერაფერს ვიტყვი“.

ავსტრიული „აუსტრიას“ თავკაცად ჰაინც ჰოხჰაუზერი დაინიშნება. ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა და შემდგომ მთავარმა მწვრთნელმა ჰერბერტ პროჰაზკამ თანამდებობა აპრილში დატოვა და იგი დროებით ერნსტ ბაუმაისტერმა შეცვალა. ბროხჰაუზერი „რიდიდან“ „აუსტრიაში“ გადავა. კლუბებმა შეთანხმებას სამშაბათ საღამოს მიაღწიეს, მწვრთნელის ხელფასი და კონტრაქტის პირობები ოფიციალურად არ გაცხადებულა.

გერმანიის ჩემპიონ მიუნხენის „ბაიერნს“ მალე, შესაძლოა „კაიზერსლაუტერნის“ შვეიცარიელი ნახევამცველი ჩირიაკო სფორცა და დორტმუნდის „ბორუსიას“ მცველი კრისტიან ვიორნსი შეუერთდნენ. სფორცამ განაცხადა, რომ ძლიერ სურს „ბაიერნში“ დაბრუნება, სადაც 1995-96 წლების სეზონში თამაშობდა. „ვიმედოვნებ, რომ გაისად „ბაიერნის“ მაისურას მოვირგებ“ — განაცხადა მან. მიუნხენური კლუბის მენეჯერის ული ჰიონესის ცნობით, ისინი შვეიცარიელი ფეხბურთელის სანაცვლოდ 3 მილიონ გირვანქას იხდიან, კრისტიან ვიორნსის საკითხი კი ჯერჯერობით გაურკვეველია. „ბორუსიას“ ხელმძღვანელობას უკვე დავუკავშირდი — იუწყება ჰიონესი — მათ ერთობ სოლიდური სატრანსფერო თანხა მოითხოვეს. ჯერჯერობით მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ“.

ჰოლანდიელი რუუდ კროლი იოჰან ნეესკენსთან ერთად ეროვნული ნაკრების ასისტენტად იმუშავებს. გამოცდილი დუეტი ფრანკ რაიკარდს გუნდის ევრო 2000-ისთვის მომზადებაში დაეხმარება. რუუდ კროლმა ჰოლანდიის ნაკრებში 83 შეხვედრა ჩაატარა, ეს კი სარეკორდო მაჩვენებელია. სამწვრთნელო კარიერაში იგი ბელგიურ „მეხელენსა“ და ეგვიპტის ნაკრებს ავარჯიშებდა. მომავალი სეზონიდან კროლი „ნაიმეგენის“ თავკაცად დაინიშნება. ქვეყნის ფეხბურთის ასოციაცია კი ნაკრების მთავარი მწვრთნელის, რაიკარდის საქმიანობით კმაყოფილია და სავარაუდოდ, მას კონტრაქტის გაგრძელებას შესთავაზებს. „ფრანკთან შეთანხმება ევრო 2000-ის შემდეგ გვიმთავრდება, ჩვენ მას ვენდობით და, ალბათ, თანამდებობაზე დავტოვებთ, თუმცა ევროპის ჩემპიონატის დასრულებამდე მოლაპარაკებებს არ ვაწარმოებთ“ — განაცხადა ასოციაციის ოფიციალურმა წარმომადგენელმა.

## იტალია

**პლეი ოფი**

**ინტერი 3:1 პარმა**

1:0 რ. ბაჯო (35), 1:1 სტანიჩი (70), 2:1 რ. ბაჯო (83), 3:1 სამორანო (90)

ინტერი: პერუცი, სიმიჩი, კორდობა, ბლანი, დომორო, კოე, ხ. ძანეტი, იუგოვიჩი, სერენა (რეკობა 75), რ. ბაჯო (ფრეზი 85), ვიერი (სამორანო 33)

მწვრთნელი: მარჩელო ლიპი

პარმა: ბუფონი, სარტორი, ტურამი, კანავარო, ფუზერი, ბრედა, ბოლანო (სტანიჩი 60), დ. ბაჯო (დაბო 84), ვანოლი, კრესპო, ამოროზო (დი ვაიო 60)

მწვრთნელი: ალბერტო მალესანი

გაფრთხილება: კანავარო, რ. ბაჯო

მსაჯი: გრაციანო ჩეზარი

25 000 მაყურებელი

რობერტო ბაჯომ „ინტერის“ შემადგენლობაში წესითა და რიგით ბოლო შეხვედრა ჩაატარა, მაგრამ როგორი? 1993 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელმა მილანელებს მომავალი სეზონის ჩემპიონთა ლიგის საგზური მოუტანა. 3:1, ასე მოუგეს „შავ-ლურჯებმა“ „პარმას“ — სერია A-ს საბლოო ცხრილში მეოთხე და მეხუთე, თანაბარქულიანი გუნდების მატჩით იტალიურ სეზონს საბოლოო წერტილი დაესვა.

ვერონაში ჩატარებული შეხვედრის 35-ე წუთზე ბაჯოს მიერ ჯარიმიდან დარტყმულმა ბურთმა ჯანლუიჯი ბუფონის ახლო ძელთან პარმელთა კარის ბადეში ამოჰყო თავი, მაგრამ მეორე ტაიმის 25-ე წუთზე ანგარიში გათანაბრდა — გოლი მოედანზე მეორე ტაიმში შესულმა ხორვატმა ნახევარმცველმა მარიო სტანიჩმა შეაგდო. სტანიჩი მეურვეზე მაღლა ახტა და თავურით მიაღწია მიზანს.

ამის შემდეგ გამოხდა 13 წუთი და ბაჯომ ისევ დააწინაურა თავისიანები: ჩილელმა ივან სამორანომ საჯარიმოს სიღრმიდან ბურთი კიდისკენ გადააგდო, სადაც მას ბაჯო დაუხვდა და ჩინებული დარტყმით გადასწონა სასწორი. მატჩის ბოლო წუთზე კი შეტევა თავად სამორანომ დააგვირგვინა.

ამრიგად, მარჩელო ლიპის გუნდი „ლაციოს“, „იუვენტუსსა“ და „მილანთან“ ერთად ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში ჩაერთვება.

ხოლო ბაჯოს ორმა გოლმა თავიდან ააგორა ხმები მისი მომავლის შესახებ.

„მე სერიოზული პროფესიონალი გახლავართ და ეს გასულ სეზონში დავამტკიცე“ — განაცხადა ფეხბურთელმა მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე, ხოლო როდესაც საგაისო კლუბის შესახებ ჰკითხეს, უპასუხა: „გულწრფელად გპასუხობთ, არ ვიცი. წარმოდგენა არ მაქვს“.

გასულ სეზონში რობერტო ბაჯომ „ინტერის“ შემადგენლობაში ყველა შეჯიბრებაში ერთად 24 მატჩი ჩაატარა. აქედან, თავიდან ბოლომდე, სულ რამდენიმე შეხვედრაში იყო მოედანზე, რის გამოც ლიპისთან სერიოზული კამათი მოუვიდა და მილანიდან წასვლით დაიმუქრა. ბოლო ხანს ჭორთა თანახმად იგი „ნაპოლიში“ უნდა გადასულიყო. იყო ლაპარაკი მშობლიურ „ვიჩენცაზეც“.

ვნახოთ.

## ჰოლანდია

**პლეი ოფი. III ტური. B ჯგუფი**

როოსენდალი — კამბური 2:0; ცვოლე — ექსელსიორი 4:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| როოსენდალი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| ცვოლე | 3 | 1 | 1 | 1 | 6:5 | 4 |
| კამბური | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| ექსელსიორი | 3 | 0 | 1 | 2 | 4:7 | 1 |

## პოლონეთი

29-ე ტური. გურნიკი — ლეხი 4:0; ლკს — ზაგლებე 4:2; ვისლა — ამიცა 1:1; რუხი — ლეგია 0:1; პოლონია — ოდრა 4:1; სტომილი — პლოცკი 2:2; პოგონი — ვიძევი 2:3; გროცლინი — რადიონკოვი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონია | 29 | 20 | 5 | 4 | 55:23 | 65 |
| რუხი | 29 | 15 | 9 | 5 | 51:30 | 54 |
| ვისლა | 29 | 15 | 8 | 6 | 62:38 | 53 |
| ლეგია | 29 | 14 | 10 | 5 | 53:32 | 52 |
| ზაგლებე | 29 | 11 | 9 | 9 | 40:36 | 42 |
| ამიცა | 29 | 10 | 11 | 8 | 41:36 | 41 |
| ვიძევი | 29 | 11 | 6 | 12 | 46:52 | 39 |
| ოდრა | 29 | 10 | 6 | 13 | 32:36 | 36 |
| სტომილი | 29 | 8 | 12 | 9 | 31:41 | 36 |
| გროცლინი | 29 | 11 | 2 | 16 | 29:46 | 35 |
| პოგონი | 29 | 8 | 10 | 11 | 42:52 | 34 |
| რადიონკოვი | 29 | 10 | 4 | 15 | 37:49 | 34 |
| გურნიკი | 29 | 8 | 8 | 13 | 41:39 | 32 |
| პლოცკი | 29 | 8 | 7 | 14 | 33:47 | 31 |
| ლკს | 29 | 7 | 7 | 15 | 27:40 | 28 |
| ლეხი | 29 | 6 | 6 | 17 | 34:57 | 24 |

## მოლდოვა

**თასის ფინალი**

**კონსტრუქტორული 1:0 ზიმბრუ**

# ბატის გზა ბატების გადარჩენილი ქალაქისკენ

გაბრიელ ბატისტუტა მომავალი სეზონიდან „რომაში“ ითამაშებს — გუშინ განაცხადეს, რომ არგენტინელი ფორვარდის მომავალი, ფაქტობრივად გადაწყვეტილია. ვინაიდან ბატისტუტა 9 წლის განმავლობაში „ფიორენტინას“ ერთგულობდა, მისი ახალ გუნდში გადასვლის ამბავი ერთობ გახმაურდა.

ხმაური არგენტინელის აგენტის, სეტიმიო ალოიზიოსა და „რომას“ ოფიციალურ პირთა შეხვედრამ გამოიწვია.

„შეთანხმებასთან ძალიან ახლოს ვართ, მაგრამ ხელმოწერას ცხადია თავად გაბრიელის დაცდა სჭირდება, ის კი არგენტინაშია“ — განუცხადა ალოიზიომ ჟურნალისტებს. ბუენოს აირესიდან ცნობას თავად ბატისტუტაც იმავე სიტყვებით გამოეხმაურა.

კითხვაზე, კიდევ რა არის საჭირო იმისათვის, რომ ხელმოწერა შედგეს, აგენტმა განაცხადა: „მხოლოდ ტექნიკური ხასიათის პრობლემათა მოგვარება“.

ფინანსური დეტალები არ გაუხმაურებიათ, თუმცა იტალიური გაზეთები აცხადებენ, რომ 31 წლის ბატისტუტა დედაქალაქში 32,75 მილიონი დოლარის სანაცვლოდ წავა. „რომას“ ოფისიდან კომენტარი ჯერჯერობით არავის უთქვამს.

ახლა მოკლედ გავიხსენოთ არგენტინელის ბიოგრაფია: იგი ბუენოს აირესის „ბოკა ხუნიორსიდან“ ფლორენციაში 1991 წელს 2,3 მილიონ დოლარად გადავიდა და გუნდში მაშინაც კი დარჩა, როდესაც ის სერია B-ში გავარდა. ეს 1993 წელს მოხდა.

სულ, „ფიორენტინას“ შემადგენლობაში ბატისტუტამ 269 მატჩი ჩაატარა და 168 გოლი გაიტანა, რაც კლუბის რეკორდი გახლავთ. მანამდე ყველაზე მეტი გოლი 50-იან წლებში მოთამაშე შვედ კურტ ჰამრინს ჰქონდა შეგდებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სლოვენია ევრო 2000-ზე

ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა სრეჩკო კატანეცმა დაასახელა ის 22 ფეხბურთელი, რომლებიც ბელგია-ჰოლანდიაში ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებენ.

მწვრთნელმა ყველასდა გასაოცრად, ნაკრებში 22 წლის ანტონ ზლოგარს უხმო, რომელიც „ნოვა გორიცაში" თამაშობს და შვეიცარიულ „სერვეტში" მოასპარეზე ერმინ სილიაკიც მიიწვია. მას ნაკრების მაისურით ჩატარებულ 18 მატჩში 4-ჯერ გამოუჩენია თავი

### მეკარეები

მლადენ დაბანოვიჩი ............... ლოკერენი, ბელგია
დეიან ნემეცი ............................. მურა
მარკო სიმეუნოვიჩი ..................... მარიბორი

### მცველები

სპასოიე ბულაიჩი ................. კიოლნი, გერმანია
მარინკო გალიჩი ......................... მარიბორი
ალექსანდრ კნავსი ................. ტიროლი, ავსტრია
დარკო მილანიჩი .................. შტურმი, ავსტრია
ჟელკო მილინოვიჩი ................ ლინცერი, ავსტრია

### ნახევარმცველები

მილენკო აჩიმოვიჩი ...... ცრვენა ზვეზდა, იუგოსლავია
ალეშ ჩეჰი ............................ გრაცერი, ავსტრია
საშო გაიზერი ............................. გენტი, ბელგია
რუდი ისტენიჩი ................ იურდინგენი, გერმანია
ამირ კარიჩი ................................... მარიბორი
მირან პავლინი .................... კარლსრუე, გერმანია
ზორან პავლოვიჩი ................. დინამო, ხორვატია
ჟონი ნოვაკი ....................... ლე ავრი, საფრანგეთი
ზლატკო ზაჰოვიჩი ......... ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი
ანტონ ზლოგარი ............................ ნოვა გორიცა

### თავდამსხმელები

მილან ოსტერცი ................................ ოლიმპია
მლადენ რუდონია ............ სენტ ტრუიდენი, ბელგია
ერმინ სილიაკი ..................... სერვეტი, შვეიცარია
საშო უდოვიჩი ..................... ლინცერი, ავსტრია

### ევროპის ჩემპიონატის მონაწილეთა ამხანაგური მატჩების განრიგი

| | |
|---|---|
| *ხუთშაბათი, 25 მაისი* | |
| პეკინი. | ჩინეთი — იუგოსლავია |
| *შაბათი, 27 მაისი* | |
| ლონდონი | ინგლისი — ბრაზილია |
| არნემი | ჰოლანდია — რუმინეთი |
| ოსლო | ნორვეგია — სლოვაკეთი |
| *კვირა, 28 მაისი* | |
| სეული | კორეა — იუგოსლავია |
| ზაგრები | ხორვატია — საფრანგეთი |
| *სამშაბათი, 30 მაისი* | |
| პალმა | მალიორკა (ესპანეთი) — გერმანია |
| სუნგნამი | კორეა — იუგოსლავია |
| *ოთხშაბათი, 31 მაისი* | |
| ლონდონი | ინგლისი — უკრაინა |
| *შაბათი, 3 ივნისი* | |
| კოპენჰაგენი | დანია — ბელგია |
| ლუქსემბურგი | ლუქსემბურგი — სლოვენია |
| ლა ვალეტა | მალტა — ინგლისი |
| ოსლო | ნორვეგია — იტალია |
| ბუქარესტი | რუმინეთი — საბერძნეთი |
| ჰონკონგი | სამხრეთ ჩინეთი — იუგოსლავია |
| ლიუბლიანა | სლოვენია — საუდეთი |
| გიოტებორგი | შვედეთი — ესპანეთი |
| ფრაიბურგი | გერმანია — ლიხტენშტაინი |
| *კვირა, 4 ივნისი* | |
| ლოზანა | ჰოლანდია — პოლონეთი |
| *სამშაბათი, 6 ივნისი* | |
| კასაბლანკა | მაროკო — საფრანგეთი |
| *ოთხშაბათი, 7 ივნისი* | |
| ლუქსემბურგი | ლუქსემბურგი — ესპანეთი |

სწრაფად და შეღავათიან ფასებში ვასრულებთ
დიზაინერულ, საპროექტო, სამშენებლო,
სარემონტო და შენობის გამაგრებით სამუშაოებს

Tel. 96 56 67

### ამხანაგური მატჩი

#### უელსი 0:3 ბრაზილია

0:1 ელბერი (62), 0:2 კაფუ (70), 0:3 რივალდო (72)
უელსი: ფრისტონი, გ. რობერტსი, პეიჯი, მელვილი, დილანი, ჯოუნსი (ბელამი 75), სევიჯი (ჯონსონი 75), სპიდი, რობინსონი, სონდერსი, ი. რობერტსი
მწვრთნელი: მარკ ჰიუზი
ბრაზილია: დიდა, სილვინიო, ძაგო, ალდაირი (კარვალიო 84), კაფუ (მარკოს ასუნსაო 84), ზე რობერტო, სეზარ სამპაიო, რივალდო (ევანილსონი 84), ემერსონი, ფრანკა, ელბერი (დენილსონი 70)
მწვრთნელი: ვანდერლეი ლუქსემბურგო
72 500 მაყურებელი

ბრაზილიელებს აქამდე ორჯერ უთამაშიათ კარდიფში და ვერც ერთხელ ვერ გაუმარჯვიათ. 1983 წელს მათი პირველი სტუმრობა ფრედ დასრულდა, 1991 წელს კი სულაც მასპინძლებმა მოიგეს — 1:0.

უელსელებს ტრადიციის დარღვევა არ სურდათ და სტუმრებს მედგრად დაუხვდნენ. მაგრამ ბრძოლა მხოლოდ 62-ე წუთამდე გაგრძელდა — მერე უელსელებს ძალა აღარ ეყოთ. შემდგომ ათ წუთში კი ბრაზილიელებმა გაიბრწყინეს. მასპინძელთა მეკარე როჯერ ფრისტონმა ზე რობერტოს დარტყმული ბრწყინვალე ნახტომში მოიგერია, მაგრამ ბაიერნელი ჯოვანი ელბერის დამატებულს ველარაფერი მოუხერხა. მერე კაფუმ ორამდე გაზარდა სხვაობა, ხოლო დენილსონის პასით რივალდომ თავით მესამეც შეაგდო. ამ ათ წუთში ბრაზილიელებმა ერთადერთი შეცდომა დაუშვეს — ჯონ რობინსონის დარტყმულმა ბურთმა დიდას კარის ძელს სულ რამდენიმე სანტიმეტრით ჩაუქროლა.

სამხრეთამერიკელებს შაბათს დიდი გამოცდა ელით — მათ ინგლისის ნაკრები დაუხვდება „უემბლიზე".



უელსელთა კაპიტანმა გარი სპიდმა ბრაზილიელ ფრანკას ბურთი არ დაანება

## რივალდო გადიდგულდა

გეხსომებათ, შუა სეზონში ლუის ვან გაალსა და რივალდოს შორის კონფლიქტი წარმოიშვა. ბრაზილიელმა მაშინ განაცხადა, მე ცენტრში თამაშს ვარ ჩვეული და მწვრთნელი ფლანგზე მაყენებსო. ფეხბურთელის უკმაყოფილება ამ ფრაზით შემოიფარგლა, თუმცა ჰოლანდიელის რისხვა ამითაც დაიმსახურა. ვან გაალმა რივალდო დასაჯა და რამდენიმე მატჩი გამოატოვებინა. მერე ცხოვრება ჩვეულ კალაპოტს დაუბრუნდა, მწვრთნელმა შეგირდს შეუნდო, ხოლო რივალდომ მოიბოდიშა და მსგავსი განცხადებები აღარ გაუკეთებია.

დღეს „ბარსელონაში" აღარც ნუნიესია და აღარც ვან გაალი. რივალდოსაც გული მიეცა და კვლავ თავის სურვილებზე ალაპარაკდა: „კლუბიდან წასვლას არ ვაპირებ. აქ თავს ბედნიერად ვგრძნობ, მაგრამ... იმედი მაქვს, ხელფასს გამიზრდიან". აბა, ნუნიესისა და ვან გაალის დროს გაებედა პირობების გაუმჯობესებაზე საუბარი. მერე რა, რომ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელია. რივალდომ ისიც დაამატა, შევხედავ, როგორ შევეგუები ახალ მწვრთნელსა და პრეზიდენტს. „ბარსელონას" წინაშე დიდი დამსახურება მიმიძღვის და კარგი იქნება, თუ ამას გაითვალისწინებენო.

ეჰ, რა დრო დაუდგა „ბარსელონას", რივალდოს აქამდე ათჯერ გააგდებდნენ.



რივალდო

## Copa Toyota Libertadores '2000

### მეოთხედფინალი. პირველი მატჩები

მთავარი შეხვედრა, ცხადია, ბუენოსაირესული დერბია, ის, რასაც არგენტინელები „სუპერკლასიკას" უწოდებენ. ამ თამაშში რივერელმა ხავიერ სავიოლამ გაიბრწყინა და გამარჯვების გოლი შეაგდო. ეს ის სავიოლაა, ვისაც არგენტინელ ყმაწვილ ფეხბურთელთაგან ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავად მიიჩნევენ და ბევრი მარტინ პალერმოსაც ამჯობინებს.

ბრაზილიურმა „პალმეირასმა" ნახევარფინალში გასვლა, ფაქტობრივად, გაინაღდა — სტუმრად ძლეულ „ატლასს", ალბათ, შინაც იოლად გაუმკლავდება. ასეც რომ არ მოხდეს, ბრაზილიას შემდეგ ეტაპზე მინიმუმ ერთი გუნდის გაყვანა გარანტირებული აქვს („ატლეტიკოსა" და „კორინთიანსის" წყვილს შორის გამარჯვებულზე მოგახსენებთ).

„ამერიკისა" და „ბოლივარის" საპასუხო შეხვედრა როგორ დასრულდება, ძნელი განსაჭვრეტია, არგენტინული „სუპერკლასიკისა" კი, მით უმეტეს.

#### ატლეტიკო მინეირო (ბრაზილია) 1:1 კორინთიანსი (ბრაზილია)

0:1 ლუიზაო (42), 1:1 გილერმე (57პ)
ატლეტიკო მინეირო: ველოსო, ბრუნო, ჟილბერტო, კლაუდიო კაკაპა, კლეისონი, რონილდო, გილერმე, გალო, მარკეში, რამონი (ანდრე 85), ლინკოლნი (კაიკო 79)
მწვრთნელი: მარსიო არაუიო
კორინთიანსი: დიდა, დანიელი, ფაბიო ლუსიანო, ადილსონი, ვამპეტა (ჟილმარი 88), კლებერი, მარსელინიო კარიოკა, ედუ, რიკარდინიო, ედილსონი (მარკოს სენა 84), ლუიზაო (დინეი 83)
მწვრთნელი: ოსვალდო დე ოლივეირა
გაფრთხილება: ფაბიო ლუსიანო, ბრუნო, კლებერი, გალო, კლეისონი, ლუიზაო, გილერმე, მარსელინიო კარიოკა, დანიელი, ადილსონი
მსაჯი: ლუსიანო ალმეიდა (ბრაზილია)

#### რივერ პლეიტი (არგენტინა) 2:1 ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)

1:0 ანხელი (14), 1:1 რიკელმე (30), 2:1 სავიოლა (46)
რივერ პლეიტი: ბონანო, ტროტა, პლასენტე, ლომბარდი, ლედესმა, იეპესი, სავიოლა, დიასი (ფრანკო 20), ანხელი, აიმარი (ბერიზო 78), განკედო (რამოსი 86)
მწვრთნელი: ამერიკო გალიეგო
ბოკა ხუნიორსი: კორდობა, ბერმუდესი, არუაბარენა (მატელანი 74), იბარა, ტრავერსო, სამუელი, დელგადო (გილერმო ბაროს შელოტო 73), ბასუალდო, მორენო, რიკელმე, გუსტავო ბაროს შელოტო
მწვრთნელი: კარლოს ბიანკი
გაფრთხილება: ლედესმა, ტრავერსო, ლომბარდი, აიმარი, ბასუალდო, გუსტავო ბაროს შელოტო, იბარა, მატელანი, გილერმო ბაროს შელოტო, ბერიზო
მსაჯი: კლაუდიო მარტინი (არგენტინა)

#### ატლასი (მექსიკა) 0:2 პალმეირასი (ბრაზილია)

0:1 პენა (14), 0:2 ეულერი (79)
როდრიგესმა ვერ გაიტანა პენალტი (20, მეკარე)
ატლასი: კაბუტო, სალასარი, მენდესი, კოკა, ბრისენო, ტორესი (კასერესი 46), როდრიგესი, სეპედა, კასტილიო, ოსორნო, სანტილიანა (და სილვა 46)
მწვრთნელი: რიკარდო ლავოლპე
პალმეირასი: მარკოსი, ნენემი, არჟელი, გალეანო, როკე ჟუნიორი, სეზარ სამპაიო (ფერუგემი 80), ფერნანდო, როჟერიო (ტიაგო 73), ალექსი, ეულერი (მარსელო რამოსი 84), პენა
მწვრთნელი: ლუის ფელიპე სკოლარი
გაფრთხილება: გალეანო, და სილვა, ფერნანდო, ტიაგო
მსაჯი: უბალდო აკინო (პარაგვაი)

#### ამერიკა (მექსიკა) 2:0 ბოლივარი (ბოლივია)

1:0 ლუნა (65), 2:0 ბლანკო (87)
ამერიკა: მარტინესი, სალგადო, დავინო, ლარა (მ. სანჩესი 88), დე ფარია (ჟ. სანჩესი 67), კალდერონი (ერმოსილიო 52), ბლანკო, პარდო, სილვა, ლუნა, ესტაი
მწვრთნელი: ალფრედო ტენა
ბოლივარი: მალტალიატი, პიზარო, ფერეირა, ლოსანო, სორია, გატი რიბეირო, გარსია, ბოტერო (გოტარდი 83), ბალდივიესო, მერკადო, კასტილიო
მწვრთნელი: ლუის ოროსკო
გაფრთხილება: ლარა, სორია, ბლანკო
მსაჯი: ეპიფანიო გონსალესი (პარაგვაი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიდნეი 2000

# საუკუნის სპორტსმენს საუკეთესოდ ლევან თედიაშვილი მიაჩნია

*სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ვიქტორ სანეევი, ვინც საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენ მამაკაცად აღიარეს, სიდნეიში პრესტიჟულ სპორტულ ინსტიტუტში — NEW SOUTH WEST (NSW)-ში ამზადებს ახალგაზრდა ავსტრალიელ სამხტომელებს. ალბათ იცით, რომ სექტემბერში სიდნეიში გასამართ ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე სანეევი ჩვენი დელეგაციის ოფიციალური ოლიმპიური ატაშეა, ახლახან ვიქტორ სანაევს ტელეფონით ვესაუბრეთ.*

— ინსტიტუტში ჩემი მოწაფეები 18-22 წლისანი არიან — გვეუბნება ვიქტორ სანეევი — თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ორ-სამ წელიწადში ერთ-ერთი მათგანი ძირითად გუნდში იასპარეზებს. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ვერც ერთმა ჩემმა მოწაფემ ვერ მოიპოვა ოლიმპიური ლიცენზია, არადა ერთს ამის კარგი შესაძლებლობა მიეცა, მაგრამ ვერ გამოიყენა. რაც შეეხება იმ სამხტომელს, ვინც ოლიმპიური ლიცენზია დაიმსახურა, იგი ნაკრების უფროს მწვრთნელ კის კონოსთან ვარჯიშობს.

— რაც შეეხება ჩემს ოლიმპიურ ატაშეობას, ნამდვილად რა ველოდი, რომ ამ მეტად საპასუხისმგებლო მისიას მე მომანდობდნენ. არ თქმა უნდა, ეს ძალიან გამიხარდა, რადგანაც ნებისმიერ დროს მზად ვარ ვემსახურო ჩემს ქვეყანას. არა აქვს მნიშვნელობა ავსტრალიაში ვიქნები თუ სადმე სხვაგან. საქართველო ხომ ჩემი სამშობლოა.

**— ვინ მიგაჩნიათ ოლიმპიური თამაშების ისტორიაში საუკეთესო ქართველ და მსოფლიოში საუკეთესო ათლეტად?**

— ქართველი ათლეტებიდან პირველ ადგილზე უყოყმანოდ დავაყენებდი მოჭიდავე ლევან თედიაშვილს. რადგან მან ორ სხვადასხვა წონით კატეგორიაში მიაღწია წარმატებას, რაც მეტად საძნელო საქმედ მიმაჩნია. თედიაშვილის გარდა უდიდეს სპორტსმენად მიმაჩნია ასევე მოჭიდავე, ცხონებული გივი კარტოზია და ტყვიის მსროლელი ნინო სალუქვაძე, რომელიც ცოტა ხნის წინათ იმ სახეობაში, რომელშიც იგი ასპარეზობს, ყველა დროის საუკეთესო ხუთეულში შეიყვანეს. ჩემს მიერ დასახელებული სპორტსმენების გარდა აღნიშვნის ღირსია ნებისმიერი ქართველი, რომელსაც ოლიმპიური ოქროს მედალი მოუპოვებია, მაგრამ იმ სამს მაინც ყველაზე წინ დავაყენებდი.

რაც შეეხება მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენს, პირველ ადგილს უდავოდ ჯესი ოუენსს მივანიჭებდი, მეორეზე კი კარლ ლუისს დავაყენებდი, რომელსაც, თუ არ ვცდები, მთელი თავისი სპორტული კარიერის განმავლობაში სულ ერთი ასპარეზობა წაუგია.



ვიქტორ სანეევი

**— მართალია, თქვენ საუკეთესო ქართველ სპორტსმენად ლევან თედიაშვილს მიიჩნევთ, მაგრამ საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის რეფერენდუმმა ასეთად თქვენ დაგასახელათ...**

— საუკეთესოდ მე მაინც თედიაშვილს მივიჩნევ, მიუხედავად იმისა, რომ მას ჩემზე ნაკლები ოქროს მედალი აქვს მოპოვებული. რაც შეეხება ჩემს ლაურეატობას, რა თქმა უნდა, ეს ძალიან მესიამოვნა. ხუმრობა ხომ არ არის, სპორტში უდიდესი ტრადიციების მქონე ქვეყანაში რომ საუკეთესოდ დაგასახელებენ.

სამწუხაროდ, იმ დროს ვერ მოვახერხე თბილისში ჩამოსვლა, მაგრამ მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ყველა იმ ქართველს, ვისაც დღემდე ვახსოვარ. მეც ძალზე მიყვარხართ და პატივს გცემთ.

**— თქვენი აზრით, ჩვენი სპორტსმენებიდან ვის აქვს სიდნეიში ოქროს მედლის მოპოვების ყველაზე დიდი შანსი?**

— ეჰ, ტრაფარეტული შეკითხვების დასმას ვერ გადაეჩვიეთ. აბა, რა უნდა გითხრათ, როდესაც პრაქტიკულად არც ერთი ჩვენი სპორტსმენი არ მინახავს უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში. თანაც ოლიმპიურ თამაშებზე რაიმეს პროგნოზირება საკმაოდ რთული საქმეა. თუმცა, მგონია, რომ ოქროს მედლის მოპოვების ყველაზე რეალური შანსი ექნება რომელიმე მოჭიდავეს ან ძიუდოისტს.

**— კი მაგრამ, სალუქვაძე?**

— რაც შეეხება ნინოს, რა თქმა უნდა, ფავორიტთა შორის მოიხსენიება, მაგრამ ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ოქროს მედალი სალუქვაძემ 12 წლის წინათ მოიპოვა. თუმცა იგი ვერცხლის ან ბრინჯაოს მედლის მოპოვების საკმაოდ რეალურ კანდიდატად მიმაჩნია.

**— ოლიმპადის დაწყებამდე სულ უფრო ცოტა დრო რჩება. როგორ აღიქვამენ ყველაფერს ამას თავად ავსტრალიელები?**

— წარმოიდგინეთ, განსაკუთრებული არაფერი ხდება. ორიოდე კვირის წინათ მოაწყვეს გამოკითხვა, რომლის შედეგადაც გაირკვა, რომ ავსტრალიელთა მხოლოდ 36 პროცენტი მოუთმენლად ელის ოლიმპიური თამაშების დაწყებას.

რაც შეეხება მასპინძელთა შანსებს სპორტის ამა თუ იმ სახეობაში, ჩემი აზრით, ავსტრალია სულ მცირე ათ ოქროს მედალს მოიპოვებს, რომელთაგან უმეტესობას მოცურავეები მოიხვეჭენ. ოქროს მედლის მოპოვების კარგი შანსი ექნებათ ასევე ჩოგბურთელებს.

**ზურაბ თალაკვაძე**

## დარჩა 112 დღე

# WADA-ს აგენტები სიდნეიშიც იაგენტებენ

## ვის აუმღვრევს ვადა წყალს?

*სპორტსმენები წარმატების მისაღწევად ორგანიზმში სხვადასხვა სტიმულატორებისა და დოპინგის შეშხაპუნებას არ ერიდებიან. აკრძალული პრეპარატების მიღებაში სოკ-სა და სხვადასხვა საერთაშორისო სპორტულ ფედერაციებს ბევრი ათლეტი უმხელიათ და სათანადოდაც დაუსჯიათ.*

*ამ რამდენიმე დღის წინ, ლიტვაში ჩატარდა დოპინგსაწინააღმდეგო სემინარი. უფრო დაწვრილებით ამის შესახებ გვესაუბრება სეოკ-ის წევრი და ევროსაბჭოს სპორტის კომიტეტის ექსპერტ-დელეგატი თამაზ თევზაძე, რომელიც სემინარის მუშაობას ესწრებოდა:*

— სემინარი ევროსაბჭოსა და ბალტიისპირეთის ქვეყნების არასამთავრობო და სამთავრობო სპორტული ორგანიზაციების ეგიდით გაიმართა. მისი თემა იყო „დოპინგსაწინააღმდეგო პოლიტიკისა და პროგრამების განვითარება ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში". სემინარში მონაწილეობდნენ ყოფილი საბჭოთა ქვეყნების ევროპული ნაწილის ათიდან ცხრა სახელმწიფოს წარმომადგენლები გარდა აზერბაიჯანისა. სემინარის მუშაობაში აგრეთვე მონაწილეობდნენ ევროსაბჭოს სპორტის განვითარების კომიტეტის აღმასრულებელი მდივანი მასუთ ოზიაზუტი, მსოფლიოს დოპინგსაწინააღმდეგო სააგენტოს გენერალური მდივანი ჰარი სივასაალმი, ევროსაბჭოს დოპინგსაწინააღმდეგო კონვენციის მონიტორინგული საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე პირიო კროუვილა და კონვენციის სამი ექსპერტი ჩეხეთიდან, ფინეთიდან და პოლონეთიდან.

**— როდის დაარსდა ეს სააგენტო და ვინ არიან მისი წევრები?**

— ამ ორგანიზაციის შექმნის იდეა შარშან დაიბადა. სოკ-ის 1999 წლის თებერვლის სესიამ მიიღო დეკლარაცია მისი სამედიცინო კომისიისაგან, რათა შექმნილიყო დამოუკიდებელი დოპინგსაწინააღმდეგო სააგენტო და 2000 წლის 13 იანვარს ამ იდეას ხორცი შეესხა. მას ეწოდა „მსოფლიოს დოპინგსაწინააღმდეგო სააგენტო" (WADA), რომლის საბჭოს შემადგენლობაშიც 40 წევრი გაერთიანდა. 17-17 წევრს ირჩევს საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციები და სახელისუფლო სტრუქტურები, დანარჩენ 6 წევრს საბჭო კონსესუსის შედეგად ნიშნავს, სააგენტოს აღმასრულებელი კომიტეტი კი 11 წევრისგან შედგება. სააგენტოსა და აღმასრულებელი საბჭოს ხელმძღვანელი გახლავთ სოკ-ის ვიცე პრეზიდენტი ბატონი რიჩარდ პაუნდი, მის შემადგენლობაში შედიან ისეთი ცნობილი პირები როგორებიც არიან: პრინცი ალექსანდრ დე მეროდი (სოკ-ი), მუსტაფა ლარფაოუ (საერთაშორისო ოლიმპიური ფედერაციები), ფელიჩიანო მეიორალი (ეროვნული ოლიმპიური კომიტეტები), იოჰან ოლაფ კოსი (სპორტსმენთა კომისია)... ჯერჯერობით არ დასახელებულან აზიისა და ევროპის სახელისუფლო წარმომადგენლები.

სემინარის მუშაობამ მეტად ნაყოფიერად ჩაიარა და საბჭომ შექმნა 5 კომისია. ესენია: ფინანსების და ადმინისტრაციის, განათლებისა და ეთიკის, სამეცნიერო კვლევითი და მედიცინის, საკანონმდებლო და სტანდარტისა და ჰარმონიზაციის.

**— რა იყო ამ სემინარის ძირითადი მიზანი?**

— 1989 წელს ევროსაბჭომ მიიღო დოპინგსაწინააღმდეგო კონვენცია, რომელზეც ხელი მოაწერა 41 ქვეყანამ და მათგან 35-ს რატიფიცირებულია. ამ სემინარის ჩატარების ძირითადი მიზანიც გახლდათ მომავლისათვის დოპინგსაწინააღმდეგო პოლიტიკის ეფექტური დანერგვა იმ გამოცდილების გაზიარებითა და ინფორმაციით, რომელიც გააჩნიათ კონვენციის მონაწილე და ჯერ არ მონაწილე ქვეყნებს.

**— ყოფილი საბჭოთა ქვეყნებიდან ადრე თუ იყო ვინმე დაინტერესებული ქვეყანაში დოპინგსაწინააღმდეგო პროგრამის განვითარებით?**

— რა თქმუ უნდა. ამ საკითხში უპირველესად ფხა ბალტიისპირეთის ქვეყნებმა გამოიჩინეს. 1992 წლიდან ისინი აქტიურად ჩაებნენ დოპინგსაწინააღმდეგო კონვენციის მონიტორინგული კომიტეტის მუშაობაში, რათა შეესწავლად დაგროვილი გამოცდილება და დოპინგის წინააღმდეგ თავიანთ ქვეყნებში შეექმნათ სისტემა. 1995 წელს ლიტვამ, ხოლო 1997 წელს კი ლატვიამ და ესტონეთმა ხელი მოაწერა კონვენციას და პარლამენტმა მოახდინა მათი რატიფიცირება. ამის შემდგომ ამ ქვეყნებში შეიქმნა დოპინგსაწინააღმდეგო ეროვნული სტრუქტურები, ხოლო 1998 წელს კი ჩავიდა გაერთიანებული საბჭო. მეტიც, მათ გააჩნიათ სოკ-ის მიერ აკრედიტებული ლაბორატორია. ალბათ სულ მალე საქართველოც შეუერთდება ამ კონვენციას.

**— ეს სააგენტო ალბათ თავის სათქმელს სიდნეიში იტყვის.**

— რა თქმა უნდა. აქვე იმასაც გეტყვით, რომ სააგენტოს 2000 წლის ბიუჯეტი შეადგენს 8 მილიონ ამერიკულ დოლარს, რომელთაგან 2,5 მილიონი აპრილიდან უკვე ხმარდება და 2 სექტემბრამდე გასტანს სიდნეის ოლიმპიადაზე მონაწილე 5000 სპორტსმენის შეჯიბრების და მის გარეთ ტესტირებას. გამოდის, რომ ყოველი მეორე სპორტსმენი გაივლის ტესტს. ჯერჯერობით WADA-ს ხელშეკრულება 28-დან 23 საერთაშორისო ოლიმპური სახეობების ფედერაციებთან აქვს გაფორმებული. 2 სექტემბრიდან, როცა გაიხსნება სიდნეის ოლიმპიური სოფელი, თამაშების დაწყებამდე ე.ი. 16 სექტემბრამდე, სააგენტო შეასრულებს სოკ-ის სამედიცინო კომისიაზე დამკვირვებლის და კონტროლის ფუნქციას, რომელიც თავის მხრივ ამ ორ კვირაში დამატებით კიდევ 400 სპორტსმენის ტესტირებას მოახდენს. სააგენტო სოკ-ის სპორტსმენთა კომისიასთან ერთად აგრეთვე ამზადებს პროექტს სპორტსმენთა „დოპინგ პასპორტის" შესაქმნელად, რომელმაც უნდა მოიცვას სპორტსმენის ჯანმრთელობისა და ტესტირების ინფორმაცია. მომავალში ეს სააგენტო განსაზღვრავს სანქციებს არა მარტო სპორტსმენთა მიმართ, არამედ ყველა ინდივიდუალური პირისადმი, რაც დოპინგთან იქნება დაკავშირებული.

**— ესე იგი, არ არის გამორიცხული, რომ ტესტირება რამდენიმე ქართველ სპორტსმენსაც მოუხდეს.**

— რა თქმა უნდა. სიდნეიში მონაწილე სპორტსმენთა საერთო რაოდენობის 50 პროცენტს, უნდა თუ არა, ტესტირების გავლა მოუწევს. აქედან გამომდინარე იმის ალბათობა, რომ მათ შორის ქართველებიც იქნებიან, ძალიან დიდია. შეიძლება ისიც მოხდეს, რომ ჩვენი 34 ოლიმპიელიდან ნახევარს ან 8-9 კაცს მოუხდეს მკაცრი დოპინგსაწინააღმდეგო ტესტირების გავლა.

**ბაჩა ბერიძე**

# ტარიელი საავადმყოფოდან დაწყებული გზის ოლიმპიური მედლით დაგვირგვინებას აპირებს



*მარტყოფელმა ტარიელ მელელაშვილმა ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობის ანბანი თბილისში ისწავლა და იმთავითვე სპეციალისტთა ყურადღება მიიპყრო. 20 წლისამ ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე იასპარეზა და წარმატების მისაღწევად ერთი ნაბიჯი დააკლდა. ტრავმები, ფათერაკები, წონის ცვლა, მსაჯთაგან დაჩაგვრა მისი სპორტული კარიერის თანმდევია. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ რაიმე ხელშესახები წარმატებისთვის არ მიუღწევია, სიდნეიში მაინც მედლის მოპოვების ერთ-ერთ პრეტენდენტად ითვლება.*

— ჭიდაობაში და საერთოდ სპორტში საკმაოდ მოულოდნელად, შეიძლება ითქვას, პირდაპირ საავადმყოფოდან მოვედი. საქმე ისაა, რომ ბავშვობაში საკმაოდ სუსტი ვიყავი, ხშირადაც ავადმყოფობდი და ყოველ მეორე დღეს ხან სიცხიანი, ხანაც ფილტვების ანთების დიაგნოზით ლოგინს ვიყავი მიჯაჭვული. ბოლოს მამაჩემმა ჩემი გაკაჟებისა და ფიზიკურად მოლონიერების მიზნით ჭიდაობის სექციაში მიმაბარა. მას მერე, რაც სპორტულ სამყაროში ფეხი შევდგი, ავად აღარ გავმხდარვარ.

**— იქნებ შენს კარიერაში ყველაზე გასახარი და გულდასაწყვეტი ეპიზოდები გაიხსენო?**

— საერთოდ სპორტსმენის ცხოვრება ჩვეულებრივ წარმატება-წარუმატებლობითაა აღსავსე. კაცმა წარმატებაც და მარცხიც ვაჟკაცურად უნდა გადაიტანოს. ჩემს არცთუ ისე ხანგრძლივ სპორტულ კარიერაში ყველაზე გასახარი ეპიზოდი ევროპის 1995 წლის ახალგაზრდულ ჩემპიონატს უკავშირდება. მაშინ ავსტრიაში ჩემპიონობა მოვიპოვე. გულდასაწყვეტი კი... რომელი ერთი გითხრათ. ატლანტის ოლიმპიური თამაშები, შარშანდელი ევროპის ჩემპიონატი. სხვაც ბევრი იყო, საიდანაც ამა თუ იმ მიზეზების გამო იმედგაცრუებული და გულდაწყვეტილი დავბრუნებულვარ. სამწუხაროა, რომ ჩემს კარიერაში უფრო სევდის მომგვრელი ეპიზოდები ჭარბობს, მაგრამ გარწმუნებთ, მომავალი წარმატებები ჯერ კიდევ მელის და ჩემს გულშემატკივარს მრავალ სიხარულს ვაჩუქებ.

**— როგორი იყო გასული წელი ტარიელ მელელაშვილისთვის?**

— მე მიღწეულით არასდროს ვკმაყოფილდები. შარშანდელი წლით უკმაყოფილო ვარ, მაგრამ ისიც ნუ დაგავიწყდებათ, რომ ათენის მსოფლიოს ჩემპიონატზე მსაჯები უსინდისოდ მომექცნენ და მედალი რომ უკვე ჯიბეში მეგულებოდა, უნამუსოდ წამგლიჯეს. თავს იმით ვინუგეშებ, რომ შინ მთლად ხელცარიელი არ დავბრუნებულვარ და ოლიმპიური ლიცენზია დავისაკუთრე, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რასაც მსოფლიოს ჩემპიონატზე ვგეგმავდი.

**— წლეულს ევროპის ჩემპიონატზე წარმატების მისაღწევად ერთი ნაბიჯი დაგაკლდა...**

— მართალია, ათენშიც და მოსკოვშიც მინიმუმ ბრინჯაოს მედალი უნდა მომეპოვებინა, მაგრამ არბიტრთა არაობიექტურობამ ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა. მსაჯებმა მოსკოვის ევროპის ჩემპიონატზეც ნახევარფინალში „დამწვეს“ და არ გამახარეს. ეს ყველაფერი სპორტსმენის ფსიქოლოგიაზეც დამთრგუნველად მოქმედებს. როგორი საქმეა, ფინალში გასასვლელ ბრძოლას აშკარად გაგებინებენ, შენ კი არაფრის გაკეთება არ შეგიძლია. ერთი სიტყვით, კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, რომ ჩვენნაირი პატარა და უპატრონო ქვეყნის სპორტსმენი მეტოქეზე მთელი თავით მაღლა უნდა იდგეს.

**— ამიტომაც ბოლო პერიოდში უიღბლო სპორტსმენის სახელი გაგივარდა...**

— გეთანხმებით და იმასაც გეტყვით, რომ საკმაოდ სანდო წყაროებიდან გავიგე, რომ ათენის მსოფლიოს ჩემპიონატზე ნახევარფინალში ნაზიმ ავლუჯასთან რომ წამაგებინეს, თურქებმა საამისოდ კაი გვარიანი თანხაც გადაიხადეს.

მსაჯების არაობიექტურობასთან ერთად ტრავმებმა საკმაოდ გამაწამა. არ მახსოვს არცერთი ტურნირი, მცირედ მაინც რომ არ დავშავებულიყავი. ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე მხარი დამიშავდა, მსოფლიოს ჩემპიონატზე ავლუჯმა ორი ნეკნი გამიტეხა. ვიმედოვნებ, რომ უიღბლოთა სერია წარსულს ჩაბარდება, სიდნეიში მსაჯობაც ნორმალური იქნება და არც ტრავმები შემაწუხებს.

**— ოლიმპიური თამაშები კარს მოგვადგა. როგორ ემზადები ამ შეჯიბრისთვის?**

— ჯერჯერობით მოსამზადებელი პერიოდი კარგად მიმდინარეობს. მართალია, ყველაფერი ისე არ არის, როგორც უნდა იყოს, მაგრამ სამდურავი მაინცდამაინც არ მეთქმის. ნათქვამია, საბანი სადამდეც გაგწვდება, იქამდე დაიფარეო. ვფიქრობ, რომ სექტემბრისთვის ოპტიმალურ ფორმაში ვიქნები.

**— ოლიმპიადამდე რომელიმე საერთაშორისო ტურნირზე თუ იასპარეზებ?**

— რა თქმა უნდა. სხვაგვარად წარმოუდგენელია. ზაფხულში ფინეთის „ა“ კატეგორიის ტურნირში ვიჭიდავებ.

**— ვინ მიგაჩნია სიდნეიში მთავარ კონკურენტად?**

— ჩემს წონაში 6-7 ფალავანია, რომელთანაც თანაბარი შანსი მაქვს. მთავარია მეტოქის ძალები სათანადოდ შეაფასო და ყველასთან ერთნაირი მონდომებით იჭიდაო.

**— ათენის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ გაბრაზებულმა თქვი, სიდნეიში აუცილებლად ოქროს მოვიპოვებო. ხომ არ გადაგიფიქრია?**

— რატომ უნდა გადამეფიქრა? ვგრძნობ, რომ ოლიმპიური ოქროს მოპოვება შემიძლია და იგი ჩემს შესაძლებლობებს არ აღემატება. განსაკუთრებით თურქი ავლუჯის ბეჭებზე გაკვრას ვესწრაფვი. ოლიმპიური ოქრო ჩემი ოცნებაა. გულშემატკივრებს ვპირდები, რომ სიდნეიდან უმედლოდ არ დავბრუნდები.

**— ბევრი ჩვენი სპორტსმენი არჩეული პროფესიის გამო ნანობს...**

— ღმერთმა დამიფაროს. ჭიდაობა სისხლსა და ხორცში მაქვს გამჯდარი და იგი ჩემთვის ყველაფერია.

**— საზღვარგარეთ წასვლას ხომ არ აპირებ?**

— ამაზე ჯერჯერობით არც კი მიფიქრია. რა თქმა უნდა, უცხოეთში ჩვენგან განსხვავებით ყველანაირი პირობებია ნორმალური ვარჯიშისთვის, მაგრამ წასვლას მაინც არ ვფიქრობ. ისე, საკმაოდ კარგი შემოთავაზებები მაქვს გერმანიიდან.

**— ბევრი სპორტული მოღვაწე ქართულ სპორტში შექმნილი მძიმე ვითარების გამო სიდნეიში ჩვენს წარმატებებს საკმაოდ პესიმისტურად უყურებს. თქვენი აზრი როგორია?**

— ვითარება მართლაც მძიმეა, მაგრამ ჩვენს სპორტსმენებს არაერთხელ დაუმტკიცებიათ, რომ მიუხედავად ყველაფრისა, მაინც ძალუძთ საერთაშორისო ასპარეზზე ასე თუ ისე დამაჯერებელი შედეგის ჩვენება. აქედან გამომდინარე ვფიქრობ, რომ თავს არც სიდნეიში შევირცხვენთ.

**ბაჩა ბერიძე**

Sydney 2000

## ოლიმპიური კურიერი

სიდნეის XXVI ოლიმპიური თამაშებისთვის სპორტის გუნდურ სახეობებში პრაქტიკულად ყველა მონაწილემ დაასახელა თავთავიანთი შემადგენლობები. გამონაკლისი არც ამერიკელ კალათბურთელთა ნაკრებია. თუმცა მისი მწვრთნელები გარკვეულწილად დილემის წინაშე აღმოჩნდნენ. საქმე ისაა, რომ ამერიკელთა ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე, სან-ანტონიოს თავდამსხმელი ტიმ დანკანი რეგულარული ჩემპიონატის დასასრულს საკმაოდ მძიმედ დაშავდა, ამიტომ მან რეგულარული ჩემპიონატის დარჩენილ მატჩებსა და პლეი-ოფის შეხვედრებში მონაწილეობა ვერ მიიღო. სათუო გახდა აგრეთვე დანკანის სიდნეიში გამგზავრებაც, რადგან სან-ანტონიოს გუნდის მესვეურებს აშინებთ თავიანთი ლიდერის ჯანმრთელობის შესაძლო გაუარესება. დანკანის სავარაუდო შემცვლელებად კი მწვრთნელებს პორტლენდელი რაშიდ ვოლესი ან ჩიკაგოელი ელტონ ბრენდი ეგულებათ. ყველაფერს ნათელი უახლოეს დღეებში მოეფინება.

## ისინი იასპარეზებენ სიდნეიში



### ვლადიმერ ჭანტურია

**კრივი — 91 კგ**

*ვლადიმერ ჭანტურია დაიბადა 1978 წლის 1 ივლისს ფოთში.*

*სპორტში მეცადინეობა დაიწყო სოზარ კულუას მეთვალყურეობით. იგი არის საქართველოს ექვსგზის ჩემპიონი; 1998 წლის ევროპის პირველობის II პრიზიორი; 1996, 1997 და 1998 წლების საერთაშორისო ტურნირების შესაბამისად III, I და II პრიზიორი.*

**სამი შეკითხვა ლიცენზიანტებს**

**1. რატომ აირჩიეთ სპორტის ეს სახეობა?**

**2. გაიხსენეთ რაიმე კურიოზი თქვენი სპორტული ცხოვრებიდან.**

**3. სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე რომელი ადგილის დაკავებას ვარაუდობთ?**

*1. საერთოდ, ბავშვობაში საკმაოდ ცელქი და მოუსვენარი ვიყავი. ქუჩაში და სკოლაში ხშირად ვჩხუბობდი. ერთხელაც ტელევიზორში კრივს გადმოსცემდნენ, ეს რომ ვნახე, მაშინვე მოკრივედ გახდომა გადავწყვიტე. თავიდან დედაჩემი სასტიკი წინააღმდეგი იყო, სულ ტიროდა, შვილო გავგლახავენო, მაგრამ ახლა ჩემი პირველი გულშემატკივარია.*

*2. 1999 წელს ხორვატიაში სამხედროთა მსოფლიოს ჩემპიონატზე მივემგზავრებოდით. შეჯიბრების პერიოდში სამხედრო აღლუმზე უნდა გამოვსულიყავით. ამიტომ მწვრთნელმა გვითხრა, სამხედრო ფორმა ჩაიცვითო და ჩვენც აეროპორტში ამგვარად გამოწყობილნი მივედით, იქ კი შარვალ-კოსტუმში გამოწყობილი ხალხი რომ დავინახეთ, შეგვრცხვა და გამოსაცვლელად ერთმანეთს ვასწრებდით.*

*3. ოლიმპიურ თამაშებზე, რომ იტყვიან საკუთარი ტყავიდან უნდა ამოვძვრე, მაქსიმუმი გავილო და სიდნეიდან მედლით დავბრუნდე. ამით პირველ რიგში ფოთი და მთელი საქართველო უნდა გავახარო.*



მიკრონეზიელები ტრადიციულ ეროვნულ სამოსში გამოწყობილნი, ნიჟარის საყვირით ეგებებიან ოლიმპიადან სიდნეიში მიმავალი ოლიმპიური ჩირაღდნის გამოჩენას, რომელიც ამ ქვეყნის მესაყვირეთა ვიცე-პრეზიდენტ რედლი კილიონს კანოეთი მოაქვს

ოლიმპიური ჩანართი მოამზადა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრესსამსახურმა

# ნაცვლიშვილი სდასუ-ში არ ითამაშებს

ვახტანგ ნაცვლიშვილს ერთი წელი გაუცდა. ისრაელის „ბნეი ჰერცელიასთან“ კონტრაქტგაფორმებულმა ნაკრების იმდროინდელმა კაპიტანმა თავისი ახალი კლუბის პირველივე ოფიციალურ მატჩში მუხლის მძიმე ტრავმა მიიღო, სეზონიც სრულად გამოტოვა და ვერც ეროვნულ გუნდს შეეშველა ევროპის 2003 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ციკლში.

აქამდე ვატო ტრავმას იმუშებდა, ექვსი-შვიდი თვის მანძილზე ექიმებმა ბურთთან გაკარებაც აუკრძალეს, სხვა რა გზა ჰქონდა, ბედს უნდა დამორჩილებოდა...

ახლახან კი ნაცვლიშვილმა ვარჯიში განაახლა, თავდაპირველად ინდივიდუალურად ემზადებოდა, მერე კი ჩვენში ფიზიკური მომზადების ცნობილ სპეციალისტს, იური სტადუხინს მიებარა და ახლა საგანგებო პროგრამით იწვრთნება.

„ასე მირჩიეს და ჩემი აზრიც დაემთხვა, მსურს, ჯერ ფიზიკურად მოვღონიერდე, მერე ბურთთანაც წავიმუშავებ და, ადრე თუ გვიან, ფორმასაც აღვიდგენ“ — გვითხრა გუშინ ვახტანგ ნაცვლიშვილმა.

ხმები, თითქოს საქართველოს ჩემპიონატის პლეი ოფის ნახევარფინალში ნაცვლიშვილი სდასუ-ს ღირსებას დაიცავს, გაზვიადებული აღმოჩნდა. ეს თავად კალათბურთელმაც იუარა.

ვატოს თავისი გეგმები აქვს, მალე ისრაელში წასვლას აპირებს, სადაც კიდევ ერთხელ უნდა გაესინჯოს ექიმებს. „ბნეი ჰერცელიას“ ხელმძღვანელობა კი თურმე თითქმის ყოველდღე უკავშირდება ნაცვლიშვილს, ამ კლუბის მწვრთნელს დიდი სურვილი ჰქონია, რომ მომავალ სეზონში ჩვენებური თავის კლუბში იხილოს. გულისწადილს არც ნაცვლიშვილი მალავს: „ამ ეტაპზე უკეთეს ვარიანტს ვერც ვინატრებ, დარწმუნებული ვარ, „ბნეი ჰერცელიაში“ შესაძლებლობების სრულად გამოვლენის საშუალება მომეცემა“.

**გიორგი ბიძაშვილი**

# პლეი ოფი მოახლოვდა...

ეროვნულმა ნაკრებმა საევროპო ციებ-ცხელება მოილია და კალათბურთის ქართველი ქომაგის ყურადღებაც ახლა უკვე შინაურმა ასპარეზმა მიიპყრო. სულ მალე მეცხრე ეროვნული ჩემპიონატის პლეი ოფის ნახევარფინალები დაიწყება, უკვე ვადებიც ცნობილია და შეჯიბრის ჩატარების სისტემაც. შეგახსენებთ, რომ თბილისური გუნდები, სტუ და სდასუ მეტოქეებს ვერის ბაღში უმასპინძლებენ, ხოლო ბათუმის „ბასკო“ და რუსთავის „აზოტი“ მშობლიურ ქალაქებში გამართავენ შეხვედრებს. პლეი ოფის ნახევარფინალები სამ მოგებამდე გაიმართება.

| | |
|---|---|
| 30 მაისი | სდასუ — ბასკო |
| | სტუ — აზოტი |
| 2 ივნისი | ბასკო — სდასუ |
| | აზოტი — სტუ |
| 3 ივნისი | ბასკო — სდასუ |
| | აზოტი — სტუ |
| თუ საჭირო გახდა | |
| 5 ივნისი | სდასუ — ბასკო |
| | სტუ — აზოტი |
| 8 ივნისი | ბასკო — სდასუ |
| | აზოტი — სტუ |

# კარნიშოვასი საოპერაციოა

ბოლონიის „ფორტიტუდოს“ ლიტველი ფორვარდი არტურას კარნიშოვასი იტალიის ჩემპიონატის ფინალის მატჩებს ტრიბუნიდან უცქერს. კალათბურთელმა მარცხენა მუხლის ტრავმა მიიღო, რის გამოც სეზონი ნაადრევად დაასრულა.

წინა კვირაში, ხუთშაბათს, კარნიშოვასი ვარჯიშზე იყო, როცა მუხლში ტკივილი იგრძნო. მან წვრთნა გააგრძელა, თუმცა, მოგვიანებით, მუხლში უცნაური ტკაცუნის ხმა გაისმა და ლიტველი წაიქცა.

კარნიშოვასმა მუხლი ექიმებს გაასინჯა. მათ საეჭვო ვერაფერი ნახეს, ამიტომაც კალათბურთელი მეორე დღეს „ფორტიტუდოს“ ვარჯიშზე გამოცხადდა. „თავდაპირველად გავხურდი, მერე ცოტა ვესროლე, მერე კი ცალ ფარზე თამაში დავიწყეთ. ორი წუთის შემდეგ მარცხენა მუხლმა კვლავ გაიტკაცუნა, უფრო მეტად მეტკინა და ისევ წავიქეცი“ — ამბობს კარნიშოვასი.

საფუძვლიანი სამედიცინო გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ ლიტველი კალათბურთელი საოპერაციოა. მარცხენა მუხლი კარნიშოვასს ერთხელ უკვე დაუზიანდა — 1998 წელს, „ოლიმპიაკოსში“ თამაშისას. ევროლიგის მატჩში, პორტუგალიის „პორტუს“ წინააღმდეგ, ლიტველმა ტრავმა მიიღო და ერთი თვე მკურნალობდა.

ახლანდელი ტრავმა უფრო სერიოზულია. ოპერაციას აღდგენითი პერიოდიც უნდა მოჰყვეს, რომელიც, კაცმა არ იცის, რამდენ ხანს გაგრძელდება. ამასობაში კი კარნიშოვასმა სიდნეის ოლიმპიადაზე უნდა დაიცვას ლიტვის ნაკრების ღირსება. ექიმები ოლიმპიადამდე სრულად გამოჯანმრთელების ასპროცენტიან გარანტიას ვერ იძლევიან.

კარნიშოვასს ვერ გადაუწყვეტია, სად გაიკეთოს ოპერაცია. მას იტალიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის მოუწევს ამორჩევა.



საქართველოს კალათბურთის ფედერაცია იუწყება, რომ გარდაიცვალა ფედერაციის მწვრთნელთა საბჭოს თავმჯდომარე

**გივი ჩახავა**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს

## იტალია



კარლტონ მაიერსი ყველაზე შედეგიანი იყო

# სამი გოლიათის ამბავი

პლეი ოფის ფინალი
(სამ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| ფორტიტუდო | 1 |
| ბენეტონი | 1 |

**ბენეტონი 63:76 ფორტიტუდო**

ბენეტონი: ედნი (11), პიტისი (10), შეპარდი (7), მარკონატო (2), დი სპალატრო, ნიკოლა (12), ტრაინა (17), სანტოსი, ნეესი (4), ბულერი

ფორტიტუდო: მაიერსი (22), ფუჩკა (16), გალანდა (8), ბაზილე (15), ვრანკოვიჩი (5), იარიჩი (10), პილუტი

ფინალის მეორე მატჩში ბოლონიის „ფორტიტუდოს“ მწვრთნელმა კარლო რეკალკატიმ მოსალოდნელი ტაქტიკური გადაადგილება მოახდინა. დაშავებული ლიტველი არტურას კარნიშოვასის ნაცვლად სასტარტო ხუთეულში თავდამსხმელად ჯაკომო გალანდა დააყენა. ნომინალური თავდამსხმელი გრეგორ ფუჩკა ფრთად დასწია (კარნიშოვასის ადგილზე), ხოლო ცენტრი, ჩვეულებისამებრ, სტოიან ვრანკოვიჩს გაამაგრებინა. უკანა ხაზს ამ სამეულის პასებით მომარაგება დაევალა. ამით მატჩის ბედი საწყის წუთებშივე გადაწყდა. ტრევიზოს „ბენეტონმა“ ვერ შესძლო საკუთარ ფარქვეშ სამი ფორტიტუდოელი გოლიათის თარეშის ალკვეთა და პირველივე წუთებიდანვე საფუძვლიანად ჩამორჩა მეტოქეს.

მატჩის შემდეგ „ბენეტონის“ მწვრთნელ პიერ ლუიჯი ბუჩის ჰკითხეს, თუ ელოდით, „ფორტიტუდო“ სამ მაღალ კაცს რომ დააყენებდა ხუთეულშიო. „მოულოდნელი არ ყოფილა. მათ წინააღმდეგაც შეიძლებოდა ბრძოლა, მაგრამ ჩვენი მოთამაშეები სათანადოდ არ განეწყვნენ და დავისაჯეთ კიდეც“.

ბუჩის არც „ფორტიტუდოს“ შესანიშნავი დაცვის აღნიშვნა დავიწყნია. მართალიც იყო, რადგან „ბენეტონმა“ პირველ ტაიმში მხოლოდ 23 ქულა დააგროვა. ბოლონიელებმა პირველი მატჩის გმირის, ამერიკელი გამთამაშებლის ტაიუს ედნის გაუვნებლება დაისახეს მიზნად და კოლექტიური მეურვეობის წყალობით საწადელი აისრულეს. ედნის ყველაზე აქტიურად კარლტონ მაიერსი იჭერდა. დაცვაში საქმის მოგვარების შემდეგ, მაიერსმა შეტევისთვისაც მოიცალა და მატჩში ყველაზე მეტი, 22 ქულა დააგროვა. ფორტიტუდოელმა შვიდიდან ოთხი სამქულიანი ჩააგდო. იგივე მოახერხა „ბენეტონის“ არგენტინელმა მარსელო ნიკოლამ. ოღონდ მის გარჯას „ბენეტონის“ უსუსური თამაშის ფონზე, ფასი არ დასდებია. რაც შეეხება მაიერსს, იგი თანაგუნდელ გრეგორ ფუჩკასთან ერთად, მატჩის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს.

ამ გამარჯვებით „ფორტიტუდომ“ სერიის ანგარიში გაათანაბრა, საკუთარი მოედნის უპირატესობა დაიბრუნა და ფინალის მესამე მატჩში შაბათს, შინ დაუხვდება მეტოქეს. „ბენეტონის“ მწვრთნელი ბუჩი კი ამ წაგებაში საგანგაშოს ვერაფერს ხედავს: „სერიის ანგარიში გათანაბრდა, მეტი არაფერი მომხდარა. ეს ერთი უბრალო წაგება იყო და არა ტრაგედია. ახლა ბოლონიური თამაშისთვის მოვემზადებით. ვეცდებით გუნდურად ვითამაშოთ, ისე, როგორც „ფორტიტუდო“ დღეს გვეთამაშა“.

## ესპანეთი

# ესპანური კლასიკით გაგრძელებული მადრიდული დერბი

პლეი ოფის ნახევარფინალი
(სამ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| რეალი | 3 |
| ესტუდიანტესი | 2 |

**რეალი 70:69 ესტუდიანტესი**

რეალი: ა. ანგულო (11), სტრიულენსი (16), ჯორჯევიჩი (14), ლ. ანგულო (11), გალილეა, ბეტსი (2), სკოტი (9), იტურბე (7)

ესტუდიანტესი: ტომპსონი (15), მარტინესი (10), აისა (2), ფ. რეიესი, ხიმენესი (13), ვანდივერი (12), აზოფრა (6), ა. რეიესი (9), არანსი (2)

მადრიდული დერბი, ესპანეთის ჩემპიონატის ნახევარფინალური სერია, ისევე დრამატულად დასრულდა, როგორც პირველი მატჩიდანვე მიმდინარეობდა. ფინალისტის გამოვლენას ხუთი შეხვედრა დასჭირდა და ბოლო წამამდე არაფერი იყო ცნობილი.



EFE მადრიდიდან

რეალი — ესტუდიანტესი. რეალელი ალექსანდრ ჯორჯევიჩი (ბურთით) და შოუნ ვანდივერი

გადამწყვეტ მატჩს „რეალის“ კუთვნილმა „პაბელონ დეპორტეს რეალ მადრიდმა“ უმასპინძლა. სტუმარი „ესტუდიანტესი“ თავიდან 5:0 დაწინაურდა და ერთხანს იგებდა კიდეც. თუმცა, 21:18-ზე რეალელმა ლუსიო ანგულომ ლიდერობა ითავა და თავის გუნდს ერთი მონაკვეთი 17:6 მოაგებინა. მასპინძლებმა ტაიმის დამთავრებამდე კიდევ უფრო გაზარდეს ანგარიშში სხვაობა და შესვენებაზე თორმეტქულიანი უპირატესობით წავიდნენ — 43:31.

„ესტუდიანტესი“ მეორე ტაიმის დასაწყისში კიდევ უფრო მოეშვა და მეტოქეს 15 ქულით დაწინაურების საშუალება მისცა. შემდეგ კი, უეცრად გამოფხიზლდა და შოუნ ვანდივერის წყალობით ორიოდ წუთში სხვაობა ორ ქულამდე შეამცირა — 57:55. ერთი წუთის შემდეგ კი ანგარიში გათანაბრდა — 59:59.

„ესტუდიანტესს“ აღმაფრენა ძმებმა, ლუსიო და ალბერტო ანგულოებმა ჩაუცხრეს. ორივემ სამქულიანები ჩააგდეს და „რეალი“ 69:64 დააწინაურეს.

თითქოსდა უიმედო სიტუაციაში „ესტუდიანტესმა“ კიდევ ერთხელ გაიბრძოლა და დამთავრებამდე 25 წამით ადრე გონსალო მარტინესმა შვიდი მეტრიდან ჩაგდებული სამქულიანით ანგარიში გაათანაბრა — 69:69.

მარტინესი მონაწილეობდა შემდეგ ეპიზოდში, რომელიც, საბოლოოდ, გადამწყვეტი აღმოჩნდა. ესტუდიანტესელი დაჯარიმდა ალექსანდრ ჯორჯევიჩზე. ჯარიმა ერთობ საეჭვო იყო, თუმცა მსაჯებმა არად ჩააგდეს „ესტუდიანტესის“ კალათბურთელთა და მწვრთნელთა უკმაყოფილება და ჯორჯევიჩი საჯარიმოების ხაზზე დააყენეს. „რეალის“ იუგოსლაველმა ორიდან ერთი სროლა ჩააგდო. „ესტუდიანტესს“ 5,9 წამი რჩებოდა. ბოლო წამზე ტომპსონმა ფარქვეშ მიიღო ბურთი, მაგრამ უხეიროდ ესროლა და ააცილა. დრო დამთავრდა, რის შემდეგაც „რეალი“ ფინალისტი გახდა. სამეფო კლუბმა ფინალის საგზურთან ერთად სუპერლიგაში ასპარეზობის უფლებაც მიიღო.

ფინალი კლასიკური ესპანური დაპირისპირება იქნება — „ბარსელონა“ „რეალის“ წინააღმდეგ. პირველი მატჩი ხვალ გაიმართება ბარსელონაში.

პლეი ოფის ფინალი
(სამ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| ბარსელონა | 0 |
| რეალი | 0 |

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 93 16 08

იყიდება ან ქირავდება
შეღავათიან ფასში, ერთოთახიანი იზოლირებული ბინა სარაჯიშვილის მეტროსთან, ბუნებრივი აირით და ტელეფონით
ტელ: 60-21-23

კონფერენციათა ფინალები (ოთხ მოგებამდე)

# კროშერის ცივი სისხლი

**აღმოსავლეთი**

23 მაისი

| | |
|---|---|
| ინდიანა | 1 |
| ნიუ იორკი | 0 |

**ინდიანა 102:88 ნიუ იორკი**

ინდიანა: ჯექსონი (11 ქულა, 13 პასი), მილერი (19), როუზი (17), დევისი (14 ქულა, 16 მოხსნა), სმიტსი (17); კროშერი (22), პერკინსი (3), ბენდერი, ტაბაკი, ბესტი, მაკკეი

ნიუ იორკი: ვორდი (14), ჰიუსტონი (18), სპრიუელი (22), ჯონსონი (3), იუინგი (21); კემბი (4), ჩაილდსი (4), ტომასი (2), ბრანსონი

ერთ დროს „ნიუ იორკის“, აწ კი „მაიამის“ სახელოვან დამრიგებელ პატ რაილის ერთხელ უთქვამს, თამაშს სათადარიგოთა სკამი იგებსო. ხშირ შემთხვევაში ასეა. ასე იყო „ნიუ იორკისა“ და „ინდიანას“ სერიის პირველ მატჩშიც. არა, ნიუიორკელები ნამდვილად ვერ დაიჩივლებენ, ცუდი სათადარიგოები გვყვანანო, პირიქით, კემბი, ტომასი და ჩაილდსი შესანიშნავი ბიჭები არიან და „ნიქსისთვის“ ხშირად სარგებელიც მოაქვთ, მაგრამ ამ თამაშში სამივე ერთად დაჩრდილა „ინდიანას“ ძირითადი თავდამსხმელის, დეილ დევისის შემცვლელმა ოსტინ კროშერმა. მან მარტომ აჯობა ნიუიორკელ სათადარიგოებსაც და მოედანზე მყოფთაც, ჩააგდო 22 ქულა, რაც მისთვის სარეკორდოა არა მარტო პლეი ოფებში, არამედ მთლიანად კარიერაში. „ოსტინი ვარსკვლავი არაა, მაგრამ რამდენიმე კარგი თვისება აქვს. იგი ცივსისხლიანია და სწორედ ამის წყალობით დავწინაურდით სერიაში. ცხადია, ის ყველა მატჩს ასე ვერ ითამაშებს, მაგრამ ჩვენ მისი იმედი ყოველთვის გვაქვს“ — ამბობს „ინდიანა პეისერზისა“ და კროშერის დამრიგებელი ლარი ბერდი. კროშერმა იმ თამაშში მართლაც ხასიათის იშვიათი სიმტკიცე გამოავლინა და ლამის ყველა ბურთი ჩააგდო, რაც კი ისროლა. თამაშში ცხრა სროლიდან შვიდჯერ ივარგა, აქედან ხუთიდან ოთხჯერ სამქულიანი დისტანციიდან და ოთხივე საჯარიმოც აუღელვებლად მოათავსა კალათში. მისმა შედეგიანმა თამაშმა „ინდიანას“ საკმაოდ სოლიდური სხვაობით მოაგებინა სერიის პირველი შეხვედრა.

საერთოდ, იმ დღეს „ინდიანამ“ მთლიანად კარგად ითამაშა. სირცხვილი არც ძირითადებმა ჭამეს. მოწოდების სიმაღლეზე გახლდათ მასპინძელთა სასტარტო ხუთეული. „რაღა თქმა უნდა, ეს სულ სხვა გუნდია, ვიდრე „მაიამი“. ისინი გაცილებით მრავალფეროვანნი არიან და ტრიბუნიდან მათი თამაშისა ყურება ერთ რამედ ღირს, სამაგიეროდ, მოედანზე ჭირს მათი დამარცხება“ — ამბობდა მატჩის შემდეგ „ნიუ იორკის“ ერთ-ერთი ლიდერი ლატრელ სპრიუელი. „მაიამისთან“ ქანცისგამწყვეტი ბრძოლით დაღლილი „ნიუ იორკი“ აშკარად ვერ იყო ბრძოლის იშტაზე. სტუმრებმა პირველი მეოთხედი უზარმაზარი სხვაობით — 17:35 დათმეს. მართალია, მეორე მეოთხედში 14 ქულა გაქვითეს და ტაიმი მხოლოდ ოთხი ქულის სხვაობით წააგეს, მაგრამ მეორე ნახევარში ნათლად გამოჩნდა, რომ ეს სტუმართა უკანასკნელი გაბრძოლება იყო.

ახლა ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, რომ „ნიუ იორკი“ და „მაიამი“ ბოლო ოთხ სეზონში ოთხჯერ შეხვდნენ ერთმანეთს, მაგრამ „ნიუ იორკისთვის“ „ინდიანაც“ ისეთივე „განუყრელი“ მოწინააღმდეგეა, როგორც „მაიამი“. „ნიქსი“ „პეისერზს“ ბოლო რვა პლეი ოფში მეექვსედ ეპაექრება, შარშან ექვსთამაშიანი სერია მოუგო და ნბა-ს ფინალშიც გავიდა. საერთოდ, წინა ხუთ სერიაში სამჯერ „ნიუ იორკს“ უმარჯვია, ორჯერ — „ინდიანას“. დაბოლოს, ისიც ვთქვათ, რომ ხსენებულ სერიებში ვისაც პირველი მატჩი მოუგია, საბოლოო გამარჯვებაც მას დარჩენია. ახლა, ერთი თამაშის შემდეგ, ამაზე საუბარი ნაადრევია, მაგრამ თუ „ინდიანამ“ სერიაში მეტოქეს სძლია, რის შანსიც აქვს, კლუბის ისტორიაში პირველად გავა პლეი ოფის ფინალში.

**ირაკლი ფირაშვილი**



რაშიდ ვოლესი

## ჟურნალისტების გადამგდები 10 ათასში გადააგდეს

სამშაბათს, 23 მაისს, ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ ათი ათასი დოლარით დააჯარიმა „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსის“ თავდამსხმელი რაშიდ ვოლესი, მატჩის შემდგომ ჟურნალისტებისთვის მოწყობილ შეკრებაზე გამოუცხადებლობისთვის. ასეთი შეხვედრები ყოველი მატჩის შემდეგ იმართება და იქ მისვლა და მასმედიის წარმომადგენლებთან მცირე ხნით გასაუბრება ყველას ევალება. მაიკლ ჯორდანიც რომ იყო, ვალდებული ხარ, იქ გამოცხადდე. გამონაკლისი არავისთვის არსებობს. ლიგა ამ წესის დარღვევას არავის პატიობს და ცხადია, არც რაშიდ ვოლესს შერჩა ჟურნალისტთა „გადაგდება“.

რაშიდ ვოლესი, გარდა იმისა, რომ კარგი კალათბურთელია, ერთი უჟმური და ჯაჯღანა ვინმეა. ამ სეზონში მან მსაჯებთან კამათისთვის 37 ტექნიკური ჯარიმა მიიღო და ისეთ ცნობილ შარისთავებს აჯობა, როგორებიც არიან ჩარლზ ბარკლი და დენის როდმანი. „ლეიკერსთან“ სერიის პირელ შეხვედრაში ვოლესმა ერთ-ერთი არბიტრს დაუბღვირა და მანაც იმწამსვე გააძევა მოედნიდან. მეორე მატჩში პორტლენდელმა შეძლო ნერვების მოთოკვა, ის კი არა, მთელი თავისი ენერგია მსაჯებთან საქმის გარჩევის ნაცვლად თვითონ თამაშს შეალია, მისთვის პლეი ოფში სარეკორდოდ ბევრი — 29 ქულაც მიითვალა და თავის გუნდს მოაგებინა. მაგრამ შეხვედრის დამთავრების შემდეგ მან თავისი მძიმე ხასიათი მაინც გამოავლინა და ლიგის სანქციებმაც არ დააყოვნა.

დააჯარიმეს ვოლესის კლუბიც, რადგან მან არ უზრუნველყო შეხვედრაზე მოთამაშის გამოცხადება. „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი“ ამ საყოველთაო წესის დარღვევისთვის 25 ათას დოლარს გადაიხდის.

**ივანე ქობიაშვილი**



ინდიანა — ნიუ იორკი. ინდიანელი მატჩის გმირი ოსტინ კროშერი მორიგ ჩაგდებულ სამქულიანს აღნიშნავს



ინდიანა — ნიუ იორკი. ჩარლი ვორდმა (№21) და პატრიკ იუინგმა (№33) ინდიანელ რეჯი მილერს ხელი ვერ შეუშალეს

# სკამს შეზრდილი მილიონერი

თელ ავივის „მაკაბიში“ არის ერთი კალათბურთელი, რომელიც ისრაელელმა ჟურნალისტებმა მულტიმილიარდერ ბილ გეიტსს შეადარეს. ამბობენ, დილას გაღვიძებული გეიტსი თავის საბანკო ანგარიშს ამოწმებს და ანგარიშობს, რამდენით გაეზარდა შემოსავალი, სანამ ეძინა. დაახლოებით იგივეს აკეთებს „მაკაბის“ რუმინელი ცენტრი კონსტანტინ პოპა. გეიტსისგან განსხვავებით პოპა სკამზე ჯდომისას დაგროვილ ფულს ანგარიშობს.

29 წლის და 222-სანტიმეტრიანი რუმინელი „მაკაბიში“ ოთხი წლის წინ მივიდა. მანამდე მას ბუქარესტის „დინამოში“ და რუმინეთის ნაკრებში ეთამაშა, მერე ამერიკის შეერთებულ შტატებში წავიდა და 1995 წელს მაიამის უნივერსიტეტი დაამთავრა. ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის იმავე წლის დრაფტში პოპა „ლოს ანჯელეს კლიპერსმა“ აიყვანა, ოღონდ რუმინელ გიგანტ პლანეტის უძლიერეს ლიგაში ერთი წუთითაც არ ეღირსა თამაში. მან ვერ დააკმაყოფილა „კლიპერსის“ მოთხოვნები და კონტინენტური საკალათბურთო ასოციაციის „ვესტ პალმ ბიჩ დოგზში“ გააგრძელა კარიერა. 1996 წლის გაზაფხულზე პოპა ევროპაში დაბრუნდა. ფრანგულ „პო ორტეზს“ ქვეყნის ჩემპიონატის პლეი ოფში დაემატა და საფრანგეთის პირველობა მოიგო.

თელ ავივის „მაკაბიმ“ მაშინვე გაუბა მოლაპარაკება ევროპის ყველაზე მაღალ კალათბურთელს, ებრაელი წინაპრები გამოუნახა და თავის რიგებშიც არაუცხოელის სტატუსით გადაიყვანა. ამასთანავე, პოპამ ახალ გუნდთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა, რომლის მიხედვითაც მილიონი დოლარი უნდა მიეღო.

დაიწყო პოპამ „მაკაბიში“ თამაში და გაირკვა, რომ იგი მნიშვნელოვნად ჩამორჩება თავის თანამემამულე გეორგე მურეშანს (29 წლის, 231 სმ), რომელსაც თავის სიტყვა უთქვამს ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში. მოედანზე სულ უფრო და უფრო ცოტა დროს ატარებდა, ბოლოს კი სათადარიგოთა სკამის განუყოფელ ნაწილად იქცა.

წლეულს პოპას, პრაქტიკულად, არ უთამაშია. „მაკაბიმ“ ისრაელის ჩემპიონატში და ევროლიგაში 59 მატჩი გამართა. აქედან 27 რუმინელმა თავიდან ბოლომდე სათადარიგოთა სკამზე გაატარა. 32 შეხვედრაში კი ითამაშა (ევროლიგაში — შვიდში), ოღონდ სულ რამდენიმე წუთი. აღსანიშნავია, რომ პოპა მთელი სეზონის განმავლობაში ჯანმრთელი იყო. „მაკაბის“ მწვრთნელი პინი გერშონი მას, უბრალოდ, არ ენდობოდა.

ამ სეზონში ნათამაშევ თითო წუთში პოპამ დაახლოებით 965 დოლარი მიიღო. წუთების მხრივ ასეთი მაღალი ანაზღაურება ევროპაში იქნებ არც არავის ჰქონდეს. ხოლო თუ პოპას წლიურ ხელფასს ჯერ ამ თანხაზე გავყოფთ, მერე კი მის მიერ ჩატარებული მატჩების რაოდენობაზე, გამოვა, რომ რუმინელს თითოეულ მატჩში საშუალოდ რვა წუთი უთამაშია.

მიუხედავად სათადარიგოთა სკამთან შეზრდისა, პოპას ერთი არ დაუჩივლია. პირიქით, გულმოდგინედ ვარჯიშობდა და მოთმინებით ელოდა მოედანზე გასვლის ჯერს. იგი არც გუნდის ხელმძღვანელებზე გაბრაზებულა. ეს უკანასკნელნი კი ამბობდნენ, გვირჩევნია გამოუცდელი ახალგაზრდები ჩავრთოთ თამაშში, ვიდრე პოპაო.

„მაკაბიში“ ყოფნისას პოპამ ოთხჯერ მოიპოვა ისრაელის ჩემპიონობა და სამჯერ — თასი. წლეულს თელ ავივის გუნდმა დუბლიც შეასრულა და ევროლიგის ფინალშიც გავიდა. ისრაელის ჩემპიონატის ფინალში თელ ავივის „მაკაბიმ“ რაანანელ თანაკლუბელებს სძლია. ფინალის ბოლო მატჩის დასრულებისთანავე ვადა გაუვიდა პოპას კონტრაქტსაც. ახლა რუმინელი ცენტრი თავისუფალი აგენტია და ახალ-ახალ წინადადებებს ელის. „მაკაბი“ მას, ალბათ, აღარ დაიტოვებს, რადგან სკამზე მჯდომისთვის ხელფასის გადახდა მობეზრდა. მიუხედავად ამისა, პოპა უგუნდოდ ნაღდად არ დარჩება — სხვა თუ არაფერი, ვინმე სიმაღლის გულისთვის მაინც აიყვანს. იქნებ ახალ გუნდში მაინც გაუმართლოს რუმინელ გიგანტს, რომელსაც „მაკაბიში“ „გრძელი ჯამბაზი“ შეარქვეს. თუმცა, ამაზე მეტი გამართლება რაღა გინდა — ერთ ნათამაშევ წუთში 965 დოლარი ვითომ ცოტაა?



კონსტანტინ პოპა

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

„კროკოს" მთავარი ოფისი ფურცელაძის ქუჩაზე
(კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში)
$11^{00}$ საათიდან $18^{00}$ საათამდე მუშაობს

### ნორვეგია

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| რუსენბორგი | 10 | 7 | 2 | 1 | 22:8 | 23 | 2 | 2 | 1 | 11:7 | 5 | 0 | 0 | 11:1 |
| ბრანი | 10 | 6 | 2 | 2 | 23:16 | 20 | 4 | 1 | 0 | 11:2 | 2 | 1 | 2 | 12:14 |
| მოლდე | 10 | 5 | 5 | 0 | 19:13 | 20 | 3 | 2 | 0 | 10:7 | 2 | 3 | 0 | 9:6 |
| სტაბეკი | 10 | 5 | 2 | 3 | 22:9 | 17 | 4 | 0 | 1 | 16:4 | 1 | 2 | 2 | 6:5 |
| ვიკინგი | 10 | 5 | 2 | 3 | 20:14 | 17 | 3 | 1 | 1 | 10:3 | 2 | 1 | 2 | 10:11 |
| ოდ გრენლანდი | 10 | 4 | 2 | 4 | 15:13 | 14 | 4 | 0 | 1 | 13:6 | 0 | 2 | 3 | 2:7 |
| მოსი | 10 | 3 | 4 | 3 | 11:11 | 13 | 2 | 3 | 0 | 7:2 | 1 | 1 | 3 | 4:9 |
| ბოდიო გლიმტი | 9 | 3 | 3 | 3 | 14:19 | 12 | 2 | 2 | 1 | 9:8 | 1 | 1 | 2 | 5:11 |
| ტრომსიო | 10 | 3 | 3 | 4 | 15:21 | 12 | 3 | 1 | 1 | 10:7 | 0 | 2 | 3 | 5:14 |
| ლილესტრიომი | 9 | 2 | 5 | 2 | 10:8 | 11 | 1 | 2 | 1 | 6:4 | 1 | 3 | 1 | 4:4 |
| ჰაუგესუნდი | 10 | 3 | 1 | 6 | 16:26 | 10 | 2 | 1 | 2 | 9:11 | 1 | 0 | 4 | 7:15 |
| ვოლერენგა | 10 | 2 | 3 | 5 | 14:16 | 9 | 2 | 2 | 1 | 9:5 | 0 | 1 | 4 | 5:11 |
| ბრინი | 10 | 2 | 2 | 6 | 12:21 | 8 | 2 | 0 | 3 | 8:10 | 0 | 2 | 3 | 4:11 |
| სტარტი | 10 | 0 | 2 | 8 | 7:25 | 2 | 0 | 2 | 3 | 5:10 | 0 | 0 | 5 | 2:15 |

### შვედეთი

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჰალმსტადი | 7 | 6 | 0 | 1 | 16:5 | 18 | 2 | 0 | 1 | 5:1 | 4 | 0 | 0 | 11:4 |
| გიოტებორგი | 7 | 4 | 2 | 1 | 12:5 | 14 | 3 | 0 | 0 | 7:1 | 1 | 2 | 1 | 5:4 |
| ჰელსინგბორგი | 7 | 4 | 2 | 1 | 10:6 | 14 | 1 | 2 | 0 | 4:2 | 3 | 0 | 1 | 6:4 |
| აიკ | 7 | 4 | 1 | 2 | 7:7 | 13 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 2 | 0 | 2 | 4:6 |
| იორგრიტე | 7 | 4 | 0 | 3 | 7:6 | 12 | 2 | 0 | 2 | 4:4 | 2 | 0 | 1 | 3:2 |
| ნორჩიოპინგი | 7 | 3 | 1 | 3 | 9:7 | 10 | 2 | 0 | 2 | 6:3 | 1 | 1 | 1 | 3:4 |
| ტრელებორგი | 7 | 3 | 1 | 3 | 6:5 | 10 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 2 | 0 | 2 | 3:2 |
| ჰამარბი | 7 | 3 | 1 | 3 | 6:7 | 10 | 2 | 0 | 2 | 5:6 | 1 | 1 | 1 | 1:1 |
| იორებრო | 7 | 2 | 3 | 2 | 13:11 | 9 | 2 | 1 | 1 | 8:3 | 0 | 2 | 1 | 5:8 |
| სუნდსვალი | 7 | 2 | 2 | 3 | 9:11 | 8 | 1 | 1 | 2 | 6:8 | 1 | 1 | 1 | 3:3 |
| ელფსბორგი | 7 | 2 | 0 | 5 | 7:10 | 6 | 1 | 0 | 2 | 4:5 | 1 | 0 | 3 | 3:5 |
| ჰაკენი | 7 | 1 | 2 | 4 | 10:16 | 5 | 1 | 0 | 3 | 7:11 | 0 | 2 | 1 | 3:5 |
| გაის | 7 | 0 | 4 | 3 | 5:11 | 4 | 0 | 4 | 0 | 4:4 | 0 | 0 | 3 | 1:7 |
| ფრიოლუნდა | 7 | 1 | 1 | 5 | 4:14 | 4 | 1 | 0 | 2 | 1:2 | 0 | 1 | 3 | 3:12 |

### ავსტრია

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტიროლი | 35 | 23 | 5 | 7 | 52:29 | 74 | 14 | 2 | 1 | 29:6 | 9 | 3 | 6 | 23:23 |
| შტურმი | 35 | 22 | 7 | 6 | 76:31 | 73 | 14 | 2 | 2 | 53:16 | 8 | 5 | 4 | 23:15 |
| რაპიდი | 35 | 20 | 6 | 9 | 59:28 | 66 | 13 | 2 | 2 | 38:10 | 7 | 4 | 7 | 21:18 |
| აუსტრია | 35 | 16 | 6 | 13 | 48:42 | 54 | 11 | 1 | 6 | 31:23 | 5 | 5 | 7 | 17:19 |
| რიდი | 35 | 15 | 7 | 13 | 55:38 | 52 | 11 | 2 | 4 | 35:13 | 4 | 5 | 9 | 20:25 |
| ზალცბურგი | 35 | 11 | 10 | 14 | 37:45 | 43 | 9 | 5 | 4 | 25:14 | 2 | 5 | 10 | 12:31 |
| გრაცერი | 35 | 12 | 6 | 17 | 41:58 | 42 | 8 | 4 | 5 | 23:18 | 4 | 2 | 12 | 18:40 |
| ლინცერი | 35 | 9 | 9 | 17 | 40:49 | 36 | 6 | 6 | 6 | 26:19 | 3 | 3 | 11 | 14:30 |
| ბრეგენცი | 35 | 9 | 5 | 21 | 35:73 | 32 | 5 | 5 | 8 | 19:29 | 4 | 0 | 13 | 16:44 |
| ლუსტენაუ | 35 | 4 | 7 | 24 | 22:72 | 19 | 3 | 5 | 9 | 14:24 | 1 | 2 | 15 | 8:48 |

### დანია

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჰერფიოლგე | 31 | 16 | 6 | 9 | 50:47 | 54 | 10 | 3 | 3 | 34:22 | 6 | 3 | 6 | 16:25 |
| ბრონდბიუ | 31 | 14 | 9 | 8 | 55:35 | 51 | 11 | 4 | 1 | 38:12 | 3 | 5 | 7 | 17:23 |
| ოლბორგი | 31 | 12 | 12 | 7 | 56:38 | 48 | 9 | 3 | 4 | 35:16 | 3 | 9 | 3 | 21:22 |
| აკადემისკი | 31 | 12 | 10 | 9 | 48:35 | 46 | 6 | 5 | 5 | 28:18 | 6 | 5 | 4 | 20:17 |
| ვიბორგი | 31 | 13 | 7 | 11 | 49:50 | 46 | 6 | 5 | 4 | 27:22 | 7 | 2 | 7 | 22:28 |
| სილკებორგი | 31 | 12 | 9 | 10 | 45:32 | 45 | 9 | 5 | 1 | 25:8 | 3 | 4 | 9 | 20:24 |
| ლიუნგბიუ | 31 | 13 | 5 | 13 | 49:52 | 44 | 9 | 1 | 6 | 33:24 | 4 | 4 | 7 | 16:28 |
| კოპენჰაგენი | 31 | 12 | 7 | 12 | 42:34 | 43 | 8 | 3 | 4 | 22:15 | 4 | 4 | 8 | 20:19 |
| ოდენსე | 31 | 9 | 10 | 12 | 37:43 | 37 | 3 | 6 | 6 | 16:23 | 6 | 4 | 6 | 21:20 |
| ორჰუსი | 31 | 9 | 8 | 14 | 36:51 | 35 | 7 | 4 | 4 | 25:20 | 2 | 4 | 10 | 11:31 |
| ვაილე | 31 | 7 | 11 | 13 | 38:64 | 32 | 4 | 6 | 6 | 21:31 | 3 | 5 | 7 | 17:33 |
| ესბიერგი | 31 | 8 | 4 | 19 | 40:64 | 28 | 4 | 4 | 7 | 15:15 | 4 | 0 | 12 | 25:49 |

### საფრანგეთი. მეორე დივიზიონი

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ლილი | 38 | 25 | 8 | 5 | 58:25 | 83 | 17 | 1 | 1 | 34:7 | 8 | 7 | 4 | 24:18 |
| გენგამი | 38 | 18 | 13 | 7 | 62:41 | 67 | 10 | 5 | 4 | 36:22 | 8 | 8 | 3 | 26:19 |
| ტულუზი | 38 | 18 | 9 | 11 | 52:31 | 63 | 10 | 3 | 6 | 30:13 | 8 | 6 | 5 | 22:18 |
| სოშო | 38 | 18 | 8 | 12 | 53:41 | 62 | 10 | 3 | 6 | 29:20 | 8 | 5 | 6 | 24:21 |
| გენიონი | 38 | 13 | 17 | 8 | 47:34 | 56 | 6 | 9 | 4 | 25:19 | 7 | 8 | 4 | 22:15 |
| კაენი | 38 | 12 | 17 | 9 | 51:37 | 53 | 7 | 9 | 3 | 33:20 | 5 | 8 | 6 | 18:17 |
| აიაჩო | 38 | 15 | 8 | 15 | 37:41 | 53 | 11 | 2 | 6 | 20:14 | 4 | 6 | 9 | 17:27 |
| ლე მანი | 38 | 12 | 16 | 10 | 44:44 | 52 | 8 | 11 | 0 | 25:13 | 4 | 5 | 10 | 19:31 |
| ლავალი | 38 | 13 | 15 | 11 | 41:40 | 51 | 10 | 4 | 5 | 25:19 | 3 | 11 | 6 | 16:21 |
| შატორუ | 38 | 13 | 12 | 13 | 44:46 | 51 | 8 | 5 | 5 | 24:19 | 5 | 6 | 8 | 17:24 |
| ნიცა | 38 | 10 | 20 | 8 | 34:33 | 50 | 6 | 12 | 1 | 19:9 | 4 | 8 | 7 | 15:24 |
| კანი | 38 | 12 | 12 | 14 | 33:38 | 48 | 9 | 5 | 5 | 18:15 | 3 | 7 | 9 | 15:23 |
| ნიმი | 38 | 12 | 11 | 15 | 41:44 | 47 | 7 | 7 | 5 | 27:24 | 5 | 4 | 10 | 14:20 |
| ლორიანი | 38 | 12 | 11 | 15 | 32:39 | 47 | 6 | 8 | 5 | 20:14 | 6 | 3 | 10 | 12:25 |
| ნიორი | 38 | 10 | 15 | 13 | 42:49 | 45 | 8 | 6 | 5 | 23:23 | 2 | 9 | 8 | 19:26 |
| ვასკეალი | 38 | 9 | 17 | 12 | 33:39 | 44 | 7 | 8 | 4 | 21:17 | 2 | 9 | 8 | 12:22 |
| კრეტეი | 38 | 11 | 11 | 16 | 36:52 | 44 | 8 | 8 | 4 | 27:23 | 3 | 4 | 12 | 12:32 |
| ამიენი | 38 | 7 | 16 | 15 | 30:43 | 37 | 4 | 10 | 5 | 15:16 | 3 | 6 | 10 | 15:27 |
| ვალანსი | 38 | 6 | 15 | 17 | 37:55 | 33 | 6 | 8 | 5 | 20:17 | 0 | 7 | 12 | 17:38 |
| ლუანი | 38 | 5 | 9 | 24 | 32:67 | 24 | 4 | 6 | 9 | 18:26 | 1 | 3 | 15 | 14:41 |

### შოტლანდია

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 36 | 28 | 6 | 2 | 96:26 | 90 | 16 | 1 | 1 | 52:12 | 12 | 5 | 1 | 44:14 |
| სელტიკი | 36 | 21 | 6 | 9 | 90:38 | 69 | 12 | 3 | 3 | 58:17 | 9 | 3 | 6 | 32:21 |
| ჰართსი | 36 | 15 | 9 | 12 | 47:40 | 54 | 7 | 6 | 5 | 25:18 | 8 | 3 | 7 | 22:22 |
| მოზერუელი | 36 | 14 | 10 | 12 | 49:63 | 52 | 8 | 3 | 7 | 27:34 | 6 | 7 | 5 | 22:29 |
| სტ. ჯონსტონი | 36 | 10 | 12 | 14 | 36:44 | 42 | 5 | 7 | 6 | 16:18 | 5 | 5 | 8 | 20:26 |
| ჰიბერნიანი | 36 | 10 | 11 | 15 | 49:61 | 41 | 7 | 6 | 5 | 30:27 | 3 | 5 | 10 | 19:34 |
| დანდი | 36 | 12 | 5 | 19 | 45:64 | 41 | 4 | 3 | 11 | 20:33 | 8 | 2 | 8 | 25:31 |
| დანდი იუნ. | 36 | 11 | 6 | 19 | 34:57 | 39 | 6 | 4 | 8 | 16:22 | 5 | 2 | 11 | 18:35 |
| კილმარნოკი | 36 | 8 | 13 | 15 | 38:52 | 37 | 5 | 5 | 8 | 16:22 | 3 | 8 | 7 | 22:30 |
| აბერდინი | 36 | 9 | 6 | 21 | 44:83 | 33 | 6 | 4 | 8 | 28:37 | 3 | 2 | 13 | 16:46 |

### იტალია. სერია B

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | მ | ფ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვიჩენცა | 35 | 18 | 7 | 10 | 62:39 | 61 | 14 | 2 | 1 | 41:12 | 4 | 5 | 9 | 21:27 |
| ბრეშა | 35 | 15 | 14 | 6 | 51:33 | 59 | 10 | 5 | 3 | 30:12 | 5 | 9 | 3 | 21:21 |
| ნაპოლი | 35 | 15 | 12 | 8 | 50:41 | 57 | 10 | 6 | 1 | 29:14 | 5 | 6 | 7 | 21:27 |
| ატალანტა | 35 | 15 | 11 | 9 | 44:32 | 56 | 11 | 4 | 2 | 30:15 | 4 | 7 | 7 | 14:17 |
| სამპდორია | 35 | 14 | 11 | 10 | 38:36 | 53 | 8 | 6 | 3 | 22:16 | 6 | 5 | 7 | 16:20 |
| სალერნიტანა | 35 | 14 | 10 | 11 | 54:50 | 52 | 11 | 5 | 2 | 36:18 | 3 | 5 | 9 | 18:32 |
| ჯენოა | 35 | 14 | 8 | 13 | 44:38 | 50 | 11 | 5 | 2 | 32:16 | 3 | 3 | 11 | 12:22 |
| ტრევიზო | 35 | 12 | 11 | 12 | 47:44 | 47 | 11 | 5 | 1 | 34:16 | 1 | 6 | 11 | 13:28 |
| რავენა | 35 | 10 | 15 | 10 | 36:34 | 45 | 8 | 7 | 2 | 20:9 | 2 | 8 | 8 | 16:25 |
| ემპოლი | 35 | 11 | 12 | 12 | 36:48 | 45 | 11 | 4 | 2 | 25:17 | 0 | 8 | 10 | 11:31 |
| კიევო | 35 | 10 | 14 | 11 | 44:46 | 44 | 7 | 9 | 2 | 26:19 | 3 | 5 | 9 | 18:27 |
| პესკარა | 35 | 9 | 16 | 10 | 56:48 | 43 | 7 | 6 | 4 | 34:19 | 2 | 10 | 6 | 22:29 |
| ჩეზენა | 35 | 8 | 19 | 8 | 41:38 | 43 | 7 | 11 | 0 | 27:13 | 1 | 8 | 8 | 14:25 |
| კოზენცა | 35 | 10 | 13 | 12 | 29:36 | 43 | 9 | 5 | 3 | 17:10 | 1 | 8 | 9 | 12:26 |
| მონცა | 35 | 8 | 18 | 9 | 38:40 | 42 | 6 | 12 | 0 | 21:13 | 2 | 6 | 9 | 17:27 |
| პისტოიეზე | 35 | 12 | 10 | 13 | 37:40 | 42 | 10 | 5 | 3 | 21:12 | 2 | 5 | 10 | 16:28 |
| ტერნანა | 35 | 9 | 15 | 11 | 39:44 | 42 | 6 | 9 | 2 | 23:17 | 3 | 6 | 9 | 16:27 |
| ალძანო | 35 | 9 | 12 | 14 | 32:44 | 39 | 8 | 5 | 5 | 23:23 | 1 | 7 | 9 | 9:21 |
| სავოია | 35 | 6 | 11 | 18 | 32:55 | 29 | 5 | 8 | 5 | 19:19 | 1 | 3 | 13 | 13:36 |
| ფერმანა | 35 | 6 | 11 | 18 | 34:58 | 29 | 6 | 6 | 6 | 21:23 | 0 | 5 | 12 | 13:35 |

### გერმანია. მეორე ბუნდესლიგა

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 33 | 19 | 8 | 6 | 68:37 | 65 | 12 | 4 | 1 | 46:15 | 7 | 4 | 5 | 22:22 |
| ბოხუმი | 33 | 18 | 6 | 9 | 64:45 | 60 | 11 | 1 | 5 | 41:24 | 7 | 5 | 4 | 23:21 |
| კოტბუსი | 33 | 17 | 4 | 12 | 60:42 | 55 | 12 | 2 | 2 | 38:17 | 5 | 2 | 10 | 22:25 |
| გლადბახი | 33 | 14 | 12 | 7 | 59:41 | 54 | 11 | 3 | 3 | 39:17 | 3 | 9 | 4 | 20:24 |
| ნიურნბერგი | 33 | 14 | 10 | 9 | 52:45 | 52 | 10 | 5 | 1 | 34:17 | 4 | 5 | 8 | 18:28 |
| ობერჰაუზენი | 33 | 12 | 12 | 9 | 42:33 | 48 | 9 | 6 | 2 | 28:15 | 3 | 6 | 7 | 14:18 |
| ფიურტი | 33 | 10 | 15 | 8 | 38:37 | 45 | 4 | 11 | 2 | 13:8 | 6 | 4 | 6 | 25:29 |
| ალემანია | 33 | 12 | 9 | 12 | 44:52 | 45 | 8 | 4 | 4 | 26:16 | 4 | 5 | 8 | 18:36 |
| ჰანოვერი | 33 | 12 | 7 | 14 | 53:53 | 43 | 7 | 4 | 5 | 31:26 | 5 | 3 | 9 | 22:27 |
| მაინცი | 33 | 10 | 12 | 11 | 39:42 | 42 | 7 | 8 | 1 | 22:10 | 3 | 4 | 10 | 17:32 |
| ვალდჰოფი | 33 | 10 | 12 | 11 | 50:54 | 42 | 9 | 5 | 3 | 35:26 | 1 | 7 | 8 | 15:28 |
| ბერლინი | 33 | 10 | 10 | 13 | 42:49 | 40 | 8 | 4 | 5 | 25:22 | 2 | 6 | 8 | 17:27 |
| ქემნიცი | 33 | 10 | 10 | 13 | 41:49 | 40 | 6 | 7 | 3 | 29:20 | 4 | 3 | 10 | 12:29 |
| ზტ. პაული | 33 | 8 | 14 | 11 | 36:44 | 38 | 4 | 9 | 3 | 14:14 | 4 | 5 | 8 | 22:30 |
| კიკერსი | 33 | 10 | 8 | 15 | 48:57 | 38 | 9 | 3 | 5 | 29:26 | 1 | 5 | 10 | 19:31 |
| ოფენბახი | 33 | 8 | 11 | 14 | 34:54 | 35 | 7 | 3 | 7 | 21:25 | 1 | 8 | 7 | 13:29 |
| ფორტუნა | 33 | 7 | 11 | 15 | 34:49 | 32 | 5 | 6 | 5 | 20:19 | 2 | 5 | 10 | 14:30 |
| კარლსრუე | 33 | 5 | 11 | 17 | 34:55 | 26 | 3 | 6 | 7 | 12:18 | 2 | 5 | 10 | 22:37 |

### ესპანეთი. მეორე დივიზიონი

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ლას პალმასი | 40 | 19 | 11 | 10 | 57:39 | 68 | 10 | 6 | 4 | 30:16 | 9 | 5 | 6 | 27:23 |
| ვილიარეალი | 40 | 18 | 11 | 11 | 60:44 | 65 | 10 | 6 | 4 | 27:18 | 8 | 5 | 7 | 33:26 |
| ოსასუნა | 40 | 19 | 6 | 15 | 47:34 | 63 | 12 | 3 | 5 | 29:11 | 7 | 3 | 10 | 18:23 |
| ლეიდა | 40 | 17 | 9 | 14 | 61:48 | 60 | 11 | 5 | 4 | 36:18 | 6 | 4 | 10 | 25:30 |
| სალამანკა | 40 | 16 | 12 | 12 | 49:41 | 60 | 10 | 5 | 5 | 29:18 | 6 | 7 | 7 | 20:23 |
| ესტრემადურა | 40 | 16 | 12 | 12 | 47:44 | 60 | 12 | 7 | 1 | 31:11 | 4 | 5 | 11 | 16:33 |
| მერიდა | 40 | 15 | 14 | 11 | 40:34 | 59 | 8 | 8 | 4 | 22:15 | 7 | 6 | 7 | 18:19 |
| სპორტინგი | 40 | 17 | 7 | 16 | 52:47 | 58 | 10 | 3 | 7 | 29:21 | 7 | 4 | 9 | 23:26 |
| ლევანტე | 40 | 15 | 13 | 12 | 51:50 | 58 | 12 | 6 | 2 | 33:14 | 3 | 7 | 10 | 18:36 |
| ლეგანესი | 40 | 15 | 14 | 11 | 41:40 | 56 | 10 | 7 | 3 | 22:9 | 5 | 7 | 8 | 19:31 |
| ალბასეტე | 40 | 14 | 14 | 12 | 49:51 | 56 | 9 | 7 | 4 | 26:20 | 5 | 7 | 8 | 23:31 |
| კორდობა | 40 | 14 | 12 | 14 | 44:45 | 54 | 10 | 3 | 7 | 27:27 | 4 | 9 | 7 | 17:18 |
| ეიბარი | 40 | 13 | 15 | 12 | 45:47 | 54 | 8 | 8 | 4 | 25:17 | 5 | 7 | 8 | 20:30 |
| ტენერიფე | 40 | 13 | 12 | 15 | 45:49 | 51 | 9 | 7 | 4 | 31:18 | 4 | 5 | 11 | 14:31 |
| ბადახოსი | 40 | 9 | 23 | 8 | 35:35 | 50 | 4 | 11 | 5 | 18:22 | 5 | 12 | 3 | 17:13 |
| ელჩე | 40 | 11 | 17 | 12 | 44:52 | 50 | 7 | 9 | 4 | 25:25 | 4 | 8 | 8 | 19:27 |
| ატლეტიკო B | 40 | 13 | 9 | 18 | 43:56 | 48 | 8 | 4 | 8 | 27:27 | 5 | 5 | 10 | 16:29 |
| კომპოსტელა | 40 | 10 | 17 | 13 | 49:52 | 47 | 7 | 7 | 6 | 29:23 | 3 | 10 | 7 | 20:29 |
| ხეტაფე | 40 | 12 | 9 | 19 | 37:48 | 45 | 8 | 5 | 7 | 23:20 | 4 | 4 | 12 | 14:28 |
| ლოგრონიესი | 40 | 10 | 13 | 17 | 50:54 | 43 | 7 | 8 | 5 | 29:24 | 3 | 5 | 12 | 21:30 |
| უელვა | 40 | 11 | 9 | 20 | 38:52 | 42 | 5 | 5 | 10 | 22:28 | 6 | 4 | 10 | 16:24 |
| ტოლედო | 40 | 9 | 9 | 22 | 31:53 | 36 | 6 | 4 | 10 | 19:24 | 3 | 5 | 12 | 12:29 |

### საბერძნეთი

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 33 | 29 | 2 | 2 | 81:17 | 89 | 15 | 1 | 0 | 49:8 | 14 | 1 | 2 | 32:9 |
| პანათინაიკოსი | 33 | 27 | 4 | 2 | 88:23 | 85 | 16 | 1 | 0 | 54:8 | 11 | 3 | 2 | 34:15 |
| აეკ | 33 | 19 | 6 | 8 | 63:38 | 63 | 12 | 0 | 4 | 35:15 | 7 | 6 | 4 | 28:23 |
| ოფი | 33 | 18 | 9 | 6 | 59:41 | 63 | 11 | 3 | 3 | 36:24 | 7 | 6 | 3 | 23:17 |
| პაოკ | 33 | 14 | 10 | 9 | 59:41 | 52 | 10 | 4 | 3 | 40:18 | 4 | 6 | 6 | 19:23 |
| ირაკლისი | 33 | 15 | 4 | 14 | 56:56 | 49 | 13 | 0 | 4 | 39:22 | 2 | 4 | 10 | 17:34 |
| არისი | 33 | 13 | 8 | 12 | 47:45 | 47 | 8 | 5 | 3 | 28:16 | 5 | 3 | 9 | 19:29 |
| კალამატა | 33 | 12 | 8 | 13 | 40:51 | 44 | 6 | 8 | 3 | 22:16 | 6 | 0 | 10 | 18:35 |
| პანიონიოსი | 33 | 14 | 2 | 17 | 48:61 | 44 | 8 | 2 | 6 | 25:22 | 6 | 0 | 11 | 23:39 |
| ქსანტი | 33 | 11 | 8 | 14 | 35:41 | 41 | 10 | 4 | 3 | 26:11 | 1 | 4 | 11 | 9:30 |
| პანაჰაიკი | 33 | 9 | 12 | 12 | 36:42 | 39 | 8 | 3 | 6 | 24:17 | 1 | 9 | 6 | 12:25 |
| იონიკოსი | 33 | 9 | 11 | 13 | 38:49 | 38 | 7 | 6 | 3 | 24:13 | 2 | 5 | 10 | 14:36 |
| ეთნიკოსი | 33 | 11 | 5 | 17 | 32:50 | 38 | 10 | 3 | 4 | 27:17 | 1 | 2 | 13 | 5:33 |
| პანილიაკოსი | 33 | 11 | 4 | 18 | 40:48 | 37 | 8 | 1 | 7 | 24:21 | 3 | 3 | 11 | 16:27 |
| კავალა | 33 | 8 | 6 | 19 | 32:62 | 30 | 7 | 3 | 6 | 20:24 | 1 | 3 | 13 | 12:38 |
| პრუდეფტიკი | 33 | 7 | 7 | 19 | 27:51 | 28 | 6 | 6 | 5 | 15:17 | 1 | 1 | 14 | 12:34 |
| აპოლონი | 33 | 6 | 6 | 21 | 30:58 | 24 | 4 | 4 | 8 | 19:26 | 2 | 2 | 13 | 11:32 |
| ტრიკალა | 33 | 5 | 6 | 22 | 32:69 | 21 | 3 | 5 | 8 | 17:24 | 2 | 1 | 14 | 15:45 |

### რუსეთი

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 9 | 8 | 1 | 0 | 20:4 | 25 | 4 | 1 | 0 | 8:2 | 4 | 0 | 0 | 12:2 |
| ლოკომოტივი | 9 | 7 | 2 | 0 | 12:1 | 23 | 5 | 0 | 0 | 6:0 | 2 | 2 | 0 | 6:1 |
| ტორპედო | 9 | 5 | 3 | 1 | 10:3 | 18 | 3 | 1 | 0 | 7:2 | 2 | 2 | 1 | 3:1 |
| დინამო | 9 | 5 | 2 | 2 | 7:5 | 17 | 3 | 2 | 0 | 5:0 | 2 | 0 | 2 | 2:5 |
| ანჟი | 9 | 5 | 1 | 3 | 11:6 | 16 | 4 | 1 | 0 | 8:1 | 1 | 0 | 3 | 3:5 |
| ჩერნომორეცი | 9 | 4 | 3 | 2 | 12:4 | 15 | 3 | 0 | 1 | 9:3 | 1 | 3 | 1 | 3:1 |
| სატურნი | 9 | 3 | 3 | 3 | 6:8 | 12 | 2 | 2 | 0 | 4:1 | 1 | 1 | 3 | 2:7 |
| როსტსელმაში | 9 | 2 | 5 | 2 | 6:5 | 11 | 1 | 2 | 1 | 3:2 | 1 | 3 | 1 | 3:3 |
| როტორი | 9 | 3 | 2 | 4 | 9:17 | 11 | 2 | 0 | 3 | 5:12 | 1 | 2 | 1 | 4:5 |
| ფაკელი | 9 | 2 | 4 | 3 | 11:16 | 10 | 2 | 3 | 0 | 9:7 | 0 | 1 | 3 | 2:9 |
| კრილია | 9 | 3 | 0 | 6 | 8:12 | 9 | 3 | 0 | 2 | 6:4 | 0 | 0 | 4 | 2:8 |
| ზენიტი | 9 | 2 | 3 | 4 | 5:10 | 9 | 1 | 2 | 1 | 1:1 | 1 | 1 | 3 | 4:9 |
| ცსკა | 9 | 2 | 1 | 6 | 6:12 | 7 | 1 | 1 | 2 | 4:6 | 1 | 0 | 4 | 2:6 |
| ურალანი | 9 | 1 | 2 | 6 | 6:12 | 5 | 1 | 1 | 2 | 3:4 | 0 | 1 | 4 | 3:8 |
| ალანია | 9 | 1 | 2 | 6 | 7:15 | 5 | 1 | 1 | 2 | 4:5 | 0 | 1 | 4 | 3:10 |
| ნ. ნოვგოროდი | 9 | 0 | 4 | 5 | 4:10 | 4 | 0 | 2 | 3 | 2:6 | 0 | 2 | 2 | 2:4 |

## გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადამლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# ძველი და ახალი



მაგნუს ნორმანი

თუ ქვემოთ მოცემული საკლასიფიკაციო სიების მარჯვენა მხარეს დახედავთ და კაცების ორმაგი ათვლის სისტემა დაგაბნევთ, ნუ დაფრთხებით — ეს ბევრ სხვასაც მოსვლია.

საქმე ის არის, რომ ATP ტურმა წლეულს თავისი ნუსხების გადახალისება გადაწყვიტა. შედეგად მოვიღეთ ე.წ. „ჩემპიონთა რბოლა 2000“, რომელიც მოთამაშეებს მხოლოდ მიმდინარე სეზონის დამსახურებებს უთვლის და რომლის თანახმადაც იანვრიდან მოყოლებული საუკეთესო შვედი მაგნუს ნორმანია.

მაგრამ იმავდროულად საბოლოოდ არ გაუქმებულა კლასიფიკაციის ძველი სისტემაც, რომელიც ჩოგბურთელის უკანასკნელი 52 კვირის მიღწევებს ითვალისწინებს. მის მიხედვით ადგენენ, ვინ ხვდება ამა თუ იმ ტურნირის ძირითად ბადეში, ვინ — საკვალიფიკაციო ეტაპზე და ვინ უნდა იყოს განთესილი.

ამ ნუსხას დიდი უპირატესობით და სავსებით დამსახურებულადაც ანდრე აგასი ლიდერობს, რომლის ანგარიშზეც 3 დიდი სლემის ტურნირის ტიტული და ერთიც ფინალია. მსოფლიოს პირველ ჩოგნადაც, როგორც ამ რამდენიმე დღის წინ პიტ სამპრასმა აღნიშნა, სწორედ ხოტორა ლასვეგასელი ითვლება და არა შვედი ნორმანი.

რამდენად გამართლებულია ასეთი დაყოფა? ძნელი სათქმელია, რადგან თვით მოთამაშეებიც სხვადსხვაგვარად ფიქრობენ.

თუ გუსტავო კუერტენი, მაგნუს ნორმანი და ტიმ ჰენმანი ახალი სისტემის მომხრენი არიან, გრეგ რუზეცკი და პიტ სამპრასი მას ეჭვის თვალით უყურებენ. ანდრეი ჩესნოკოვს კი სულაც მიაჩნია, რომ „ჩემპიონთა რბოლა“ ორ-სამ სეზონში ჭირს მოგვჭამს.

**ავთანდილ სვანიძე**

## კლასიფიკაცია

ქალები

| | | |
|---|---|---|
| 1.2. | მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 5982 |
| 2.1. | ლინდსი დევენპორტი (აშშ) | 5945 |
| 3.7. | მონიკა სელეში (აშშ) | 2612 |
| 4.4. | ვინუს უილიამსი (აშშ) | 2577 |
| 5.3. | კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) | 2573 |
| 6.5. | მარი პირსი (საფრანგეთი) | 2542 |
| 7.6. | ნატალი ტოზია (საფრანგეთი) | 2501 |
| 8.8. | სერენა უილიამსი (აშშ) | 2314 |
| 9.10. | არანჩა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი) | 1874 |
| 10.11. | ამანდა კუტცერი (სამხრეთ აფრიკა) | 1871 |
| 11.9. | სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი) | 1869 |
| 12.12. | ანკე ჰუბერი (გერმანია) | 1789 |
| 13.14. | ჟული ალარი (საფრანგეთი) | 1699 |
| 14.18. | ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 1686 |
| 15.15. | ანა კურნიკოვა (რუსეთი) | 1592 |
| 16.13. | ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) | 1419 |
| 17.16. | ბარბარა შეტი (ავსტრია) | 1405 |
| 18.17. | ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) | 1265 |
| 19.20. | აი სუგიამა (იაპონია) | 1213 |
| 20.22. | დომინიკ ვან რუსტი (ბელგია) | 1212 |
| 21.21. | ნატალი დეში (საფრანგეთი) | 1178 |
| 22.23. | სილვია ტალაია (ხორვატია) | 1152 |
| 23.19. | ემი ფრეზერი (აშშ) | 1145 |
| 24.25. | საბინე აპელმანსი (ბელგია) | 1045 |
| 25.24. | ჩანდა რუბინი (აშშ) | 1041 |
| 26.26. | ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 995 |
| 27.27. | ლაიზა რეიმონდი (აშშ) | 965 |
| 28.31. | ანა-გეილ სიდო (საფრანგეთი) | 934 |
| 29.28. | კიმ კლაისტერსი (ბელგია) | 925 |
| 30.37. | ელენა დოკიჩი (ავსტრალია) | 911 |
| 41.69. | ფაბიოლა ზულუაგა (კოლუმბია) | 719 |
| 50.50. | მირიანა ლუჩიჩი (ხორვატია) | 622 |

## ჩემპიონთა რბოლა 2000

კაცები

| | | |
|---|---|---|
| 1.1. | მაგნუს ნორმანი (შვედეთი) | 346 |
| 2.6. | გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) | 305 |
| 3.2. | ანდრე აგასი (აშშ) | 267 |
| 4.3. | ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) | 241 |
| 5.4. | ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) | 239 |
| 6.5. | პიტ სამპრასი (აშშ) | 225 |
| 7.8. | სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი) | 219 |
| 8.7. | ალექს კორეტხა (ესპანეთი) | 217 |
| 9.18. | მარატ საფინი (რუსეთი) | 199 |
| 10.9. | ტომას ენკვისტი (შვედეთი) | 180 |
| 11.10. | ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 174 |
| 12.11. | ტიმ ჰენმანი (ინგლისი) | 169 |
| 13.12. | მარიანო პუერტა (არგენტინა) | 168 |
| 14.14. | იუნეს ელ აინაუი (მაროკო) | 164 |
| 15.13. | ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) | 147 |
| 16.15. | დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) | 145 |
| 17.16. | მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) | 139 |
| 18.17. | ნიკოლას კიფერი (გერმანია) | 137 |
| 19.19. | ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) | 127 |
| 20.20. | მარკ როსე (შვეიცარია) | 125 |

კლასიფიკაცია ძველი სისტემით

| | | |
|---|---|---|
| 1.1. | ანდრე აგასი | 5100 |
| 2.2. | პიტ სამპრასი | 3343 |
| 3.4. | მაგნუს ნორმანი | 2868 |
| 4.3. | ევგენი კაფელნიკოვი | 2758 |
| 5.6. | გუსტავო კუერტენი | 2382 |
| 6.5. | სედრიკ პიოლინი | 2219 |
| 7.7. | ნიკოლას კიფერი | 1899 |
| 8.8. | ტომას ენკვისტი | 1890 |
| 9.10. | ლეიტონ ჰიუიტი | 1782 |
| 10.9. | ალექს კორეტხა | 1776 |

## ვინ რამდენი $ მოიხვეჭა 2000-ში

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | მარტინა ჰინგისი | 1 161 039 | 1. | გუსტავო კუერტენი | 962 029 |
| 2. | ლინდსი დევენპორტი | 1 087 930 | 2. | მაგნუს ნორმანი | 830 936 |
| 3. | კონჩიტა მარტინესი | 495 339 | 3. | სედრიკ პიოლინი | 692 039 |
| 4. | მონიკა სელეში | 466 125 | 4. | ანდრე აგასი | 665 670 |
| 5. | მარი პირსი | 440 567 | 5. | ალექს კორეტხა | 655 472 |
| 6. | არანჩა სანჩეს-ვიკარიო | 315 929 | 6. | ევგენი კაფელნიკოვი | 654 284 |
| 7. | სანდრინ ტესტიუ | 294 731 | 7. | პიტ სამპრასი | 616 146 |
| 8. | ამანდა კუტცერი | 285 036 | 8. | დომინიკ ჰრბატი | 536 923 |
| 9. | ანა კურნიკოვა | 265 984 | 9. | მარატ საფინი | 528 860 |
| 10. | ჟული ალარი | 238 093 | 10. | ლეიტონ ჰიუიტი | 479 406 |
| 11. | ამელი მორესმო | 230 458 | 11. | ტომას ენკვისტი | 421 549 |
| 12. | სერენა უილიამსი | 221 956 | 12. | უეინ ფერერა (სამხრეთ აფრიკა) | 363 606 |
| 13. | ლაიზა რეიმონდი | 205 276 | 13. | ნიკოლას ლაპენტი | 354 557 |
| 14. | კორინა მორარიუ (აშშ) | 204 597 | 14. | ხუან კარლოს ფერერო | 350 183 |
| 15. | აი სუგიამა | 196 693 | 15. | ტიმ ჰენმანი | 337 127 |

ცურვა

# რეკორდისთვის დაბერებული



ინგე დე ბრუინი

მონაკოში დასრულებულ მოცურავეთა საერთაშორისო ტურნირ „მარე ნოსტრუმის“ პირველ ეტაპზე, ჰოლანდიელმა ვეტერანმა ინგე დე ბრუინმა მსოფლიოს რეკორდი დაამყარა. მან 50 მეტრზე ბატერფლაით გაცურვისას, შარშან სტამბოლის ევროპის ჩემპიონატზე შვედი ანა-კარინ კამერლინგის მიერ დამყარებული მსოფლიოს რეკორდი (26,29) დაამხო — 25,83. ამით დე ბრუინმა გამოიმუშავა 16 ათასი დოლარი, რომელიც შეჯიბრების ორგანიზატორებმა პირველად დააწესეს საპრიზოდ. ამას გარდა ჰოლანდიელმა იმავე დისციპლინაში 100 მეტრზე კონტინენტის რეკორდიც (58,49) გააუმჯობესა — 57,96.

— 1991 წლიდან საუკეთესო მოცურავეების მდევრის როლში ვიყავი. მათთან გასატოლებლად დიდი შრომა მჭირდებოდა — ამბობს 27 წლის ევროპის ორგზის ჩემპიონი, რომელიც ბოლო სამი სეზონია, რაც აშშ-ში ვარჯიშობს — ჩემმა შეუპოვრობამ და აშშ-ში გატარებულმა სავარჯიშო პერიოდმა ნაყოფი გამოიღო ევროპის ჩემპიონატზე, სადაც პირველი ტიტული მოვიგე. ახლა, როდესაც ჩემი კარიერის დასასრულს ვუახლოვდები, უნდა ვაღიარო, რომ იგი უკეთესია, ვიდრე დდასაწყისი.

„მარე ნოსტრუმის“ საერთაშორისო ტურნირი წარმატებული გამოდგა 19 წლის სამგზის ევროპის ჩემპიონის, უნგრელი აგნეს კოვაჩისთვისაც, რომელმაც 50 მეტრზე ბრასით ცურვაში, სტამბოლის ევროპის ჩემპიონ ზო ბეკერს ევროპის რეკორდი (31,43) ჩამოართვა — 31,34.

**გიგა გურასპაშვილი**

კრივი



REUTERS გლობზგოდან

ფრენკ უორენი: შეუშვით ტაისონი ბრიტანეთში!

# ჯეკ სტროუს ხელში

## ჩავა ტაისონი გლაზგოში?

პრომოუტერმა ფრენკ უორენმა, ვინც გლაზგოს „ჰემპდენ პარკზე“ მაიკ ტაისონისა და ლუ სავარეზეს ორთაბრძოლას აწყობს, განაცხადა, რომ სავიზო ქაღალდის მიუღებლობა დიდ ზარალს მიაყენებს გლაზგოს ბიუჯეტს.

შეგახსენებთ, რომ ბრიტანეთის ქალთა ორგანიზაციები და პარლამენტის წევრები შინაგან საქმეთა მინისტრ ჯეკ სტროუს მოუწოდებენ ტაისონს ქვეყანაში შესვლის უფლება არ მისცეს, იანვარში, სტროუმ გამონაკლისის სახით, ჯულიუს ფრენსისთან მანჩესტერში საბრძოლველად, ქვეყანაში შემოუშვა ტაისონი. ბრიტანეთის კანონებით კი, თორმეტ თვეზე მეტხანს ნაჯდომ ხალხს სამეფოში არაფერი ესაქმება.

უორენმა განაცხადა, რომ შოტლანდიის უპირველეს ეროვნულ სტადიონზე 58 ათასი ბილეთი გაიყიდება (აქედან 20 ათასი უკვე შეკვეთილია), პირდაპირი რეპორტაჟი 180 ქვეყანაში გადაიცემა. ბრძოლა 40 მილიონ ფუნტს შემატებს შოტლანდიის ბიუჯეტს. ბრიტანეთის ისტორიაში არასოდეს გამართულა ამაზე შემოსავლიანი საკრივო შეჯიბრი.

როგორც ექვსი თვის წინათ, ახლაც ყველაფერი მისტერ სტროუს ხელშია.

უორენი კი ბრიტანეთის ძირძველ დემოკრატიულ ტრადიციებს შეახსენებს იქაურ პარლამენტის წევრებს, რომლებიც ქაღალდს ქაღალდზე ადგენენ ტაისონის შემოშვების საწინააღმდეგოდ.

„ამ ქვეყანაში ბევრად მეტ ხალხს უნდა ტაისონის ბრძოლის ნახვა, ვიდრე წარმოუდგენიათ. მაიკი ციხეში იჯდა, მაგრამ სასჯელი პატიოსნად მოიხადა და ნუთუ ამის გამო უნდა ჩაიშალოს ბრძოლა?“ კითხულობს უორენი.

ამისდაკვალად შოტლანდიის პარლამენტი ერთსულოვნად მოითხოვს ტაისონისთვის უარის თქმას და მხარდაჭერებს ინგლისის პარლამენტში ეძებს. ინგლისის პარლამენტს მინისტრზე ზემოქმედების ბევრად მეტი საშუალება აქვს. ტაისონის ხსენებაზე გამორჩევით ქალი ლეიბორისტები წივიან. ბრიტანულ „სქაისა“ და ამერიკულ „შოუთაიმს“ კი უკვე გამზადებული აქვთ სატელერეპორტაჟო კონტრაქტები.

კვლავაც ქვეყანა შესცქერის ჯეკ სტროუს, რომელიც, ალბათ, კვლავ დაურტყამს ბეჭედს ტაისონს.

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**

მძლეოსნობა

# მერაგობა და სიყვარული



აშია ჰანსენი

მოკლედ მარტში მომხდარზე. გერლფრენდის სანახავად მიმავალ ბოიფრენდს, გულის მურაზის სახლთან ვილაცეები დაუხვდნენ, წიხლებქვეშ გაიგდეს და ხანჯალი შუბლსა და ზურგზე დაუსვეს, შავი ქალი რად შეგყვარებიაო. დაჭრილი ვინმე კრის კოტერი გახლავთ, ერთ დროს სიგრძეზე მხტომელი და ახლა სადაზღვევო აგენტი, შავი ქალი კი ბევრად უფრო ცნობილი ვინმეა — სამმხტომში ჭერქვეშა მსოფლიოს რეკორდის ავტორი აშია ჰანსენი, ერთი იმ ზანგი სპორტსმენთაგანი, ბრიტანეთის სამძლეოსნო ღირსების მთავარი შემოქმედები რომ არიან. მას შემდეგ, რაც კოტერი დაამახინჯეს, ორ დღესაც არ გაევლო და ჰანსენმა და კიდევ სამმა ზანგმა მძლეოსანმა მუქარის წერილები მიიღეს, სადაც ის სიტყვები ეწერა, ჩვეულებრივ ამგვარ შემთხვევებში რომ ამბობენ ხოლმე, თქვე ზანგო ძაღლებო, თქვენი ასე და ისე, მოგკლავთ, გაგანადგურებთო და ასე შემდეგ. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, რასიზმის ტიპიური გამოვლინებაა და ახალ საუკუნეში ამგვარი გადმონაშთის ჯერაც არსებობამ ბრიტანული და განსაკუთრებით ბირმინგემის (სადაც ეს ყველაფერი მოხდა) მასმედიის ცხოველი ინტერესი გამოიწვია, მძლეოსნები კი უაღრესად შეაშფოთა, ჰანსენი საერთოდ სადღაც მიიმალა, ხოლო დანარჩენებს ადგილობრივმა პოლიციამ დაცვა მიჩინა.

ზემოთ რაც ითქვა, თავიდან ბოლომდე კოტერის მონაყოლს ეყრდნობა და ისე ჩანდა, რომ ურყევი ჭეშმარიტება იყო, მაგრამ გუშინწინ ისტორია განვითარდა. ბირმინგემელმა მოსამართლემ და მისმა სატრაპებმა ახლა ისე დახატეს საქმე, ვითომ თავად კოტერი იყო მთავარი ბოროტმოქმედი და მომხდარი მთლიანად მისი ჩაწყობილია, ამიტომ ორი თვის წინანდელი ამბის ახალი ვერსია ახლა შემდეგნაირად გამოიყურება — კოტერი შეეკრა ორ თავისნაირ ყალთაბანდს, სარჯიტ კლერსა და კრეიგ ვინს, დაასახიჩრებინა თავი, დაგზავნა მუქარის წერილები და რაც მთავარია, ეს ყველაფერი რასიზმის აქტად გაასაღა, ამბავი ჟურნალისტებს მიჰყიდა და ფული გააკეთა. კოტერის და ძმათა მისთა ფანდები უკვე ამოცნობილია და მათ მალე გაასამართლებენ საკმაოდ მძიმე მუხლებით.

**დავით გულუა**

# ბათუმი ევროპას გაუშინაურდა



ნონა გაფრინდაშვილი

გუშინ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ახალარჩეულმა პრეზიდენტმა ნონა გაფრინდაშვილმა პრესკონფერენცია გამართა, რომელიც ქალთა პირველ ევროპის ჩემპიონატს მიეძღვნა. ეს პირველობა ხვალ იწყება ბათუმში.

აჭარის დედაქალაქს 32 მოჭადრაკე ქალბატონი ეწვევა, რომელთაგანც რვა რეიტინგმა გამოავლინა. სამი ადგილი გაინაწილეს ორგანიზატორებმა, ევროპული და მსოფლიოს საჭადრაკო ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა, დანარჩენები კი ზონალური პრინციპით შეირჩნენ. საქართველოდან ითამაშებენ მაია ჩიბურდანიძე, ნინო გურიელი, ნონა გაფრინდაშვილი, ნინო ხურციძე, ინგა ხურცილავა, მაია ლომინეიშვილი, ლელა ჯავახიშვილი და ანა მათნაძე. ბოლო მომენტში ამ სოლიდურ ამქარს ნანა ალექსანდრიაც შეემატა. ბათუმში არ ჩავლენ ამჟამად გერმანიის სახელით მოთამაშე ქეთევან კახიანი-გერშინსკა და შოტლანდიაში გათხოვილი ქეთევან არახამია-გრანტი. სამაგიეროდ, ბელარუსის სახელით გვეწვევა ერთ დროს ქუთაისელი ჰენრიეტა ლაგვილავა. სავარაუდოდ, არც იუგოსლავიელები გვესტუმრებიან გარკვეული პრობლემების გამო. გადაწყვეტილია, რომ არც უნგრელ პოლგართა დინასტია დაგვდებს პატივს და არც ქართველებზე დანასისხლად გადამტერებული რუსი ალისა გალიამოვა. თუმცა უეჭველია, ზღვისპირეთში არაერთ ძლიერ მოჭადრაკეს ვიხილავთ.

ცხადია, ნონა გაფრინდაშვილი ამას წინათ ქართულ ჭადრაკში მიმდინარე მძაფრ დაპირისპირებას გვერდს ვერ აუვლიდა და ამ თემას მართლაც დიდი ადგილი დაეთმო. უფრო მეტიც — პრეზიდენტმა ამით დაიწყო საუბარი და აღნიშნა, რომ აზმაიფარაშვილის შეთავაზება პრეზიდენტ-თანაპრეზიდენტობის შემოღებაზე მისთვის მოულოდნელი იყო. ამ წინადადებაზე ის ქართული ჭადრაკის საკეთილდღეოდ თავისი გუნდის თხოვნით დათანხმებულა. ამით კონფლიქტი ამ ეტაპზე ამოიწურა და დღეს ისინი სრული ურთიერთგაგებით მართავენ ფედერაციას. ჩვენს შორის არავითარი გაუგებრობა არ არსებობსო, რამდენჯერმე გაიმეორა პრეზიდენტმა. ფუნქციების განაწილებას რაც შეეხება, აზმაიფარაშვილი ფედერაციის საგარეო საქმიანობას ხელმძღვანელობს, გაფრინდაშვილი — ყველა დანარჩენს. პრეზიდენტს კონფლიქტის მოგვარებაში ნინო გურიელიც ძალიან დახმარებია, საერთო ენის გამონახვა კი უფრო მამაკაცებთან გასჭირვებია, მაგრამ მოთმინებით, ნაბიჯ-ნაბიჯ ყველაფერი დაუძლევია. ეს არ იყო იოლიო, დასძინა მან, თუმცა საერთო საქმისთვის პირადულის დათმობა ყველას უნდა შეგვეძლოსო.

გაფრინდაშვილმა ილაპარაკა ფინანსებსა და ოლიმპიურ გუნდზეც, რომლის შემადგენლობაში თამაშზეც ნანა იოსელიანი და მაია ჩიბურდანიძე დათანხმებულან. ფედერაციას ნინო ხურციძეც მიუწვევია, როგორც ახალგაზრდობის უდავო ლიდერი. სამაგიეროდ, უარი განუცხადებია არახამიას. მეოთხე მონაწილის ვინაობა ხურცილავას, სოფიკო ტერელაძის, გურიელისა და არახამიას ურთიერთშეხვედრების შემდეგ გაირკვევა. გაფრინდაშვილის ვარაუდით, არახამია სწორედ ამაზე განაწყენებულა.

„მე და აზმაიფარაშვილმა ბევრი ვეძებეთ სპონსორები, მაგრამ მათი დაინტერესება არცთუ იოლია — თქვა გაფრინდაშვილმა და საფინანსო თემა შემდეგნაირად განავრცო — თუ ბიუჯეტით გათვალისწინებულ 100 ათას ლარს დროულად მოგვცემენ, ეს სეზონის უმნიშვნელოვანესი ტურნირების დასაფინანსებლად გვეყოფა, მაგრამ არა მომავალი თაობის აღსაზრდელად, ხოლო ოლიმპიადისთვის თანხები ცალკეა საძებნელი. ძველი დიდება რომ დავიბრუნოთ, ნიჭი ძლიერი ფინანსური ბაზით უნდა გავამყაროთო". დაამატა პრეზიდენტმა და ამ სიტყვებით დაგვემშვიდობა.

ირაკლი თავაძე

# გნებდებით, ფრიც!

ამ დღეებში ერთდროულად სამიოთხი სხვადასხვა ამბავი მოხდა. და უპირველესად სიმწვავით გამორჩეული გამოვყოთ. ჭადრაკში ადამიანისა და კომპიუტერის არასაჭადრაკო დაპირისპირების ახალი ეტაპი დაიწყო. ადრეც ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ ტურნირებში კომპიუტერული საჭადრაკო პროგრამების ჩართვა უსამართლობაა. ამგვარი განცხადებები რჩეულებსაც მრავლად გაუკეთებიათ, ოღონდ პროტესტის უფრო ქმედითი ფორმა მხოლოდ ერთი კვირის წინ გამოიყენეს. მისი ავტორია ჰოლანდიელი დიდოსტატი მანუელ ბოსბოომი, რომელსაც თავისი ქვეყნის პირველობაზე კომპიუტერული ჭადრაკის ერთ-ერთი მეფის, „ფრიცის" მონაწილეობა არ ეპიტნავა და მასთან პარტიაში პროტესტის ნიშნად მე-3 სვლაზე დანებდა. ნაკლებ დემონსტრაციულად მოიქცა პოლ ვან დერ შტერენი, რომელმაც უბრალოდ უარი განაცხადა „ფრიცთან" თამაშზე. ამბავი იმით დასრულდა, რომ ჰოლანდიის ჩემპიონი მაინც ჰომო საპიენსი, დიდოსტატი ლუკ ვანველი გახდა, რომელმაც თავისი პირველი მტერი, ჯეროენ პიკეტი ქულით ჩამოიტოვა, „ფრიცი" კი ორ კაცთან ერთად მომდევნო ადგილებზე მოთავსდა.

ჩვენი წერილის მთავარი თემა, ცხადია, მაინც სარაევოს სუპერტურნირია, ოღონდ იქამდე ლვოვში დასრულებულ ლეონიდ შტეინის მემორიალზეც ვთქვათ. პირველად ამ საკმაოდ უჩინო შეჯიბრის ისტორიაში მეტად ძლიერი შემადგენლობა მოგროვდა ვასილი ივანჩუკის თამადობით, რომელიც ბოლო ხანების ელიტარულ დაპირისპირებებს რატომღაც მოსწყვიტეს. ალექსანდრ ბელიავსკი, ოლეგ რომანიშინი და ვიქტორ კორჩნოი კიდევ ის ხალხია, ვინც ოციოდე წლის წინ საჭადრაკო მსოფლიოს აზანზარებდა და თავისი ტალანტის ნაწილი ხანდაზმულობამდეც მოიტანა. ამათ დავუმატოთ პოლონეთის ჩემპიონი მიხეილ კრასენკოვი და ებრაელი ბორის გელფანდი და ცხადი გახდება, რატომ მიანიჭეს ტურნირს XVII კატეგორია.

ტურნირი გვარიანი გამოდგა, ოღონდ ვეტერანები დაიჩაგრნენ. მხოლოდ მესამე იყო ალექსანდრ ბელიავსკი, სლოვენიის სახელით რომ თამაშობს. იმას მიჰყვა პატრიარქი კორჩნოი და რომანიშინი სულაც ბოლო იყო. სამაგიეროდ, ლომივით ითამაშა ივანჩუკმა და დაამტკიცა, რომ უფრო მაღალ დონეებზე გამოჩენაც არ აწყენს. მისგან ნათამაშევი ლამაზი პარტიები უხვად იყო და ერთი მათგანი ტურნირის რჩეულადაც აღიარეს. მოკლედ, ჭადრაკში თითებზე ჩამოსათვლელად დარჩენილმა ერთმა რომანტიკოსმა უკრაინაში იმარჯვა და მეორეს მშვენიერი შანსი აქვს, ბოსნიის დედაქალაქში იგივე გააკეთოს, ოღონდ ალექსეი შიროვს საამისოდ ბევრად უფრო მაღალ ბარიერებზე გადახტომა მოუწევს. სარაევოში არიან გარი კასპაროვი, ალექსანდრ მოროზევიჩი, მაიკლ ადამსი, ვესელინ ტოპალოვი და სხვა საჭადრაკო ზვიგენები. უკვე ექვსი ტური ჩატარდა და ყველაფერი რიგზეა. თავში იგია, ვინც წესით უნდა იყოს და ბოლოშიც. კასპაროვი და შიროვი ლიდერობენ, მათ კი დანარჩენი ფავორიტები მიჰყვებიან კუდში. მხოლოდ ტოპალოვს შეურგავს თავი ცხრილის სიღრმეში, თუმცა რაოდენობრივად წინწასულებს არც იმდენით ჩამორჩება, ყურები ჩამოყაროს. მეშვიდე ტურში კასპაროვისა და მოროზევიჩის პარტია ცენტრალური იქნება. ჩემპიონი თეთრებით თამაშობს და ამგვარი შანსის გაფლანგვას არაფრით მოისურვებს. დანარჩენი შეხვედრებიც მეტ-ნაკლებად დამაინტრიგებელია. მათზე ხვალ ვისაუბრებთ, დღევანდელი სატურნირო ვითარება კი ასეთია: 1-2. გარი კასპაროვი, ალექსეი შიროვი — 4-5; 3-4. ალექსანდრ მოროზევიჩი, ევგენი ბარეევი — 4; 5-6. მაიკლ ადამსი, კირილ გეორგიევი — 3,5; 7. ვესელინ ტოპალოვი — 3; 8. მიხეილ გურევიჩი — 2,5; 9. ივან სოკოლოვი — 2; 10-12. ნაიჯელ შორტი, სერგეი მოვსესიანი, ეტიენ ბაკრო — 1,5.

დავით გულუა






ეტაპის მომგებმა ივან კარანტამ, ჯერ ფული, მერე პოდიუმიო

# ბოიკოტი წილის წილ

„ჯიროს“ მეათე ეტაპი, რომელიც იტალიელმა ივან კარანტამ მოიგო, ტურნირის ორგანიზატორებსა და იტალიელ მრბოლთა ასოციაციას (ასოგრუპი) შორის დაპირისპირების გამო შეიძლება ჩაშლილიყო კიდეც.

ფინიშის შემდეგ კარანტამ პოდიუმზე ასვლა იუარა. მის მაგალითს მიბაძა ფრანჩესკო კასაგრანდემაც, ვინც 253-კილომეტრიანი გზის შემდეგ საერთო ჩათვლაში პირველი ადგილი შეინარჩუნა.

„ასოგრუპის“ მოთხოვნით, კარანტამ იტალიის სახელმწიფო ტელევიზია „რაისაც“ უარი უთხრა ინტერვიუზე. „ეს სრულებით არ მსიამოვნებს, მაგრამ კითხვებზე პასუხს ვერ გაგცემთ“ — განუცხადა ეტაპის მომგებმა „ჯიროს“ გამშუქებელ არხს. არადა, მას, ალბათ, ერთი სული ჰქონდა, წლევანდელ „ჯიროზე“ მეორე ეტაპით გამოწვეული სიხარული საჯაროდ გამოეხატა, მით უმეტეს, რომ ისეთ ორ უძლიერეს სპრინტერს აჯობა, როგორებიც მარიო ჩიპოლინი და იან სვორადა არიან.

განხეთქილების ვაშლად კი ტურნირის ტელეტრანსლაციებიდან შემოსული თანხების განაწილება იქცა. „ასოგრუპი“ ფულის თანაბრად გაყოფას ითხოვს და ამბობს (მართალიცაა), რომ ველოსპორტი ერთადერთი სპორტის სახეობაა, სადაც გუნდების შესანახი ხარჯების 95%-ს სპონსორები იხდიან. ამ დავას მიეძღვნა „რაის“ გადაცემა, რომელშიც ფრანჩესკო კასაგრანდე ორიოდ სიტყვით შემოიფარგლა და განაცხადა: თუ ვითარება არ შეიცვალა, პოდიუმზე ასვლას ვინლა ჩივის, ეგებ, ვარდისფერი მაისურის ჩაცმაზეც კი უარი ვთქვაო.

„ჩვენ სიტყვას უკან არ წავიღებთ“ — თქვა წარსულში ცნობილმა მრბოლმა და ამჟამად „მერკატონე უნოს“ პრეზიდენტმა ფელიჩე ჯიმონდიმ. „ლიკიგასის“ ადმინისტრატორმა კი „ჯიროს“ ორგანიზატორი „RCS სპორტს“ ულტიმატუმი წაუყენა — ან ჩვენს წილს მოგვცემთ, ან ბოიკოტს გამოგიცხადებთო.

თავის მხრივ, „RCS სპორტიც“ არ აპირებს რაიმეს დათმობას და აცხადებს, რომ ასეთი საქციელისთვის (პოდიუმზე აუსვლელობა) ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის მიერ ნებადართულ სასჯელებს მიმართავს. თუ ეს მართლაც ასე მოხდა, კარანტას და კასარგანდას მინიმუმ 200 დოლარით დაჯარიმება ელით.

„ასოგრუპს“ უკვე ამ ეტაპზევე სურდა, რომ მრბოლებს სხვადასხვა ჩათვლაში ლიდერებისთვის განკუთვნილი ფერადი მაისურები არ ჩაეცვათ, მაგრამ ეს თითქმის მათი დასკვალიფიკაციის ტოლფასი იქნებოდა და ამჯერად თავი შეიკავა. იტალიელ მრბოლთა ასოციაციამ გადაწყვიტა — ჯერჯერობით მხოლოდ ოფიციალური პროტოკოლის, „რაის“ და „RCS სპორტზე“ დამოკიდებული გაზეთების („გაძეტა დელო სპორტი“ და „კორიერე დელა სერა“) ბოიკოტი იკმაროს. თუ რამდენ ხანს გაგრძელდება ეს, ჯერ უცნობია.

„ველოსპორტი შეიცვალა. ოცი წლის წინ ტელეტრანსლაციებიდან თითქმის არანაირი თანხა არ შემოდიოდა. ახლა კი ეს ფული არსებობს და მისი დიდი წილი გუნდებსაც უნდა მოხმარდეს„ — თქვა სააგენტო „ფრანს პრესთან“ საუბრისას „პოლტის“ გენერალურმა მენეჯერმა ჯანლუიჯი სტანგამ.

ამ დავიდარაბამ თვით ეტაპის მიმდინარეობა ლამის ყველას გადაავიწყა. ისე, საინტერესო არც არაფერი მომხდარა. რამდენიმე უილბლო შეტევის შემდეგ პელოტონმა ფინიშს ჯგუფურად უწია და იქ, როგორც უკვე ვთქვით, ყველას ივან კარანტამ აჯობა.

**გაიოზ თალაკვაძე**

### მეათე ეტაპი

**სან მარჩელო — პადოვა, 253 კმ**

1. ივან კარანტა (იტალია, მობილვეტა) — 6 სთ 48 წთ 07 წმ
2. იან სვორადა (ჩეხეთი, ლამპრე)
3. მარიო ჩიპოლინი (იტალია, საეკო)
4. მარკო ძანოტი (იტალია, ლიკიგასი)
5. იერონ ბლიილევენსი (ჰოლანდია, პოლტი) — ყველას იგივე დრო

**საერთო ჩათვლა**

1. ფრანჩესკო კასაგრანდე (იტალია, ვინი კალდიროლა) — 53 სთ 53 წთ 38 წმ
2. დანილო დი ლუკა (იტალია, კანტინა ტოლო) — +51 წმ
3. ანდრეა ნოე (იტალია, მაპეი) — +1 წთ 39 წმ
4. სტეფანო გარძელი (იტალია, მერკატონე უნი) — +1წთ 39 წმ
5. დარიო ფრიგო (იტალია, ფასა ბორტოლო) — +1 წთ 40 წმ

# პოლ მაკარტნი და მისი ვეგეტარიანელები

რომორ ფიქრობთ, რა აკავშირებთ ერთმანეთთან ლეგენდარულ ლივერპულურ ოთხეულსა და ველოსპორტს? რა და, „ბითლზების“ ცაცია გიტარისტმა პოლ მაკარტნიმ ველოგუნდი ჩამოაყალიბა და წლევანდელ „ჯიროშიც“ მონაწილეობს. რაოდენ გაიხარებდა იგი, შაბათს თავისი ერთ-ერთი ვეგეტარიანელი მრბოლის, ავსტრალიელი დევიდ მაკენზის მეშვიდე ეტაპზე გამარჯვების ამბავს რომ შეიტყობდა. ამას ხომ არავინ ელოდა. „ლინდა მაკარტნი რეისინგის“ მრბოლები სერიოზულ ძალას ნამდვილად არ წარმოადგენენ და ძნელი საფიქრებელია, კიდევ მიაღწიონ რაიმე წარმატებას წლევანდელ ტურნირზე, თუმცა იქნებ ივაჟკაცოს კიდეც ვინმემ მაკენზივით, ვინც 164 კილომეტრი მარტომ იქროლა და პელოტონს მხოლოდ ერთი წუთით, მაგრამ მაინც მიასწრო ფინიშზე.

პოლ მაკარტნიმ გუნდი მხოლოდ იმიტომ კი არ შექმნა, რომ ველოსპორტზე უზომოდ შეყვარებულია. მას თავისი მეუღლის დაწყებული საქმის გაგრძელებაც უნდოდა. ლინდა მაკარტნი 1998 წელს კიბოთი გარდაიცვალა, ცხოვრების ბოლო წლებში კი, ვეგეტარიანული საჭმლის პროპაგანდას ეწეოდა და ასეთი სახის პროდუქციას მისი შექმნილი ფირმაც უშვებდა. ჰოდა, „ლინდა მაკარტნი“, გარდა იმისა, რომ პირველი ბრიტანული გუნდია, რომელიც „ჯიროში“ მონაწილეობს, მსოფლიოში პირველიცაა, რომლის შემადგენლობაში მხოლოდ ვეგეტარიანელი მრბოლები ირიცხებიან.

ამ გუნდში რომ მოხვედრილიყვნენ, ატლანტის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, შვეიცარიელმა პასკალ რიშარმა და იტალიური წარმოშობის ბრიტანელმა, მაქსიმილიან სკიანდრიმ თავიანთი ყოველდღიური მენიუ შეცვალეს. მათ, ისევე როგორც დანარჩენმა მაკარტნელებმა, პირობა დადეს, რომ ხორცს, თევზს



დევიდ მაკენზი

და მსგავს საკვებს ახლოსაც არ გაეკარებოდნენ. ხოლო თუ სიტყვა გატეხეს, მაშინ კონტრაქტიც შეუწყდებათ.

თუმცა ისინი მარხვას მაინც არ იცავენ. კვერცხს, რძესა და რძის პროდუქტებს თავისუფლად მიირთმევენ, ოღონდ არა უზომო რაოდენობით. მარცვლეულის, ბრინჯის, მაკარონის, ხილის, ბოსტნეულის ჭამა კი შეუზღუდავად შეუძლიათ. „ჯიროს“ დროს მათ გამოკვებაზე საგანგებოდ ინგლისიდან იტალიაში ჩაყვანილი ორი მზარეული ზრუნავს, რომლებიც ვეგეტარიანული სამზარეულოს ოსტატები ყოფილან.

„გუნდის მიზანია, ყველას დაუმტკიცოს, რომ ვეგეტარიანული რეჟიმი საუკეთესოა“ — ამბობს სკიანდრი, რომელიც ყოველთვის, როცა კი შანსი ეძლევა „ლინდა მაკარტნის“ პროდუქტებს რეკლამას უკეთებს. კონტრაქტით ევალება და რა ქნას.

პოლ მაკარტნიმ, რომელიც ლინდასა და თავის სამ შვილთან (სტელა, მერი, ჯეიმსი) ერთად ხშირად აწყობდა ველოგასეირნებებს, გუნდის დაფინანსება შარშან დაიწყო და განაცხადა, რომ პელოტონში მინიმუმ ხუთ წელს მაინც გაჩერდებოდა. წლევანდელი სეზონის დასაწყისში პოპულარულმა მომღერალმა „ლინდა მაკარტნის“ მაისურით ფოტოებიც გადაიღო და რამდენიმე თავისი მრბოლი სამხრეთ ინგლისში, ბრაიტონთან ახლოს მდებარე თავის სახლში მიიპატიჟა.

„ჯიროს“ სტარტზეც ელოდნენ მაკარტნის ჩასვლას, მაგრამ მისი გეგმები შეიცვალა. „თუ აქ ჩამოვა, მხოლოდ ინკოგნიტოდ, თავის მრბოლებს მოინახულებს და მალევე გაემგზავრება“ — ამბობდნენ გუნდში შაბათს დილით, მაკენზის გამარჯვებამდე. „ლინდა მაკარტნის“ სპორტული დირექტორი შონ იეტსი (1994 წელს „ტურ დე ფრანსზე“ ყვითელი მაისურა რომ მოურგია) თავისი გუნდის პროგრამა — მაქსიმუმად ერთი ეტაპის მოგებას სახავდა. მიუხედავად იმისა, რომ გუნდის ლიდერი რიშარი ავადმყოფობის გამო ტურნირს ნაადრევად გამოეთიშა, მიზანი უკვე მიღწეულია.

ყველაზე თავგადაკლული ვეგეტარიანელის, მაკენზის წარმატების შემდეგ მაკარტნელებს ასეთი მენიუ ელოდათ — სალათა, სოკოს ომლეტი, ვეგეტარიანული სოსისი, ბრინჯი, ბოსტნეული, ყველი და ხილი. ვინ იცის, იქნებ გამარჯვების აღსანიშნავად რამდენიმე ბოთლი ფრანგული შამპანურიც გაიხსნა. ისე, ამგვარი სუფრა ვის არ აღუძრავს მადას...

**გაგი გურული**



ეროვნული ბიბლიოთეკა

### ლჰოცზე 2000

# მუსონი ახლოვდება, ფრენა წყდება, ჩვენები კი ისევ ზემოთ ადიან

ლჰოცზეს მთავარ პიკზე ქართულ-რუსული ექსპედიციის წევრთა ასვლისა და საბაზოში მშვიდობით დაბრუნების თაობაზე დროულად გაუწყეთ, ახლა კი ამ ლაშქრობის რამდენიმე დეტალზეც შევჩერდებით.

ასვლა, როგორც ამ ექსპედიციის წევრმა ბიძინა გუჯაბიძემ და იური ბაიკოვსკიმ გვაცნობა, მეტად რთულ პირობებში მიმდინარეობდა. ძლიერი ქარი ქროდა და ქარბუქი კორიანტელს აყენებდა. ქარი წამში 40 მეტრის სისწრაფით უბერავდა, მაგრამ ნათქვამია, ზოგი ჭირი მარგებელიაო. ასვლისას ზურგქარი გამოდგა და მწვერვალს ამ ექსპედიციის ყველა მთამსვლელმა მიაღწია. ეს 100-პროცენტიანი შედეგია. ამ სეზონში ლჰოცზეზე და მის მეზობელ ევერესტზე მოლაშქრეთაგან ასეთი მაჩვენებელი არც ერთ ექსპედიციას არ ჰქონია. ამ შედეგის გამეორება ამ შემოდგომამდე აღარცაა მოსალოდნელი, რადგან უამინდობის გამო ბევრმა ლაშქრობა შეწყვიტა და შინისკენ მიმავალ გზას გაუდგა.

ასე იყო თუ ისე, ქართულ-რუსული ექსპედიციის წევრებს ასვლისას თუ ქარი ზემოთ „მიერეკებოდა“, ჩამოსვლისას პირიქით, იგი მათი მოწინააღმდეგე აღმოჩნდა. ქარბუქმა ყველას სათვალეები თოვლით ამოუვსო და გაუყინა, რის გამოც ვიწრო კულუარში დაშვება პრაქტიკულად ბრმად მოუხდათ.

ამ ექსპედიციის პირველი წევრი მწვერვალზე 12 საათზე ავიდა, 30 წუთის მერე კი ყველანი იქ იყვნენ და, როგორც იტყვიან, ცალ ფეხზე იდგნენ, რადგან მწვერვალის წვერი პატარა აღმოჩნდა.

იმავდროულად მწვერვალზე ავიდა სლოვენიელთა სამი წევრიც. სამწუხაროდ, ერთ-ერთი მათგანი მოყინულობასა და ეგრეთ წოდებულ თოვლის სიბრმავეს ვერ გადაურჩა, რის გამოც მათი დაშვება მეტად გართულდა. სლოვენიელთა მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეამსუბუქა იმან, რომ მათ ქართულ-რუსული ექსპედიციის წევრთა ჟანგბადის ბალონები გამოიყენეს. მერე ისინი მესამე ბანაკთან ახლოს ზვავში მოჰყვნენ, მაგრამ სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩნენ.

ამის მერე კვლავ გადაუღებელი თოვა დაიწყო და ზემოთ მეტად ზვავსაშიში ვითარება შეიქმნა.

დიდთოვლობის გამო, სადღაც 8000 მეტრის სიმაღლეზე ქართულ-რუსული ექსპედიციის წევრებმა ამაოდ ეძებეს ორი წლის წინათ იქ დატოვებული ვლადიმერ ბაშკიროვის ცხედარი. ამ ექსპედიციის წევრები იმაშიც დარწმუნდნენ, რომ ძირითადი მიზნის მიღწევა, მთავარი პიკიდან დღემდე აულებელ შუათანაზე ტრავერსი პრაქტიკულად შეუძლებელია. ახლა მთამსვლელებს მაქსიმუმი, რაც შეუძლიათ, იმ შუათანა პიკისკენ მიმავალი გზების პოვნა და დაზვერვაა, რასაც ისინი აპირებენ კიდეც, პარალელურად კი ჩამოსვლისას ბანაკებსაც აყრიან, მეტისთვის კი დრო აღარ რჩება, რადგან მუსონი ახლოვდება. ამიტომ დანარჩენ სამყაროსთან საჰაერო გზით დამაკავშირებელ მაღალმთიან ლუკლაში პატარა თვითმფრინავით ფრენა 1 ივნისიდან იხურება, ფეხით კი იქიდან კატმანდუმდე ერთი კვირის სასიარულოა.

**ავთანდილ გურასაშვილი**



## PLAY OFF
### ნახევარფინალი




დალასელთა მეკარე ედ ბელფორმა ამჯერადაც იხსნა თავისიანები

# მოთმინე და მოიგე

23 მაისი

დასავლეთი

**დალასი — კოლორადო 3:2**

დალასი — კოლორადო 3:2

0:1 2:0 0:1 1:0

0:1 კლეემი 12'11 (2); 1:1 ლეჰტინენი 24'26 (1); 2:1 ჰალი 34'41 (18); 2:2 ჰეიდუკი 42'19 (4); 3:2 ნუინდაიკი 72'10 (6)

ამბობენ, ბედი ძლიერებს სწყალობსო. არის კი ყოველთვის ასე? მართალია, ამ ორი მეტოქიდან რომელია ძლიერი, გადაჭრით თქმა ძნელია, მაგრამ თუ მეხუთე თამაშის ოვერტაიმის მიხედვით ვიმსჯელებთ, მის სიმართლეში უეჭველად ეჭვი შეგვეპარება. დალასი დამატებით დროში ნამდვილად არ იმსახურებდა გამარჯვებას. ლამის მთელი 12 წუთის განმავლობაში ფლობდნენ სტუმრები უპირატესობას. ერთხანს ისეთი შთაბეჭდილებაც შეიქმნა, რომ დალასს ძალა გამოელია და სულ მალე მიაყენებდა კოლორადო გადამწყვეტ დარტყმას, მაგრამ უამრავი საგოლე მომენტიდან მათ ერთიც ვერ დააგვირგვინეს, მაშინ, როცა მეტოქემ პრაქტიკულად პირველივე შანსი გამოიყენა. სტუმრებმა დროულად ვერ გაიტანეს ზონიდან შაიბა და დაისაჯნენ კიდეც — მცველმა რიჩარდ მატვიჩუკმა კარისკენ გადაგზავნა შაიბა, იქ ჯო ნუინდაიკმა ისე ოსტატურად დაახვედრა ყვანჯი, რომ გაოგნებულ პატრიკ რუას შაიბა ილლიაში გაუძვრა. კოლორადომ მატჩის და, შესაძლოა, სერიის მოგების რეალური შესაძლებლობა ხელიდან გაუშვა და ზედიზედ ორი მარცხის შემდეგ ტეხასელებს საშუალება მისცა, პირველად დაწინაურებულიყვნენ.

თუმც დალასმა ერთ ასპექტში მაინც აჯობა მეტოქეს. მათი გენერალური მენეჯერის, ბობ გეინის თქმისა არ იყოს, ამ სერიას ის მოიგებს, ვინც მეტ გამძლეობას გამოიჩენს, სწორედ მოთმინებით, თუ გნებავთ, ხასიათის სიმტკიცით აჯობა მან მოწინააღმდეგეს. აგერ უკვე მერამდენედ ჩავარდა ჩემპიონი მძიმე სიტუაციაში, მაგრამ არ აღელდა, არ დანებდა და თავისი საქმე მაინც გააკეთა.

**სამველ ლარიბიანი**



# მჰედაკრულნი

საჰოგადოდ, ევროპაში ძალიან ჩამოცხა. ამის გამო შეჯიბრებებს არავინ შეაჩერებს. ამიტომ თამაშები გრძელდება, თუმცა, სპორტსმენებს გვარიანად უჭირთ. „ჯირო დიტალიას" მეცხრე ეტაპზე იქაური კრისტიან მორენი თავისი ველოსიპეტიდ წინ მიმავალ მანქანას შეასკდა და დაშავდა. ამაში მზის დაუნდობლობასაც ურევია ხელი. მადრიდის ღია საჩოგბურთო ტურნირზე კი კოხტა არგენტინელ გოგოს, პაოლა სუარესს წნევა აუვარდა. მზის სხივთა გარეშე აქაც არაფერი მოხდებოდა.





# მარადონა თამაშობს

კუბაზე სამკურნალოდ მყოფმა მარადონამ ფეხბურთის თამაშს მოუხშირა. ალბათ იმ განწყობით, რომ მომავალ კვირაში მიუნხენში უნდა ჩავიდეს სადაც ლოთარ მათეუსის პატივსაცემი შეხვედრა უნდა გაიმართოს. თუმცა მარადონა იქ თამაშს არ აპირებს, თუნდაც იმიტომ, რომ ერთმანეთს „ბაიერნი" და გერმანიის ნაკრები ხვდებიან. გუშინ კი, მარადონა ნახევარსაათიან მატჩში ჩართულა თავის კუბელ მეგობრებთან ერთად. მერე ფოტოც გადაუღიათ. გაივლის დრო და: შვილიშვილო, მე მარადონასთან მითამაშია...



# სლაის მოქნეული

მონაკოში ჩასულა ძველი მეგოლფე სილვესტერ სტალონე. ამ თამაშს რემბო-კობრა-როკი და სხვა ათასი ყოველდღიურად მისდევს და, ვითომ რა იქნება მონტე კარლოს ტურნირშიაც რომ გასინჯოს ხვრელი? ამავ დღეებში მონაკოში ე.წ. ლორუას ჯილდოთა გადაცემაც გაიმართება. ეს პირველადაა, რომ მონაკოს საქეთმპყრობელნი სპორტის სხვადასხვა დარგის მოღვაწეებს დააჯილდოვებენ. სტალონე ამ ღონისძიებასაც დაესწრება...

# ტონი — ობიექტივი

ჰამბურგის ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირზე ნაღდ პროფესიონალ ფოტოგრაფად წარმომდგარა გერმანიის ნაკრების ოდინდელი მეკარე, ცოცხალი კლასიკოსი ჰარალდ ტონი შუმახერი. თუ იმის ნახევარი ფოტოგრაფია, როგორიც მეკარე იყო, აბა რა გვეთქმის? ძაან, ძაან ყოფილა. ისე კი, უფრო გართობად ჩანს.




სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო აზვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge